საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№34 (316)
23 - 29 სექტემბერი, 2015
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

**«ადეიშვილის განკარგულებები დღესაც ძალაშია»** 8

## აშშ-ის სახმელეთო ჯარების მინისტრად პედერასტს ნიშნავენ 3



„მოუთმენლად ველი ფენინგთან მუშაობის დაწყებას, რათა ჩვენი არმია შევინარჩუნოთ, როგორც საუკეთესო მსოფლიოში", — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა, თუმცა უცნობია, სამხედრო მახასიათებლებს გულისხმობდა თუ სექსუალურს, როცა ამერიკის არმიის „საუკეთესოობაზე" ლაპარაკობდა"



## ინგლისელი ლორდი ამტკიცებს — ბრიტანეთის პრემიერს ღორთან ჰქონდა სექსი 3

**ხელისუფლებაში მცოდნე და პატრიოტი ადამიანები გვჭირდება და არა სხვა ქვეყნის მარიონეტები** 5

6 **«ამერიკის ელჩი მივიდა ბიძინა ივანიშვილთან და მათი საუბრის შემდეგ ხიდაშელი დაინიშნა თავდაცვის მინისტრად. ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საკუთარ ქვეყანას არ ვმართავთ»**

## გასა-გიგი-ქებელი დემოკრატია და გრიგოლიას გრიგალი


16

ინგა გრიგოლია:
„დაპატიმრებაც ასეთი უნდა!
პირდაპირ ეთერში! საკუთარი
ფეხით... 4 წელი და 6 თვე...
მარტო გიგის შეეძლო,
ასე დაეპატიმრებინათ!
ვინც იცნობს, მხოლოდ ის მიხვდება,
რასაც ვგულისხმობ... სხვა ვერა...
ტყუილად ნუ მოძებნით პოლიტიკურ
ქვეტექსტებს ჩემს პოსტში.
ამ სტატუსს მხოლოდ ისინი გაიგებენ,
ვინც უგულავას პირადად იცნობს"



## «კონფლიქტის შემთხვევაში საქართველო ბირთვული დარტყმის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება» 7

## რას დაგვა-კელი-თ, მიდით, ანი აგვი-კელი-თ!



14

## «წითელ ბარათს ვუჩვენებდი ყველას, ვინც ე.წ. ევრო-ამერიკული დაჯგუფების წევრად გვევლინება!» 9

ამბები

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„რეიგანმა „ბოროტების იმპერია“ უწოდა საბჭოთა კავშირს, მაშინ, როდესაც თვით ამერიკაა ბოროტების იმპერია და დღეს უკვე ამ საკითხზე არავინ დავობს, ამიტომ ძალიან კარგად მესმის დავით მხეიძის, რომელმაც პროტესტი რეიგანის ძეგლის შეღებვით გამოხატა“**

# «რეიგანი რა, იეთიმ გურჯია თუ საიათნოვა?»

**რონალდ რეიგანის ქანდაკება მნახველების სიმრავლით არ გამოირჩევა, მაგრამ აშშ- ის პოლიტიკით უკმაყოფილოები მასთან ხშირად მიდიან, მათგან ერთ-ერთია პუბლიცისტი დავით მხეიძე, რომელმაც 2012 წელს ამერიკის მე-40 პრეზიდენტის ძეგლს ცოცხი გაუკეთა, ახლახან, 2015 წლის 22 სექტემბერს კი, საღებავი გადაასხა. დავით მხეიძე პოლიციამ დააკავა, მაგრამ მას ადმინისტრაციული ჯარიმაც კი არ დააკისრეს. „მოსამართლემ მკითხა: — თქვენს საქციელს ნანობთ? ვუპასუხე, რომ შეგნებით გადავასხი საღებავი ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ძეგლს და არაფერს ვნანობ. ამის შედეგ მოსამართლემ ყველანაირი სასჯელისა და ჯარიმისგან გამათავისუფლა“, — განაცხადა დავით მხეიძემ.**



— რონალდ რეიგანის ძეგლი ჩემთვის და ბევრი ქართველისთვის ამერიკის ადმინისტრაციასთან ასოცირდება, ამიტომაც, როდესაც პროტესტის გამოხატვა მსურს ამა თუ იმ საკითხზე, ამ ძეგლს მივაკითხავ ხოლმე. ამერიკელ ხალხს არაფერს ვერჩი, არც თვითონ რეიგანს.

**— ახლა ასე ძალიან რამ გაგაღიზიანათ?**

— გამაღიზიანა იმან, რომ ამერიკის ადმინისტრაციის უდიდესი დამსახურებაა „ნაციონალების“ თავზეხელაღებული ქმედებები. სწორედ ამერიკა უწყობს ხელს საქართველოში მათ არსებობას. **„ნაციონალების“ თავხედობა საშიში გახდა, ისინი უკვე მუქარასაც ბედავენ და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ამერიკა მათი მხარდამჭერია.**

გარდა ამისა, ამხელა აურზაური და ჩემი დაკავება რა საჭირო იყო, ვითომ ვინ არის რეიგანი ჩვენთვის? **დედაქალაქის ცენტრიდან დავით აღმაშენებელი „გააძევეს“, სტალინის ძეგლს, პოლონელებისა და ლატვიელების შიშით, პატარა ქალაქ გორშიც ვერ დგამენ და თბილისის ერთ-ერთ უძველეს უბანში, მაინდამაინც რიყეზე, რეიგანის ძეგლია წამოჭიმული, რეიგანი რა, იეთიმ გურჯია თუ საიათნოვა?**

**— რამდენიმე დღეში პრეზიდენტი და პრემიერი ამერიკაში მიემგზავრებიან. თქვენი საქციელი ქვეყნის პრესტიჟზე ცუდად არ იმოქმედებს?**

— რა პრესტიჟი, ჩვენ სახელმწიფო ვართ? ამერიკამ ძალიან კარგად იცის ხალხის განწყობა. იციან, რომ სახელმწიფო არ ვართ. **ამერიკის ელჩის ბრძანების გარეშე ჩვენი ქვეყნის თავკაცები იმასაც ვერ წყვეტენ, ჩაის ჭიქაში შაქარი რამდენი ჩაიყარონ.**

ჩემი ამ საქციელით საზოგადოების გამოფხიზლება მინდა, მინდა, ყველამ იცოდეს, რომ ამერიკა ბოროტების სათავეა და ყველა უბედურება, რომელიც კი დღეს ქართველებს გვჭირს, სწორედ მათი მიზეზითაა.

**აგრეთვე, ვესაუბრეთ დავით მხეიძესთან საგულშემატკივროდ მისულ ევრაზიის ინსტიტუტის დირექტორს — გულბაათ რცხილაძეს:**

— რეიგანი ქართველ ნეოლიბერალებს უყვართ, რადგან თვლიან, რომ საბჭოთა კავშირი მან დაანგრია, თუმცა ეს ასე არ არის. მათ მცდარი წარმოდგენა აქვთ იმდროინდელ ეპოქაზე.

**რეიგანმა „ბოროტების იმპერია“ უწოდა საბჭოთა კავშირს, მაშინ, როდესაც თვითონ ამერიკაა ბოროტების იმპერია და დღეს უკვე ამ საკითხზე არავინ დავობს. ამიტომ ძალიან კარგად მესმის დავით მხეიძის, რომელმაც პროტესტი რეიგანის ძეგლის შეღებვით გამოხატა.**

თბილისში რეიგანის ქანდაკება ქართველი ხალხის გაღიზიანებას იწვევს. ამერიკამ მოგვახვია თავს „ნაცების“ ხელისუფლება სააკაშვილთან ერთად, ჩვენც მიგვიძღვის ბრალი, მაგრამ ქართველების სისუსტით ამერიკამ ყველაზე მეტად ისარგებლა.

**— ქვეყნის პრესტიჟისთვის ეს ცუდი არ არის?**

— **ქვეყნის პრესტიჟისთვის ასეთი ძეგლების არსებობა უფრო ცუდია. კაჩინსკის, პოლიტკოვსკაიას, ბუშის ქუჩები და ძეგლები არცხვენს და აკნინებს ჩვენს ქვეყანას. სტალინის ძეგლის დადგმას ნახევარი საქართველო ითხოვს, თანაც მის მშობლიურ ქალაქში და იმის გამო, რომ პოლონელებისა და ლატვიელების ეშინიათ, ვერ დგამენ. ყველას მონები ვართ. ის, რაც დავით მხეიძემ ჩაიდინა, ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველი ხალხი არ ფიქრობს ისე, როგორც ჩვენი პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი.**

## «ამერიკის ელჩის ბრძანების გარეშე ჩვენი ქვეყნის თავკაცები იმასაც ვერ წყვეტენ, ჩაის ჭიქაში შაქარი რამდენი ჩაიყარონ»

რეიგანის ძეგლის შეღებვისთვის დავით მხეიძე დააკავეს, მაგრამ არ აკავებენ ადამიანებს, იმ ნაძირალებს, რომლებიც რუს ტურისტებს ერჩიან და გეორგიევსკის ბაფთას ხევენ და წვავენ.

**ცნობისათვის:**

**რონალდ უილსონ რეიგანი (აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი 1981–1989წ.წ. და კალიფორნიის 33-ე გუბერნატორი 1967–1975 წლებში) ილინოისის შტატის სოფელ ტამპიკოში დაიბადა, ჯონ და ნელი რეიგანების ოჯახში. 30-იანი წლებიდან ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა, სადაც მსახიობი გახდა. ოცი წლის განმავლობაში რეიგანმა 53 ფილმში ითამაშა. შემდგომ ფირმა „ჯენერალ ელექტრიკის“ სპიკერი გახდა და პოლიტიკაში ჩაება. თავდაპირველად დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, 1962 წლიდან კი რესპუბლიკელი გახდა. ამის შემდეგ იგი ორი ვადით (1966 და 1970) კალიფორნიის გუბერნატორად აირჩიეს.**

**1981 წელს რეიგანმა აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე ჯიმი კარტერი შეცვალა.**

**რეიგანმა საბჭოთა კავშირს საჯაროდ უწოდა „ბოროტების იმპერია“, უარი თქვა დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე, აშშ-ის სამხედრო პოტენციალი გააძლიერა და მსოფლიოში ანტიკომუნისტურ მოძრაობებს დაუჭირა მხარი.**

**1984 წლის არჩევნებში მან დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. მისი პრეზიდენტობის მეორე ვადა ძირითადად საგარეო მოვლენებით აღინიშნა: ცივი ომის დასრულებისკენ გადადგმული ნაბიჯი, ლიბიის დაბომბვა და “ირან-კონტრას”-ის სკანდალი. რეიგანის პოლიტიკის შედეგად ნავთობის ფასი სამჯერ დაეცა, რამაც სსრკ-ს ეკონომიკა ძალიან დააზარალა. მან საბჭოთა კავშირის ლიდერ მიხეილ გორბაჩოვთან მოლაპარაკებების სერია გამართა, რომლის კულმინაციაც საშუალო და მოკლე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმება და ორივე ქვეყნის ბირთვული არსენალის შემცირება იყო.**

**რეიგანმა პრეზიდენტის პოსტი 1989 წელს დატოვა. 1994 წელს მას ალცჰაიმერის დაავადების დიაგნოზი დაუსვეს. რონალდ რეიგანი 2004 წელს, 93 წლისა გარდაიცვალა. რეიგანი აშშ-ის ერთ-ერთ წარმატებულ პრეზიდენტად მიიჩნევა. მას მიაწერენ საბჭოთა კავშირის დაშლას, რის გამოც საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2011 წლის 23 ნოემბერს ძეგლი დაუდგა. „რუსებმა აღადგინეს საბჭოთა კავშირის ჰიმნი, ჩვენ ვდგამთ აქ რონალდ რეიგანის ძეგლს, როგორც განსხვავებას ჩვენსა და მათ ფასეულობებს შორის“, – განაცხადა სააკაშვილმა ძეგლის გახსნის ცერემონიაზე.**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**



## ჯო ბაიდენმა უკრაინის ხელისუფლება მკაცრად გააფრთხილა

**ვაშინგტონში რამდენიმე დღის წინათ გამართულ ბრიფინგზე აშშ-ის ვიცეპრეზიდენტის მრჩეველმა მაიკლ კარპენტერმა განაცხადა, რომ ჯო ბაიდენი უკრაინის ხელისუფლებას მხარდაჭერის შეწყვეტით დაემუქრა, თუ ქვეყანაში სიტუაცია არ შეიცვლება, — წერს უკრაინული გამოცემა „ნოვოე ვრემია“.**

ბაიდენი, კარპენტერის თქმით, გაღიზიანებულია უკრაინაში კორუფციის მასშტაბებით და მან ამის გამო მკაცრად გააფრთხილა უკრაინის პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო და პრემიერი არსენი იაცენიუკი.

ჯო ბაიდენი აშშ-ის პრეზიდენტობის პოტენციური კანდიდატია. ის ჰილარი კლინტონის მოწინააღმდეგე შეიძლება გახდეს, როდესაც დემოკრატიული პარტია პრაიმერიზს გამართავს.



## ტალინის მერი ქრთამის აღებაშია ეჭვმიტანილი

**ტალინის მერი ედგარ სავისაარი ქრთამის აღების ბრალდებით დააკავეს. ის ეჭვმიტანილია 2014-15 წლებში ქრთამად დიდი ოდენობის თანხის აღებაში.**

ტალინის მერის ოჯახის წევრებმა პირველი განცხადება უკვე გააკეთეს და სავისაარის დაკავებას პოლიტიკურად მოტივირებული საქმე უწოდეს.

## სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველ მოადგილედ თამარ ხულორდავა დაინიშნა



**22 სექტემბერს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა კახა კახიშვილმა თავისი პირველი მოადგილე თამარ ხულორდავა თანამშრომლებს წარუდგინა და აღნიშნა, რომ თამარ ხულორდავას საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. იგი ბოლო წლებში საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობაში პროექტების მენეჯერის თანამდებობაზე მუშაობდა და სისხლის სამართლის სისტემის რეფორმისა და კანონის უზენაესობის სფეროში ევროკავშირის პროექტებს კურატორობდა.**

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში თამარ ხულორდავა კურატორობას გაუწევს პრობაციის ეროვნული სააგენტოს, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის, სამედიცინო და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტების მუშაობას. გარდა ამისა, მინისტრის პირველი მოადგილე საპარლამენტო მდივანიც იქნება. თამარ ხულორდავა პროფესიით იურისტია. დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. გარდა ამისა, განათლება მიღებული აქვს შვედეთსა და გერმანიაში.

## უკრაინაში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე 8 ათასი ადამიანი დაიღუპა



**გაეროს სპეციალური მომხსენებლის კრისტოფ ჰაინსის განცხადების თანახმად, უკრაინაში კონფლიქტის დაწყებიდან დღემდე 8 ათასი ადამიანი დაიღუპა.** „ეუთოს მონიტორინგის მისიის მონაცემებით, ამ ადამიანების უმრავლესობა სამოქალაქო პირია. შემაშფოთებელია, რომ ორივე მხარეს სამხედრო აღჭურვილობა და არტილერია სამოქალაქო პირებით დასახლებულ რაიონებში აქვს განლაგებული, რის გამოც დაღუპულთა რაოდენობა დიდია", — განაცხადა ჰაინსმა კიევში გამართულ ბრიფინგზე. გაეროს სპეციალური მომხსენებლის თქმით, უკრაინის აღმოსავლეთში, საბრძოლო მოქმედებების განახლების შემთხვევაში, აუცილებელია, მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის საშუალება მოიძებნოს.

ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ცისფერი დემოკრატია — ცნობილი ჰომოსექსუალი პოლიტიკოსები

# აშშ-ის სახმელეთო ჯარების მინისტრად პედერასტს ნიშნავენ

**აშშ-ის ისტორიაში პირველად სახმელეთო ჯარების მინისტრად შეიძლება დანიშნონ გეი — 49 წლის ერიკ ფენინგი, რომელიც ამ პოსტზე პრეზიდენტმა ობამამ წარადგინა.**



ერიკ ფენინგი

რამდენიმე დღის წინათ, როდესაც გამოცემა Forlign Polucy აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლების ინფორმაციაზე დაყრდნობით წერდა, რომ პენტაგონს რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებების გეგმაში „ახალი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით" სურს ცვლილებების შეტანა, ვერავინ წარმოიდგენდა, როგორი რადიკალური იქნებოდა ეს ცვლილებები, ანუ არატრადიციული. ბარაკ ობამას წარდგინებით, აშშ-ის არმიის სახმელეთო ძალების მინისტრად შეიძლება დაინიშნოს ჰომოსექსუალი, 49 წლის **ერიკ ფენინგი**, რომელსაც არასოდეს დაუმალავს თავისი სექსუალური ორიენტაცია, პირიქით — ამაყობს კიდეც. სწორედ მასში დაინახა ბარაკ ობამამ **„ლიდერის თვისებები და მდიდარი გამოცდილება, რომელიც საჭიროა ამ თანამდებობისთვის". „მოუთმენლად ველი მასთან მუშაობის დაწყებას, რათა ჩვენი არმია შევინარჩუნოთ, როგორც საუკეთესო მსოფლიოში", — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა, თუმცა უცნობია, სამხედრო მახასიათებლებს გულისხმობდა თუ სექსუალურს, როცა ამერიკის არმიის „საუკეთესოობაზე" ლაპარაკობდა.**

სხვათა შორის, ფენინგი მინისტრის თანამდებობაზე სენატმა უნდა დაამტკიცოს, თუმცა ისეთი პირი უჩანს, უარს არ ეტყვიან — ლგბტ თემის წარმომადგენლებს ხომ გზა ყველგან ხსნილი აქვთ ამერიკაში, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტოლიუმი (კონგრესის შენობა), თეთრი სახლის მსგავსად, ცისარტყელას ფერებით არ შეუღებავთ.

თუმცა მინისტრად 49 წლის „მდიდარი გამოცდილების" მქონე ჰომოსექსუალის დანიშვნა, აგრეთვე, აშშ-ის მიერ ატეხილი ისტერიკა მსოფლიოში ლგბტ თემის წარმომადგენელთა უფლებების დაცვისა და ერთნაირსქესიანთა ქორწინებების დაკანონების შესახებ აღარ უნდა გაგვიკვირდეს იმ ინფორმაციის წაკითხვის შემდეგ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ:

* პირველი პოლიტიკოსი, რომელმაც თავისი ჰრომოსექსუალური ორიენტაციის შესახებ განაცხადა, იყო ქალაქ სან-ფრანცისკოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ***ჰარვი მილკი.*** ის 1978 წლის 27 ნოემბერს სან ფრანცისკოში მოკლეს;

* პარიზის ყოფილი მერი **ბერტრან დელანოეც** არატრადიციული ორიენტაციისაა — ეს მან 1998 წელს აღიარა (48 წლისამ) ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში;

* გერმანიის ბუნდესტაგის თავმჯდომარე 2001—2002 წლებში, შემდგომ ბერლინის ბურგომისტრი (2002—2014) **კლაუს ვოვერაიტი** ჰომოსექსუალია;

* გერმანიის ყოფილი ვიცეკანცლერი და საგარეო საქმეთა ექსმინისტრი (2009—2013) **გიდო ვესტერველე,** დიდი ხანია, არ მალავს თავის სექსუალურ მიდრეკილებებს. 2004 წელს ის თავის ქმართან, მიხაელ მრონცთან, ერთად ეწვია ანგელა მერკელს დაბადების დღეზე:

* ნორვეგიის ჯანმრთელობის დაცვის ყოფილი მინისტრი, შემდგომ პროვინცია ვესტფოლის გუბერნატორი **ერლინგ ლაე** ცოლად გაჰყვა იენსენ ოლსენს;

* კალიფორნიის შტატის პარლამენტის სენატორი **როი ეშბერნი** დიდი ხნის განმავლობაში მალავდა თავის სექსუალურ ორიენტაციას, მაგრამ 2010 წლის 8 მარტს რადიოეთერში აღიარა, რომ სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელია. ეს მას შემდეგ გააკეთა, როდესაც პოლიციამ დააკავა — ეშბერნი ავტომობილში მამაკაცთან ერთად ერთობოდა;

* 2010 წელს ევროპა გააოგნა ისლანდიის პრემიერმინისტრის — 68 წლის **იოჰანა სიგურდარდოტირის** აღიარებამ, რომ ლესბოსელია. მან იქორწინა ჟურნალისტ იონინა ლეოსდოტირზე, რომელთანაც 2002 წლიდან იყოფდა სარეცელს;

**«მოუთმენლად ველი ფენინგთან მუშაობის დაწყებას, რათა ჩვენი არმია შევინარჩუნოთ, როგორც საუკეთესო მსოფლიოში», — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა, თუმცა უცნობია, სამხედრო მახასიათებლებს გულისხმობდა თუ სექსუალურს, როცა ამერიკის არმიის «საუკეთესოობაზე» ლაპარაკობდა**



გიდო ვესტერველე და მისი ქმარი მიხაელ მრონცი



ისლანდიის პრემიერმინისტრი (მარცხნივ) და მისი ცოლი



ქსავიე ბეტელი ქმართან ერთად

* 2011 წელს პოლონეთის სეიმის დეპუტატად აირჩიეს ლიბერალური პარტიის წარმომადგენელი **ანა გროდსკა**, რომელიც მსოფლიოში პირველი ტრანსექსუალი პოლიტიკოსია;

* ავსტრალიის ფინანსთა მინისტრი, 42 წლის **პენი ვონგი** 2010 წელს ავსტრალიის ყველაზე გავლენიანი 25 ლესბოსელის სიაში შეიყვანეს, 2013 წლიდან კი ის ავსტრალიის სენატის თავმჯდომარეა;

* ამა წლის 15 მაისს ლუქსემბურგის მოქმედმა პრემიერმინისტრმა **ქსავიე ბეტელმა** ბელგიელ არქიტექტორზე, 36 წლის გოტიე დესტენეზე იქორწინა და 500-კაციანი ქორწილი გადაიხადა.

როგორც ჩანს, მსოფლიო შეიშალა, პირველ რიგში — ბებერი ევროპა, რომელიც ქრისტიანულ ტრადიციებს განუდგა და აშშ-ს უხმოდ ემორჩილება.



# სკანდალი: ინგლისელი ლორდი ამტკიცებს, რომ ბრიტანეთის პრემიერს ღორთან ჰქონდა სექსი

**ბრიტანეთში ლორდ მაიკლ ეშკროფტის წიგნის — „ჩემი სახელია დეიკი" — გამოქვეყნების შემდეგ სკანდალი აგორდა. ეს არის დევიდ კემერონის ბიოგრაფია, რომელშიც მომავალში პრემიერის ახალგაზრდობისდროინდელ უმსგავს საქციელებზეა მოთხრობილი.**

წიგნში, მაგალითად, წერია, რომ რჩეულთა რიგებში მოსახვედრად **კემერონი** დათანხმდა, სექსუალური აქტი ჰქონოდა მკვდარი ღორის თავთან. წყარო ამტკიცებს, რომ აქვს ამის ამსახველი ფოტოები. ამას გარდა, წიგნის ავტორი ამტკიცებს, რომ მომავალი პრემიერი მოიხმარდა კოკაინსა და სხვა ნარკოტიკს, ხშირად სვამდა და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით მოიხსენიებდა მასზე ღარიბებს. ეს ინფორმაცია გამოცემა The Mirror-მა გამოაქვეყნა.



# «მერკელი — ციმბირში! პუტინი — ბერლინში!»

**გერმანიაში აფრიკიდან და ახლო აღმოსავლეთიდან დევნილების მოზღვავების ფონზე დრეზდენში რუსეთის პრეზიდენტის პოლიტიკური კურსის მხარდასაჭერად აქცია გაიმართა. აქციის დასასრულს გერმანელები სკანდირებდნენ: „მერკელი — ციმბირში! პუტინი — ბერლინში!"**

ბოლო ხანს მსოფლიოს მასმედიაში ხშირად არის ლაპარაკი რუსეთისა და მისი ლიდერის — ვლადიმერ პუტინის როლის გაძლიერებაზე მსოფლიოში.

ცოტა ხნის წინათ სააგენტო „როიტერის" მიმომხილველმა **ლუსიან კიმმა** ვლადიმერ პუტინს უწოდა მსოფლიოში ერთადერთი ლიდერი, რომელსაც შეუძლია, რეალური წვლილი შეიტანოს ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან" ბრძოლაში.

ჩევრიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ უნდა შეუვარდე სახლში სხვას, არ უნდა მოახვიო თავს შენი შეხედულებები, არ უნდა დაამხო არჩეული მთავრობები, არ უნდა დაეხმარო ისლამისტებს, ოღონდ კი მორიგი „ფერადი რევოლუციების“ განსახორციელებლად გამოიყენო... და კიდევ ბევრი რამ არ უნდა ჩაიდინო. მაგალითად, არ „ჩავარდე შოკში“ შენი მარიონეტების სამართლებრივი დევნის გამო. და, რაც მთავარია, არ უნდა დაეყრდნო „ტაბულა ბიცოლებს“, რომელთათვისაც მასტურბაცია „კიბოს წამალია“, არც მის პარტიულ მეგობრებს, რომლებიც ევროსაბჭოს კარზე არიან დაყუდებულნი და იქიდან ევროპის სახალხო პარტიის ბონზების „აღშფოთების წერილებით“ გვამარაგებს.**

# აგრამუნტის არგუმენტი და მასტურბაცია, როგორც კიბოს წამალი

**დემოგრაფიული განვითარების ფონდის დირექტორმა ზვიად ტომარაძემ ჯერ კიდევ ივნისში თავის ფეისბუქგვერდზე ასეთი სტატუსი გამოაქვეყნა: „ლატვიის დედაქალაქ რიგაში ამა წლის 19-20 მაისს გაიმართა აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენცია: „მედიის როლი აღმოსავლეთ ქვეყნებში“. კონფერენციაზე ტელეკომპანია „ტაბულას“ წარმომადგენელი თამარ ჩერგოლეიშვილი გამოვიდა. გაეცანით, თუ როგორ საუბრობს ეს ჭინკა მართლმადიდებელ ეკლესიასა და პატრიარქზე.**




**თამარ ჩერგოლეიშვილი:** „უკვე ორი დღეა, ვსაუბრობთ იმაზე, თუ როგორ ვებრძოლოთ რუსულ პროპაგანდას. აშკარად იგრძნობა, რომ რუსული რბილი ძალის საფრთხის აღქმა ევროპაში გაძლიერებულია. საუბარი იყო არა მხოლოდ იმაზე, როგორ გავუმკლავდეთ რუსულ პროპაგანდას, არამედ რუსულენოვანი პროპაგანდის გავლენით წარმოებულ პროპაგანდას ადგილობრივ ენებზეც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. **სამწუხაროდ, საქართველოს წინააღმდეგ რუსების ერთ-ერთი უძლიერესი იარაღია ქართული მართლმადიდებლური ეკლესია. საქართველოში ეკლესია წარმოადგენს ყველაზე მაღალი რეიტინგისა და გავლენის ინსტიტუციას ქვეყანაში და აქვს 87%-იანი რეიტინგი.**

პატრიარქი საკმაო დოზით არის „ორი ბატონის მსახური“ და მისი გზავნილები არის ორაზროვანი. ერთ დღეს ამბობს, რომ “ჩვენი გზა ევროპულია”, მეორე დღეს კი პირიქით: „ჩვენი ახალგაზრდები რომ მიდიან დასავლეთში სასწავლებლად, კარგავენ საკუთარ იდენტობასა და რელიგიას“. საერთოდ, ქართველი სასულიერო პირები აშკარად და ღიად აგზავნიან ანტიდასავლურ გზავნილებს მოსახლეობისთვის. დიდ ქართულ მედიაკომპანიებსა და ტელეკომპანიებს ეშინიათ ეკლესიის გაკრიტიკება.

არ ვიცი, ეს კომერციული ინტერესების გამო ხდება, თუ მათი ხელმძღვანელობის კურსია ასეთი, მაგრამ, მაგალითად, ჩემი კომპანია „ტაბულა“, ჩვენ ღიად ვაკრიტიკებთ, ყველასგან განსხვავებით, ეკლესიას და ღიად ვამბობთ, რომ ეკლესია ესხმის თავს რელიგიურ და სხვა უმცირესობებს. ჩვენ სპეციალური პროგრამა გვაქვს, სადაც ვსაუბრობთ ამ თემაზე და ვასწავლით საზოგადოებას ამ საკითხს.

**ჩვენ გვიჭირს ფინანსურად და ვერ ვპოულობთ სახსრებს, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, დონორებისგან მივიღოთ ფინანსური დახმარება, რომ ადვილად შევძლოთ მუშაობა. ჩვენ არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული ფინანსურად მხოლოდ საკუთარ თავზე. ქართულ ბიზნეს კომპანიებს არ უნდათ, რომ რეკლამა განათავსონ ისეთ პროგრამებში, სადაც ეკლესიის კრიტიკა ისმის“.**

ჩვენი საზოგადოების უდიდესი უმრავლესობისთვის, რომელსაც 87%-ად თვითონ „ტაბულა ბიცოლა“ მოიხსენიებს, მისი ამ გამოსვლის გარეშეც კარგად არის ცნობილი, რას წარმოადგენს იგი მეუღლესა და მათ თანამოაზრეებთან ერთად, თუმცა ყველაზე საინტერესო არის ის, რომ ჩერგოლეიშვილის ამ მორიგ გამოხდომაზე ინფორმაცია არც მედიაში გასულა და, რაც მთავარია, არც თვითონ ჩერგოლეიშვილს უარუყვია. ამდენად, **შეგვიძლია, მივიჩნიოთ, რომ მან სწორედ ასე მიმართა კონფერენციის მონაწილეებს და ფულიც მოითხოვა მართლმადიდებელი ეკლესიის „კრიტიკისთვის“.**

ახლა, თუ ვინმეს სჯერა, რომ „ტაბულა ბიცოლას“ ფული შემოაკლდა, იმასაც გაიხსენებს, რომ მისი მთავარი სპონსორი **კახა ბენდუქიძე**, უკვე გარდაცვლილია, ხოლო მის მემკვიდრეობაზე ისეთი ამბავია ატეხილი, რომ ჩერგოლეიშვილს იქიდან არაფერი შეხვდება. მეორე მსხვილი დამფინანსებელი **გიგი უგულავა,** საკონსტიტუციო სასამართლოს „დროული“ ჩარევის შედეგად, ციხიდან ტრიუმფალურად გამოსული, კვლავაც იქ მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს. ამას ვერც ბოკერიას მივარდნა შველის ივანიშვილის კარზე და ვერც ხმამაღალი განცხადებები. **ბოკერია-ჩერგოლეიშვილის წყვილი კი, თუნდაც იდეებისთვის, საკუთარი ჯიბიდან, ბოლო წლებში რომ ამოივსეს, ერთი თეთრის გამღებიც რომ არ არის, ესეც ცნობილია.**

**„კიდევ ვიბძოლებ ეკლესიის წინააღმდეგ, ოღონდ ფულები გამოუშვით“, — გაიძახის ბოკერიას კნეინა. ამ ფულს, ჩერგოლეიშვილის გარდა, სხვებიც ელიან და ამ ფლანგზე კონკურენცია გამწვავებულია. ისინი ცოტანი არიან, მაგრამ ფული ძალიან უყვართ, უფრო მეტად, ვიდრე საკუთარი ბოდვითი იდეები. რომ ჰკითხო, ისინი განათლებული ევროპისკენ ისწრაფვიან, მაგრამ ეს ისეთივე ოქსიმორონი, ანუ გონებამახვილური სისულელეა, როგორც საააკაშვილის დაპირებული „ევროპული“ სინგაპური.**

ევროპაში კი დიდი ძვრებია, იმდენად დიდი, რომ **გუშინდელი „შარლიებდოები“ დღეს ფრანგულ სატირულ ჟურნალს ცინიზმისა და მკრეხელობის გამო ედავებიან. აქაურ „ებდოებს“ პირში წყალი აქვთ ჩაგუბებული და დაღუპული სირიელების მაგივრად სექსუალურ უმცირესობებს იცავენ, „ისლამური სახელმწიფოს“ მომძლავრებისას კი კრიტიკის ობიექტად მართლმადიდებელი ეკლესია ჰყავთ შერჩეული.**

უგულავას გამოშვებისას ჩერგოლეიშვილმა განაცხადა: **„ვაღიარებ — დეგენერატი ვხდები, როცა მიხარია“! გარშემო მხოლოდ თავისნაირები რომ არ ჰყავდეს, ვინმე ყურში მაინც ეტყოდა, რომ, როცა არ უხარია, მაშინაც დეგენერატია.**

მაგალითების მოტანისთვის ნუღარ დამღლით, ზოგი იცით და ზოგსაც ინტერნეტში დაძებნით. ერთ-ერთი ბოლო „აღმოჩენა“ ასეთია: **„მასტურბაცია ნორმალურია... მასტურბაცია კიბოს (და სხვა დაავადებების) პრევენციაში გეხმარებათო, — ამტკიცებენ ექიმები“. ეს უკვე დეგენერატობის საზღვრებსაც სცდება — კიბოს წამალი აქვე, ხელში გიჭირავთ და ვერ მიმხვდარხართო! ამ დაავადებას სხვა სახელი ჰქვია, მაგრამ მე არ დავწერ — კვალიფიციურ ექიმს გაესინჯოს. ისე, მაგ დაავადებას მასტურბაცია არ შველის!**

თავი ვანებოთ დეგენერატებს და იმ ევროპას მივუბრუნდეთ, რომლისკენაც ესენი თითქოს ისწრაფვიან. ორიოდე კვირის წინათ გერმანიის კანცლერი **ანგელა მერკელი** მისთვის მინიჭებული საპატიო დოქტორის ხარისხის მისაღებად ბერნის უნივერსიტეტს ჯერ კიდევ 2009 წელს ეწვია. სტუდენტები მისი ჰუმანიზმით მოიხიბლნენ. სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ბოლო შეკითხვა დარბაზიდან ევროპის ისლამიზაციის საფრთხეს შეეხებოდა. „თქვენს მხრებზეა პასუხისმგებლობა ლტოლვილებსა და მიგრაციაზე, მაგრამ თქვენ, ასევე, მოვალე ხართ, დაიცვათ ევროპა, რადგან დღეს ძალიან ბევრი განიცდის შიშს ისლამისა და ისლამიზმის წინაშე“, — მიმართა კანცლერს სტუდენტმა გოგონამ.

**მერკელის პასუხი:** „ჯერ ერთი, ევროპას თავად შეაქვს წვლილი ისლამიზმის მხარდაჭერაში, რადგან ისლამისტი რადიკალების რიგებში ბევრი სწორედ ევროკავშირის ქვეყნებიდან არის წასული; მეორეც – შიში ცუდი მრჩეველია; მესამე – გერმანიაში დღეს 4 მილიონი მუსლიმი ცხოვრობს, ამიტომ კამათი, არის თუ არა ისლამი ჩვენი ქვეყნის შემადგენელი ნაწილი, უკვე უადგილოა...

სწორედ ახლა დადგა ჭეშმარიტების მომენტი, როცა ჩვენ, ევროპელებს, შანსი გვეძლევა, გავერკვეთ დამოკიდებულებაში ჩვენი ქრისტიანული ფესვების მიმართ, როცა ჩვენ გვეყოფა სიმამაცე, მკაფიოდ განვაცხადოთ ქრისტიანული მრწამსისადმი კუთვნილება! თუმცა დღეს რომელიმე გერმანულ სკოლაში რომ იკითხოთ, რა არის სამება და რას აღნიშნავენ ქრისტიანები ამ დღეს, დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ მიიღებთ.

ამიტომ სჯობს, ჩამოვბრძანდეთ „მორალური უპირატესობის მაღალი ცხენიდან“, თავი ვანებოთ ისლამის კრიტიკას და მისგან საფრთხის შექმნას. **მინდა, მეტი ადამიანი ვნახო, რომელიც იტყვის „მე ქრისტიანი ვარ“!.. დასავლეთ ევროპის ქრისტიანები რელიგიურ პრაქტიკას უნდა დაუბრუნდნენ“.**

„წადი, წადი მონასტერში, მონასტერში ოფელია“! — ასე იტყოდა შექსპირი. მერკელმა პროზაული პასუხი გასცა: „ისლამს კი ნუ ლანძღავთ, ეკლესიებს დაუბრუნდით!“ ერთი სიტყვით, **ყველაფერი იცვლება, მათ შორის, ფუნდამენტური საკითხების მიმართ დამოკიდებულებაც, ჩვენი „ლიბერასტები“ კი კვლავ ადამიანის უფლებების ნულ კლასში არიან და ერთსა და იმავეს იმეორებენ.**

ადგილობრივ „ლიბერალებს“ ისიც მწარედ ახსოვთ, რომ გასულ ზაფხულს მერკელმა ხაზგასმით განაცხადა: **„ქორწინება შეიძლება ეწოდოს მხოლოდ ქალისა და მამაკაცის კავშირს“. ჩვენი პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, ქალბატონი კანცლერი იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელ ევროპაში ამგვარი გამონათქვამები კრამოლად აღიქმება. უფრო სწორად, დღემდე ასე აღიქმებოდა, ხვალ, როგორც ჩანს, სხვაგვარად იქნება.**

კარგამოხურული ევროპა, საკუთარ კეთილდღეობაში გარინდული, უცხო კულტურის ხალხმა შეანჯანჯღარა. სირიის კრიზისის გამო, **ძნელი სავარაუდოა, აფრიკიდან, ავღანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ლტოლვილები ასე ორგანიზებულად თვითონ დაძრულიყვნენ მაინცდამაინც გერმანიისკენ.** თავის დროზე სწორედ გერმანია ეწინააღმდეგებოდა ევროკავშირში თურქეთის შესვლას, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა (ჩვენგან განსხვავებით).

ახლა გერმანიაში მილიონობით თურქი ცხოვრობს. ისინი ინდივიდუალურად შევიდნენ ევროკავშირში და დღეს ანგარიშის გაწევას ითხოვენ. გერმანიას ახლა კიდევ დაემატება ლტოლვილები, რომელთა შენახვა კანონმორჩილ გერმანელ ბიურგერებს სულაც არ ეხალისებათ, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის.

ამიტომ **არ უნდა შეუვარდე სახლში სხვას, არ უნდა მოახვიო თავს შენი შეხედულებები, არ უნდა დაამხო არჩეული მთავრობები, არ უნდა დაეხმარო ისლამისტებს, ოღონდ კი მორიგი „ფერადი რევოლუციების“ განსახორციელებლად გამოიყენო... და კიდევ ბევრი რამ არ უნდა ჩაიდინო. მაგალითად, არ „ჩავარდე შოკში“ შენი მარიონეტების სამართლებრივი დევნის გამო.**

**და, რაც მთავარია, არ უნდა დაეყრდნო „ტაბულა ბიცოლებს“, რომელთათვისაც მასტურბაცია „კიბოს წამალია“, არც მის პარტიულ მეგობრებს, რომლებიც ევროსაბჭოს კარზე არიან დაყუდებულნი და იქიდან ევროპის სახალხო პარტიის ბონზების „აღშფოთების წერილებით“ გვამარაგებს.**

ბოლო მაგალითი: „ნაციონალური მოძრაობის“ განმარტებით, ევროსაბჭოში ევროპის სახალხო პარტიის ჯგუფის თავმჯდომარე **პედრო აგრამუნტი** გიგი უგულავას ხელახლა დაპატიმრებას მისი გათავისუფლებიდან 24 საათზე ნაკლები დროის გასვლის შემდეგ „ბარბაროსულს“ უწოდებს და აცხადებს, რომ, თუკი მისი გადახედვა არ მოხდება, საფრთხე შეექმნება ევროპაში საქართველოს რეალური ინტეგრაციის პერსპექტივებს.

**რა არგუმენტები აქვს აგრამუნტის? — რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ უთხრა, მეტი არაფერი. დომინიკ სტროს-კანის დაპატიმრებაზე არ უდარდია იმდენი უარგუმენტო აგრამუნტის, რამდენიც გიგი უგულავაზე, ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილზე. შესაძლოა, მასაც სჯერა, რომ მასტურბაცია კიბოს კურნავს, ან ის დაიჯერა, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას „ტაბულა ბიცოლას“ კრიტიკა დააკლებს რამეს.**

რა ვიცი, რა ვიცი, ამბობენ, დედამიწა მრგვალიაო და, ასე თუ გააგრძელებთ, ეს „კიბოს მკურნალები“ უმალ თქვენ „გიმკურნალებენ“, თორემ საქართველოში მათი ფასი კონა ათი შაური რომ არის, უკვე ყველამ იცის. ვერც „რუსულ საფრთხეზე“ და „რბილ ძალაზე“ ლაპარაკი შველის მაგ ამბავს და ვერც მათი სიტყვიერი მასტურბაცია.

**თამარ დავითულიანი**

„მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, საქართველო ყველაზე ცუდ ვითარებაში აღმოჩნდა. ამ ნანგრევების ყველა აგური ჩვენ მოვიხვედრეთ. დავკარგეთ ტერიტორიები. გლობალური ომი ჩვენს ტერიტორიაზე გავმართეთ, ახლა დაპირისპირების ეპიცენტრში ვართ“.

ექსპერტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



თამარ კიკნაძე:

# ხელისუფლებაში მცოდნე და პატრიოტი ადამიანები გვჭირდება და არა სხვა ქვეყნის მარიონეტები

**გასულ კვირაში საზოგადოების ყურადღება ორმა თემამ მიიპყრო: პირველი იყო თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას, 24 საათით გათავისუფლება და შემდეგ ისევ დაკავება; ხოლო მეორე — პრემიერისა და პრეზიდენტის კიკნლაობა ამერიკაში წასვლაზე. ჟურნალისტების ყურადღება, ასევე, მიიპყრო თავდაცვის მინისტრ თინა ხიდაშელის მიერ ბრიტანულ ტელეარხ „ბი-ბი-სი“-სთვის მიცემულმა ინტერვიუმაც, სადაც მან „ქართველების გმირულად სიკვდილზე“ ილაპარაკა. საქართველოსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი — თამარ კიკნაძე გვესაუბრება.**




**— ქალბატონო თამარ, წინა კვირის მნიშვნელოვანი თემა თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას, გათავისუფლება და კვლავ დაკავება იყო. ეს ამბავი ბევრმა პოლიტოლოგმა პოლიტიკურ ჭრილში განიხილა. თქვენც ფიქრობთ, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური ელფერი უფრო აქვს, ვიდრე სამართლებრივი?**

— საერთოდ, რაც „ნაციონალების“ მიმართ ხდება, მოსახლეობის დიდი ნაწილის გაღიზიანებას იწვევს. „ქართული ოცნების“ გამარჯვება დიდწილად იმან განაპირობა, რომ მოსახლეობას სამართლიანობის აღდგენას დაჰპირდნენ. **ადამიანები იმედოვნებდნენ, რომ „ნაციონალები“ პოლიტიკური სცენიდან ჩამოვიდოდნენ, მაგრამ საპირისპირო სურათი გვაქვს. საინფორმაციო სივრცეში თითქმის არაფერი შეცვლილა — ისევ „ნაციონალები“, ახლა უკვე მოსახლეობის „კეთილდღეობაზე მზრუნველი“ ოპოზიციის რანგში, თანაც ყოველდღიური მუქარით, რომ მალე ხელისუფლებაში დაბრუნდებიან.**

გასაგებია, რომ ხელისუფლება, გარკვეულწილად, გარედან ზემოქმედებას განიცდის, მაგრამ მან საკუთარი ხალხის განწყობაც უნდა გაითვალისწინოს. ის, რაც უგულავას მიმართ ხდება ან სანახაობაა, ან, უბრალოდ, არაკომპენტურობა. ნებისმიერ შემთხვევაში, ხალხი ორივესგან დაიღალა, მით უფრო, რომ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა სულ უფრო მძიმდება.

**— „ნაციონალები“ უგულავას მომავალ პრემიერმინისტრადაც განიხილავენ...**

— ესღა გვაკლდა. **ვაი, იმ საქართველოს, რომლის პრემიერიც უგულავა იქნება!** მოსახლეობას ჯერ კიდევ არ დავიწყებია, რასაც „ნაციონალები“ ჩადიოდნენ — ომი, ტერიტორიების დაკარგვა, ქონების კონფისკაცია, ციხის მოვლენები, მოკლული ადამიანები და სხვა უბედურებები. მარტო 13 ივნისს ვერეს ხეობაში მომხდარი ტრაგედია რად ღირს, რომელზეც პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ.

**— იურისტები ამბობენ, რომ უგულავას, მერაბიშვილისა და ახალაიას წინააღმდეგ სამართლებრივი ნორმები დარღვეულია და, ლოგიკურად რომ მიჰყვე, თითოეული მათგანი პოლიტპატიმარია. ფიქრობთ, რომ ისინი პოლიტპატიმრები არიან? მათ ხომ ბრალი აქამდე ვერ წაუყენეს?**

— არ ვთვლი, რომ უგულავა, ახალაია, მერაბიშვილი პოლიტპატიმრები არიან. სხვა საქმეა, თუ სამართალდამცავები ან არაკომპეტენტურები არიან, ან ვიღაცის დაკვეთას ასრულებენ. და საერთოდ, ეტყობა, **ქვეყანაში პროფესიონალიზმისა და პატრიოტიზმის მწვავე დეფიციტია. ორმაგი და სამმაგი სტანდარტი მოქმედებს.** ე.წ. „კაბელების საქმეზე“ სასამართლოს განაჩენი არ გამოუტანია, ხალხი კი სამსახურებში დააბრუნეს. უამრავი ადამიანი სასამართლოს გადაწყვეტილებით ვერ ახერხებს სამართლის აღსრულებას. შერჩევითი სამართლის კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

**— პრეზიდენტსა და პრემიერს შორის სასტიკი დავა მიმდინარეობს ისეთ ბავშვურ თემაზე, როგორიც უცხოეთში ვიზიტია. სწორად მიგაჩნიათ პატარა, გაჭირვებული ქვეყნიდან ორი მრავალრიცხოვანი დელეგაციის გამგზავრება აშშ-ში არცთუ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე?**

— დანახარჯებთან ერთად, უბრალოდ, არასერიოზულია ასეთი ქმედებები და კინკლაობა. ჩვენ განუხრელად გვიკიჟინებდნენ, რომ კონსტიტუციის ის ვერსია, რომელიც ახლა მოქმედებს, შეესაბამებოდა დემოკრატიულ ნორმებს, ვენეციის კომისიამაც მოიწონა, არადა, მასში უამრავი სადავო საკითხია — დარღვეულია ბალანსი ხელისუფლების შტოებს შორის და ა.შ. მაგრამ საქმე კონსტიტუციაშიც არ არის. ზოგ ქვეყანას, მაგალითად, ინგლისს, ისრაელს, ახალ ზელანდიას, სულაც არ აქვს კონსტიტუცია, მაგრამ იქ არსებობს პოლიტიკური ურთიერთოების ჩამოყალიბებული ტრადიციები. ვიცოდით, რომ 2013 წლიდან მმართველობის საპარლამენტო მოდელი გვაქვს, შემდეგ გადაწყვიტეს პრეზიდენტი პირდაპირი არჩევნებით აერჩიათ, რის გამოც, პრეზიდენტის ლეგიტიმაცია მაღალია. სხვა საქმეა, რომ იგი ივანიშვილის ხათრით აირჩიეს. მოკლედ, მივიღეთ გაურკვეველი მოდელის მმართველობა, სადაც პრეზიდენტი და პრემიერი ფუნქციებზე კამათობენ. ნუთუ ამდენი ხნის განმავლობაში არ შეიძლებოდა ამ კაზუსების მოგვარება?

**— მნიშვნელოვანია კონფერენციები და შეხვედრები, სადაც პრემიერი და პრეზიდენტი მიდიან?**

— ასეთ შეხვედრებზე ქვეყნიდან დელეგაცია უნდა წავიდეს, მაგრამ არა რამდენიმე და არც ასეთი კინკლაობა უნდა იყოს.

**— რა ხდება მსოფლიოში? ყოველდღე რაღაც იცვლება და არცთუ სასიკეთოდ...**

— საბერძნეთში არჩევნებია. **ალექსის ციპრასმა** მეორედ გაიმარჯვა, მაგრამ ახლა დგება ეტაპი, როდესაც კრედიტორების მძიმე პირობებია შესასრულებელი. **საბერძნეთი ევროპისთვის „ტროას ცხენია“ და პრობლემები ასე ადვილად არ მოგვარდება.** საერთოდ, **რუსეთის სანქციებისა და ახლო აღმოსავლეთიდან დევნილთა დიდი ნაკადის გამო, ევროპაში მძიმე ფონია.** ამჟამინდელი მიგრაცია შუა საუკუნეების დიდი გადასახლების პერიოდს მაგონებს. **10–15 წლის განმავლობაში ევროპაში შეიძლება დიდი ცვლილებები მოხდეს და დღევანდელი სახით ევროპამ აღარც კი იარსებოს — ან მოხდება ნაციონალიზმის აღზევება, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება საზოგადოების სტრუქტურა და შინაარსი. როგორც ევროპელმა ლიდერებმა განაცხადეს, მულტიკულტურიზმი ევროპაში ჩაიშალა.**

მიგრანტები ადგილობრივ კანონებს არ ემორჩილებიან და თავიანთი წესებით ცხოვრობენ, ამიტომ არ ხდება მათი ასიმილირება. გარდა ამისა, პოლიტიკოსები იმაზე კი არ ზრუნავენ, რომ მიგრანტების სამშობლოში – ახლო აღმოსავლეთში — მოაგვარონ არეული სიტუაცია, რაც მათივე ქმედებების გამოა და, პირველ რიგში, ამერიკის პოლიტიკის გამო, არამედ მიგრანტთა კვოტებსა და მათ განსახლებაზე დავობენ.

**— მსოფლიოში არეულობაა, ვითარება ყველგან დაძაბულია, ქვეყნები ცდილობენ, საფრთხეები თავიდან აიცილონ და თითქმის თავდაცვის რეჟიმში იმყოფებიან, ამ დროს კი საქართველოს თავდაცვის მინისტრი „ბი-ბი-სი“-ს ინტერვიუს აძლევს და ამბობს, თუ საქართველოში ომი დაიწყება, გმირებად დავიხოცებითო. უკვე მერამდენედ გისვამთ ამ შეკითხვას: თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი პატრიოტია?**

— **თინა ხიდაშელმა, თუ სურს, ასეთი განცხადებები თავისი სახელით გააკეთოს, მაგრამ ადამიანებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, ომი არ უნდათ.** ასეთი განცხადება გამსჭვავლული არ არის მოსახლეობაზე ზრუნვით. ხელისუფლება ვალდებულია, თავის მოსახლეობას თავიდან აარიდოს საფრთხეები და დაპირისპირების ეპიცენტრში არ მოაქციოს. ამ შეთხვევაში კი პირიქითაა — **ხიდაშელის ქმედებები და განცხადებები გლობალური დაპირისპირების ეპიცენტრში გვახვედრებს.**

**«ადამიანები იმედოვნებდნენ, რომ «ნაციონალები» პოლიტიკური სცენიდან ჩამოვიდოდნენ, მაგრამ საპირისპირო სურათი გვაქვს. საინფორმაციო სივრცეში თითქმის არაფერი შეცვლილა — ისევ «ნაციონალები», ახლა უკვე მოსახლეობის „კეთილდღეობაზე მზრუნველი“ ოპოზიციის რანგში, თანაც ყოველდღიური მუქარით, რომ მალე ხელისუფლებაში დაბრუნდებიან»**

**მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაინგრა, საქართველო ყველაზე ცუდ ვითარებაში აღმოჩნდა. ამ ნანგრევების ყველა აგური ჩვენ მოვიხვედრეთ. დავკარგეთ ტერიტორიები. გლობალური ომი ჩვენს ტერიტორიაზე გავმართეთ, ახლა დაპირისპირების ეპიცენტრში ვართ.** ჩვენი პოლიტიკა ხალხის კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს და არა ელიტის კეთილდღეობას. 2008 წლის ომის დროს კარგად ვნახეთ ჩვენი ელიტის ქმედებები — დაიხურავენ ქუდს და დატოვებენ ქვეყანას. უბრალო ადამიანებმა რა ქნან, სად გაიქცნენ?

**— თინა ხიდაშელმა თავის დროზე განაცხადა: ჩემი შვილები პატარები არიან, პატრიოტიზმი არ იციან, გაიზრდებიან და მერე გადაწყვეტენ, რომელი ქვეყანა უყვარდეთო.**

— დღევანდელი ლიბერალიზმი აბსურდში გადადის. ჩვენი ლიბერალებიც ამ აბსურდულ თამაშებს თამაშობენ და თავს პროგრესულად მოაზროვნეებს უწოდებენ. ლიბერალური პოსტულატები ქართულ კონცეფციას არ შეესაბამება. **შვილმა სამშობლოს სიყვარული დედის რძესთან ერთად უნდა შეითვისოს. ქართველი დედა ვალდებულია, სამშობლოს სიყვარული დაბადებიდან ჩაუნერგოს შვილს. ზოგი ახალგაზრდა იმასაც ამბობს — შვილს არ მოვნათლავ, გაიზრდება და რელიგიას თვითონ აირჩევსო... სწორედ „ნაციონალების“ პოლიტიკამ და განათლების სისტემის საშუალებით სოციალიზაციის მეთოდებმა მიგვიყვანა აქამდე.**

**— საქართველოს პატრიარქმა ვრცელი ინტერვიუ მისცა რუსულ გამოცემას, სადაც ის ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე საუბრობს...**

— **პატრიარქმა თქვა, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები უნდა დალაგდეს.** მის აზრს მივესალმები. პატრიარქმა ყველაზე კარგად იცის ამ სიტყვების ფასი. ჩვენი დაპირისპირება ტექნოლოგიების შედეგია. ორივე მხარემ ბევრი შეცდომა დაუშვა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები არაპრაგმატული და ემოციურია, ამას კარგად იყენებს ე.წ. მეხუთე კოლონა, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. ჩვენ საერთო სიწმინდეები გვაქვს და ეს დაპირისპირება საკრალურადაც არ არის გამართლებული. ყველა ფიქრობს, რომ მხოლოდ საქართველოა დაზარალებული. **რუსეთსაც სჭირდება საქართველო და მასაც დიდი ზიანი ადგება ამ დაპირისპირების გამო, მაგრამ იქაც არიან ძალები, რომლებიც ჩვენი ურთიერთობის მოგვარებას ეწინააღმდეგებიან.**

**პოლიტიკა, რომელსაც საქართველო აწარმოებს, ჩვენი გეოპოლიტიკური კოდის წინააღმდეგ არის მიმართული. დღეს ჩვენ კრიტიკულ მდგომარეობაში ვართ, ყველა მეორე ადამიანი ქვეყნიდან გარბის.** შეხედეთ, რა დაემართა ეროვნულ ვალუტას, ესეც მართული პროცესია. როდემდე უნდა ვუყუროთ მოსახლეობის გაჩანაგებას, რადიკალური ზომები ხომ უნდა გატარდეს. **ნოდარ ჯავახიშვილმა ძალიან სწორად თქვა — ქართველები ლარის ასეთ კურსს ვერ გადაიტანენ. აზერბაიჯანმა ფიქსირებული კურსი დაადგინა, ხომ შეიძლება, რაღაც გზა აქაც გამოინახოს. კრიტიკას ვერ უძლებს ზოგიერთი ქართველი ექსპერტის განცხადებები, რომლებიც ეკონომიკას პოლიტიკისგან განყენებულ ასპექტში განიხილავენ და სტანდარტულ ფრაზებს იმეორებენ.** საქართველოს თვითგანწირული, მცოდნე და პატრიოტი ადამიანები სჭირდება ხელისუფლებაში და არა სხვა ქვეყნის მარიონეტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტუაცია არ გამოსწორდება და ჩვენი არსებობაც კითხვის ქვეშ იქნება.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

სხვა საქართველო სად არის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გონივრულად რომ მოვქცეულიყავით, გვქონდა შესაძლებლობა, დღეს მართლაც დამოუკიდებელი ქვეყანა გვქონოდა, მაგრამ ყველაფერი პირიქით გავაკეთეთ და ამას დღესაც ვერ ვაცნობიერებთ. როგორ შეიძლება, ადამიანი გამოჯანმრთელდეს, როდესაც დიაგნოზის გაგონებაც არ სურს?! ჩვენი საქმეც ასეა".**

**მოსახლეობის დიდი ნაწილის მხარდაჭერით საქართველომ 24 წლის წინათ ნანატრი დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თუმცა წლების შემდეგ მაინც აქტუალურია კითხვა — არის კი დღეს ქვეყანა ჭეშმარიტად დამოუკიდებელი და თავისუფალი გარე ძალების ჩარევისგან? რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ და როგორ განვლო თავისუფლების 24 წელი 1990-იანი წლებიდან დღემდე? — ამ საკითხებსა და პრობლემების გადაჭრის გზებზე საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები ჩვენს რუბრიკაში ისაუბრებენ. რუბრიკის სტუმარია ფოტოხელოვანი ИУРИ МЕЧИТОВИ.**

# იური მეჩითოვი: თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელის დანიშვნაც მიუთითებს, რომ საქართველო სუვერენული ქვეყანა არ არის

**— უკვე 24 წელი გავიდა, რაც ჩვენმა ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველო სუვერენული სახელმწიფოა?**

— ჩვენს ქვეყანას არ მოუპოვებია რეალური დამოუკიდებლობა, ჩვენ მხოლოდ ფორმალური დამოუკიდებლობა გვაქვს, ამიტომ **იმის თქმა, რომ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ვფიქრობ, მცდარია. მესმის, რომ დღეს სრულიად დამოუკიდებელი მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ არის და ყველა მეტნაკლებად დამოკიდებულია ვიღაცაზე, მაგრამ ჩვენი ქვეყანა განსაკუთრებით დამოკიდებულია ყველასა და ყველაფერზე.**

ეს წლები, შეიძლებოდა, ქვეყნისთვის უკეთესად გამოგვეყენებინა. არადა, ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა სახელმწიფო, რომელიც არც ერთი პარამეტრით არათუ აკმაყოფილებს საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნებს, არამედ კატეგორიულად ეწინააღმდეგება მას. ეს ვითარება უნდა შეიცვალოს. მხოლოდ მოსახლეობის ერთი პროცენტი, ე.წ. ელიტა არ უნდა ცხოვრობდეს კარგად.

**— რატომ მოხდა ასე, რატომ მივიღეთ ასეთი ქვეყანა და არა რეალურად დამოუკიდებელი სახელმწიფო?**

— **ეს იმიტომ მოხდა, რომ ჩვენ თავიდანვე არასწორი გზით წავედით. ეს იყო გზა არაფრისკენ. ნუ ეწყინება ირაკლი წერეთელს და მე ამ გზას ირაკლი წერეთლის გზას ვუწოდებ. ემოციური საუბრები, რომ აი, ჩვენ ბალახს შევჭამთ, ნატოში შევალთ, ყველაფერი კარგად იქნება და აშ., არაფრის მომცემი აღმოჩნდა.**

სამწუხაროდ, ჩვენ ახლაც ვერ ვახერხებთ, დავსხდეთ, დავფიქრდეთ და გონივრულად გავაანალიზოთ მოვლენები. მაგალითად, თოქშოუებშიც ყველა საუბარი ერთმანეთისთვის მხოლოდ სხვადასხვა იარლიყის მიწებებით სრულდება. **ჩვენ ვეწინააღმდეგებით აზროვნების გზას — მერაბ მამარდაშვილის გზას. აზროვნება კი ცოდნასაც მოიცავს, ანალიზსაც და შედეგსაც. „შაბლონებით აზროვნებამ" კი ასეთ „დამოუკიდებლობამდე" და, რეალურად, ქვეყნის „დაქცევამდე" მიგვიყვანა.**

**— ხელისუფლება თუ არის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში?**

— რა თქმა უნდა, არ არის. სამარცხვინო თავდაცვის მინისტრი გვყავს, რომელმაც ახალხან „ბი-ბი-სი"-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ თურმე ჩვენ, ყველანი, გმირულად უნდა დავიღუპოთ. თვითონ არ დაიღუპება, ჩვენ კი ყველას დაგვღუპავს. **თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელის დანიშვნა მიუთითებს, რომ საქართველო სუვერენული ქვეყანა არ არის. როგორ დაინიშნა ის მინისტრად? — ამერიკის ელჩი მივიდა ბიძინა ივანიშვილთან და მათი საუბრის შემდეგ ხიდაშელი დაინიშნა თავდაცვის მინისტრად.** ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. **ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საკუთარ ქვეყანას არ ვმართავთ.**

ეს ხელისუფლება შეზღუდულია წინა ხელისუფლების ვალებით, ჩვენ 12-13 მილიარდი აშშ დოლარის ვალი გვაქვს და ქვეყანა, რომელსაც ამხელა ვალი აქვს, დამოუკიდებელი ვერ იქნება.

**— ბატონო იური, ბრძანეთ, რომ საქართველო დღესაც არ არის სუვერენული სახელმწიფო, თუმცა, მაგალითად, ხელოვნება ხომ გათავისუფლა ცენზურისგან?**

— პატარა მაგალითს მოვიყვან: ლევან ბერძენიშვილმა იკითხა, — რატომ არის ბერძნული ტრაგედიები ფანტასტიკური და ერთმანეთზე უკეთესიო. იმიტომ, რომ იქ ძალიან მკაცრი კანონიკა იყო, არსებობდა კანონები, რომლებიც უნდა დაგეცვა, ანუ, ფაქტობრივად, ეს ცენზურა იყო. შეიძლება ითქვას, რომ ცენზურა არ არის ისეთი სახიფათო. **სწორედ ცენზურის დროს შექმნა ქართველმა ერმა ბრწყინვალე ნაწარმოებები მუსიკაში, კინემატოგრაფიაში, მწერლობაში და ა.შ. არ არსებობს ქვეყანა, რომელშიც ელემენტარული ცენზურა მაინც არ არსებობს. თვითცენზურა მაინც აქვს ადამიანს. აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს და ქადაგება აბსოლუტური თავისუფლებისა არის ქადაგება არაფრისა.**



ბოლო 25 წლის განმავლობაში რა შეიქმნა და რით შეიძლება ვიამაყოთ? ამიტომ ცენზურაზე საუბარი სასაცილოა. არ ვამბობ, რომ დღეს სპეციალურად უნდა შემოვიღოთ ცენზურა, რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ცენზურის პერიოდში ცენზურა გიბიძგებდა ალეგორიული აზროვნებისკენ, სხვანაირად თქმისკენ. ხელოვნებაც ეს არის — სხვანაირად, სხვაგვარად თქმა. ვისაც სურს, თავის სათქმელს ყველა ამბობს; ხოლო ვისაც სათქმელი არაფერი აქვს, აბსოლუტურად თავისუფალია, უნაყოფოა. აი, ასეთ უნაყოფობაში ვართ ახლა ჩვენ, რადგან **დღეს რეალურად ხელოვნებაც არ არსებობს.**

**«ამერიკის ელჩი მივიდა ბიძინა ივანიშვილთან და მათი საუბრის შემდეგ ხიდაშელი დაინიშნა თავდაცვის მინისტრად. ბევრი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საკუთარ ქვეყანას არ ვმართავთ»**

**— ვითარებიდან გამოსავალს ხედავთ?**

— მსოფლიოში მიმდინარეობს დესუვერენიზაცია, ის სახელმწიფოებიც კი, რომლებსაც მეტი საშუალება ჰქონდათ და მეტი მოსახლეობა ჰყავდათ, კარგავენ სუვერენიტეტს. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ გერმანიაც კი არ არის სუვერენული სახელმწიფო, ვინაიდან იღებს ისეთ კანონებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის არსებობას, მოსახლეობის ინტერესებს და სუვერენიზაციის შანსი, რომელზეც ილია ჭავჭავაძე საუბრობდა, როდესაც „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს", ჩვენ 25 წლის წინათ დავკარგეთ. **გონივრულად რომ მოვქცეულიყავით, გვქონდა შესაძლებლობა, დღეს მართლაც დამოუკიდებელი ქვეყანა გვქონოდა, მაგრამ ყველაფერი პირიქით გავაკეთეთ და ამას დღესაც ვერ ვაცნობიერებთ. როგორ შეიძლება, ადამიანი გამოჯანმრთელდეს, როდესაც დიაგნოზის გაგონებაც არ სურს?! ჩვენი საქმეც ასეა.**

ჩვენ მოსახლეობის 1/3 დავკარგეთ, რისი აღიარებაც არ გვინდა. მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნიდან წავიდა, ამიტომ არჩევნებით ვერაფრის შეცვლას ვერ შევძლებთ. ან არჩევნები როგორ უნდა ჩატარდეს, ხალხი დათვლილი არ გვყავს?! საარჩევნო სისტემა მოსაწესრიგებელია. ქვეყანაში შეიქმნა კლანური მმართველობა, რომლის მოშორებაც არჩევნებისა და დემოკრატიული გზით შეუძლებელია და რომელიც სხვა პარტიებს საშუალებას არ აძლევს, ხმა ამოიღონ, თავისი სიტყვა თქვან. თითქმის ყველა ტელეკომპანია სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციისა და უცხო ქვეყნის გავლენის ქვეშ იმყოფება.

ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ყოველთვის კარგად გრძნობს თავს და, როცა ადამიანი კარგადაა, მას ნაკლებად ესმის იმ ადამიანის, რომელიც ცუდადაა. ხელისუფლებას არაფრის შეცვლა არ შეუძლია, ამის ბერკეტები არ აქვს და ვართ ასე ხელფეხშეკრულები.

მართალია, ძალიან ცუდი სურათი დაგიხატეთ, მაგრამ სჯობს, სიმართლე ითქვას. მე ჭეშმარიტებაზე არ ვდებ თავს, მაგრამ ეს ჩემი აზრია და შემიძლია, რასაც ვამბობ, ყველაფერი დავასაბუთო, რადგან ამაზე ბევრი მიფიქრია. გული მტკივა, ასეთ დღეში რომ აღმოვჩნდით. თუმცა, როცა აბსურდული ლოზუნგებით მოვდიოდით და სისულელეებს ვლაპარაკობდით, ასეთი შედეგი მოსალოდნელი იყო. როდესაც მცდარ გზას დაადგები, როდესაც საპირისპირო მხარეს მიდიხარ, როგორ მიხვალ ჭეშმარიტებამდე? ვერც მივდივართ. **საქართველოში, ფაქტობრივად, ახლაც ლიბერალურად შეფუთული ტოტალიტარული რეჟიმია.**

**«როცა აბსურდული ლოზუნგებით მოვდიოდით და სისულელეებს ვლაპარაკობდით, ასეთი შედეგი მოსალოდნელი იყო. როდესაც მცდარ გზას დაადგები, როდესაც საპირისპირო მხარეს მიდიხარ, როგორ მიხვალ ჭეშმარიტებამდე? ვერც მივდივართ. საქართველოში, ფაქტობრივად, ახლაც ლიბერალურად შეფუთული ტოტალიტარული რეჟიმია!»**

ესაუბრა **შორენა ცივქარაშვილი**

მსოფლიო



## სირიის ავიაციამ «ისლამური სახელმწიფოს» პოზიციები დაბომბა

სირიის ავიაციამ მასშტაბური იერიში განახორციელა პალმირასა და იდლიბში **„ისლამური სახელმწიფოს" პოზიციებზე.** სირიის სამთავრობო ავიაგამანადგურებლებმა 25-ჯერ დაბომბეს ტერორისტთა პოზიციები. შედეგად, სულ მცირე, 26 ადამიანი დაიღუპა პალმირაში, მათ შორის — 12 მებრძოლი. 17 ადამიანი ემსხვერპლა დაბომბვას ქვეყნის ჩრდილოდასავლეთით, იდლიბში. სააგენტო „როიტერის" ინფორმაციით, სირიის ავიაცია იყენებს ახალ იარაღს, რომლითაც, სავარაუდოდ, რუსეთის თავდაცვის უწყებამ მოამარაგა.



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**25 წლის განმავლობაში, რაც საქართველო დამოუკიდებელია, არასდროს ასეთი უზარმაზარი საფრთხეები არ ყოფილა, ვინაიდან ახლა ძალიან დაძაბულია საერთაშორისო მდგომარეობა, ამიტომ არის განსხვავებული პოლიტიკა და რიტორიკა საჭირო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორიენტირები უნდა შეიცვალო, არა, მოქმედების მიმართულება უნდა შეცვალო. დღეს ვინმეს ინტერესებზე თამაში დიდი საფრთხეა ჩვენი ქვეყნისთვის. ეს კატასტროფის გზაა!**



## დემურ გიორხელიძე:

# რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება დღეს ჩვენი უსაფრთხოების ნომერი პირველი საკითხია

**რუსეთის სამხედრო შეიარაღების გაძლიერების პარალელურად, საქართველოც ცდილობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებას, ყოველ შემთხვევაში, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები სწორედ ამ მიზნით ხსნიან საქართველოში ნატოს საწვრთნელი ცენტრებისა თუ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების განლაგებას. თუმცა საკითხავია, ამგვარი ქმედებები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას აძლიერებს თუ მოსალოდნელ საფრთხეებს — ამ საკითხზე „საქართველო და მსოფლიოს“ ექსპერტი დემურ გიორხელიძე ესაუბრა.**

— საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების ერთადერთი გზა გონიერების, სიფრთხილის გამოჩენა, საქართველოს ინტერესების ფარგლებში მოქმედებაა და არა რაღაც სულელური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებისა და სხვა ისეთი სამხედრო ტექნიკის შემოტანა, რომელიც საქართველოში კონდიციური ვერასდროს იქნება. **ამ თავდაცვის საშუალებების განადგურება რუსეთისთვის რთული არ არის, ვინაიდან რუსებს აქვთ ნებისმიერი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის გამანადგურებელი ახალი ბალისტიკური რაკეტები. სხვათა შორის, ამერიკელებმა შეშფოთებაც კი გამოთქვეს ამის გამო და რუსები ხელშეკრულებების დარღვევაშიც კი დაადანაშაულეს.** რუსები ამ სფეროში კონკურენტუნარიანები არიან და ვფიქრობ, სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს ომობანას თამაში, მით უფრო, ისეთ ქვეყანასთან დაპირისპირება, როგორიც რუსეთია.

ამგვარი ქმედებების წყალობით, კონფლიქტისა და სერიოზული დაპირისპირების შემთხვევაში, საქართველო ბირთვული დარტყმის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება. ასეთ ვითარებაში კი საქართველოსთვის ყველაზე დიდი თავდაცვისუნარიანობა გონიერების გამოჩენაა. მაგრამ, ასეთი რთული და სახიფათო მდგომარეობის მიუხედავად, ჩვენი პოლიტიკური ლიდერებისთვის მთავარია, რაღაც განცხადებები აკეთონ და ვინმეს თავი მოაწონონ, ქართული სახელმწიფო კი საერთოდ არ ადარდებთ.

**— თუ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ვერ გააძლიერებს, მაშინ რისთვის იყო საჭირო ცოტა ხნის წინათ საფრანგეთთან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი ხელშეკრულების გაფორმება?**

— მოდი, ასე ვთქვათ: **საფრანგეთის მეშვეობით საქართველოს საჰაერო სივრცის დაცვა ზღაპარია,** მაგრამ ეს არის ერთგვარი მოდა და იდეაფიქსების ყალბი გამოდევნება, რომელმაც უკეთესი ვერ გახადა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, პირიქით, ჩვენ ტერიტორიის 20% დავკარგეთ ისე, რომ მისი დაბრუნების პერსპექტივა მხოლოდ მსოფლიოში დიდი კატაკლიზმების ან საოცრად დიდი ცვლილებების შედეგად შეიძლება გაჩნდეს.

დიდი სიფრთხილე გვმართებს, თუმცა **საფრთხე გვემუქრება იმ შემთხვევაში, თუ ვინმე იგრძნობს, რომ ჩვენგანაც საფრთხე მომდინარეობს.** როგორც კი რომელიმე დიდი სახელმწიფო, ხაზგასმით ვამბობ, რომელიმე და არა ერთი, იგრძნობს, რომ ჩვენ მისთვის საფრთხეს წარმოვადგენთ, ყველაზე ცუდს უნდა ველოდოთ. ვერანაირი მოკავშირეობა ვერ გვიშველის ერთი მარტივი მიზეზის გამო: სამხრეთ კავკასიაში არასდროს იქნება მსოფლიოს მთავარი მოთამაშეებიდან ერთი ძალა დომინანტი. ეს გამორიცხულია.

ჩვენ მსოფლიო პოლიტიკის ეპიცენტრში მოვხვდით. ეს, ერთი მხრივ, კარგია, თუ გონივრულად მოვიქცევით, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან სახიფათოა.

**— რუსეთის საგარეო უწყების წარმომადგენლები ბოლო დროს დაუფარავად აცხადებენ, რომ ნატოსკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი რუსეთის მხრიდან უპასუხოდ არ დარჩება და ამას ქართველი პოლიტიკოსებიც უნდა აცნობიერებდნენ. ათვითცნობიერებენ თუ არა ჩვენი პოლიტიკოსები მოსალოდნელ საფრთხეებს?**

— როდესაც ჩვენს პოლიტიკოსებს ვუსმენ, ისინი სადღაც სხვა კონტინენტზე მგონია. რა თქმა უნდა, რუსეთისგან მომდინარე საფრთხე რეალურია. **რუსეთს აქვს თავისი თვალსაზრისი უსაფრთხოებაზე, სწორია ის თუ არა, მეათეხარისხოვანია და, თუ რუსები იგრძნობენ, რომ საქართველოსგან რაიმე საფრთხე ემუქრებათ, ყველაზე ცუდისთვის უნდა ვიყოთ მზად...**

აი რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების საკითხი. შეიძლება ითქვას, დღეს ეს ჩვენი უსაფრთხოების ნომერი პირველი საკითხია და სხვა შემთხვევაში ყველანაირი მცდელობა თავდაცვისა წყალში ჩაგვეყრება.

ჩვენ უფრო მენტალური პრობლემა გვაქვს. **ქვეყანაში ყალბი წარმოდგენებისა და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის სიჭარბე და პოლიტიკური ალღოსა და პასუხისმგებლობის დეფიციტია.** სერიოზული რეგიონული კონფლიქტისგან ღმერთმა დაგვიფაროს, ასეთ შემთხვევაში საქართველო მართლაც უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

**— რუსეთის საგარეო უწყების განცხადებების პარალელურად, თინა ხიდაშელის განცხადება, რომ ჩვენ გმირებად დავიხოცებით, ხომ არ ნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლება ახალ ომს ელოდება?**

— ასე ვერ ვიტყოდი. ქალბატონი თინა ნამდვილად გონიერი ადამიანია და მან მიანიშნა, რომ ომის შემთხვევაში საქართველო, უბრალოდ, განწირულია და ყველანი დავიხოცებითო, ანუ თავდაცვის მინისტრს არაფერი გადაუჭარბებია. ეს რეალობაა, რადგან **ახლა რუსეთთან ომის დაწყება სიგიჟის ტოლფასია.** გასაგებია, რომ ყველა დიდ მოთამაშეს განსაკუთრებული ინტერესი აქვს სამხრეთ კავკასიის მიმართ, მაგრამ ეს კარგიც შეიძლება იყოს. გონივრული პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში კი, საქართველოს ნამდვილად არაფერი ემუქრება. ეს უნდა გავითვალისწინოთ.

**— მაგრამ დღეს ვხედავთ პოლიტიკოსების გონივრულ მოქმედებას?**

— წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას მომავალი არ ექნება და არც ქართული სახელმწიფო იარსებებს, რადგან საქართველო ურთულეს მდგომარეობაშია. **25 წლის განმავლობაში, რაც საქართველო დამოუკიდებელია, არასდროს ასეთი უზარმაზარი საფრთხეები არ ყოფილა, ვინაიდან ახლა ძალიან დაძაბულია საერთაშორისო მდგომარეობა, ამიტომ არის განსხვავებული პოლიტიკა და რიტორიკა საჭირო. ეს იმას არ ნიშნავს რომ ორიენტირები უნდა შეიცვალო, არა, მოქმედების მიმართულება უნდა შეცვალო. დღეს ვინმეს ინტერესებზე თამაში დიდი საფრთხეა ჩვენი ქვეყნისთვის. ეს კატასტროფის გზაა.**

ესაუბრა **შორენა ციქარაშვილი**

**«კონფლიქტის შემთხვევაში საქართველო ბირთვული დარტყმის საფრთხის ქვეშ აღმოჩნდება»**

**«ქვეყანაში ყალბი წარმოდგენებისა და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობის სიჭარბე და პოლიტიკური ალღოსა და პასუხისმგებლობის დეფიციტია!»**

**«რუსეთს აქვს თავისი თვალსაზრისი უსაფრთხოებაზე, სწორია ის თუ არა, მეათეხარისხოვანია და, თუ რუსები იგრძნობენ, რომ საქართველოსგან რაიმე საფრთხე ემუქრებათ, ყველაზე ცუდისთვის უნდა ვიყოთ მზად»**



# პრეზიდენტი და პრემიერი აშშ-ში ცალ-ცალკე წავლენ

**ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოდან ორი დელეგაცია გაემგზავრება. ერთს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს, მეორეს კი — პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. მთავრობის მეთაური აშშ-ს 25 სექტემბერს ეწვევა, პრეზიდენტის გამგზავრება კი 27 სექტემბერსაა დაგეგმილი.**

საქართველოს პრემიერმინისტრი გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე სესიას დაესწრება, 1 ოქტომბერს კი სესიის მონაწილეებს სიტყვით მიმართავს. გარდა ამისა, ასამბლეის ფარგლებში დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრები და არაერთ ღონისძიებაში მონაწილეობა. პრეზიდენტი კი აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში ნიუ იორკსა და ვაშინგტონს ეწვევა. გიორგი მარგველაშვილი ნიუ იორკში მონაწილეობას მიიღებს დისკუსიაში „აღმოსავლეთ ევროპის მომავალი: ქალთა როლის გაძლიერება“, სადაც ის ლიტვის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ მიიწვია. საქართველოს პრეზიდენტი ნიუ იორკში არაერთ ორმხრივ შეხვედრას გამართავს. ორმხრივი შეხვედრები და საჯარო გამოსვლებია დაგეგმილი დედაქალაქ ვაშინგტონშიც. აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტი ვიზიტის ფარგლებში ერთ-ერთ ორმხრივ შეხვედრას უკრაინელ კოლეგა პეტრე პოროშენკოსთან გამართავს.

აშშ-ში საქართველოს პრემიერმინისტრისა და პრეზიდენტის ვიზიტები 2 ოქტომბერს დასრულდება. არსებული ინფორმაციით, როგორც ირაკლი ღარიბაშვილი, ისე გიორგი მარგველაშვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში საკმაოდ წარმომადგენლობითი დელეგაციებით გაემგზავრებიან.



მოკლედ

## ზაზა პაპუაშვილი: მე სიმართლისთვის ვიბრძოდი და ახლა თვითონაც ბევრი კითხვა გამიჩნდა



**საპარლამენტო უმრავლესობის წევრს — ზაზა პაპუაშვილს პროკურატურის მიმართ კითხვები დაუგროვდა, რადგან ვერც ერთ ყოფილ თანამდებობის პირს დანაშაული ვერ დაუმტკიცდა. დეპუტატი აღნიშნავს, რომ საგამოძიებო უწყება მტკიცებულებებს ვერ აგროვებს, რის გამოც სასამართლო არასწორ გადაწყვეტილებებს იღებს.** „რაც შეეხება იმას, რომ ყოფილ თანამდებობის პირებს, რომლებიც კონსტიტუციას ფეხქვეშ თელავდნენ, პატიმრებს აწამებდნენ, დღეს დანაშაული ვერ უმტკიცდებათ. ეს მართლაც პრობლემაა. მე ხელისუფლების შესაცვლელად და სიმართლისთვის ვიბრძოდი და ახლა თავადაც ბევრი კითხვა გამიჩნდა. რატომ უნდა ესროლონ ხელისუფლებას ლაფი იმის გამო, რომ პროკურატურაში ვიღაც საქმეს სათანადოდ ვერ იძიებს, მტკიცებულებებს ვერ დებს, შემდეგ კი სასამართლო არასწორ გადაწყვეტილებას იღებს?! ამაზე თვალს ვერასდროს დავხუჭავ და ამ ყველაფრის ახსნას ველოდები“, — განაცხადა ზაზა პაპუაშვილმა გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ის, რაც ქვეყანაში ხდება, ძალიან საშიშ პროცესებამდე მიგვიყვანს. მოახლოებულ არჩევნებზე რა პირით უნდა შეხედონ ამომრჩევლებს „ქართული ოცნების“ წევრებმა?!“

# ლია მუხაშავრია: ზურაბ ადეიშვილის განკარგულებები დღესაც ძალაშია

2015 წლის 17 სექტემბრის პროცესზე, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოში თითქმის საათ-ნახევრის დაგვიანებით დაიწყო და რამდენიმე საათს გრძელდებოდა, დედაქალაქის ყოფილი მერი გიგი უგულავა წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლეს. სასამართლომ იხელმძღვანელა საკონსტიტუციო სასამართლოს 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქმეზე „გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, რომლის თანახმადაც, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ წინასწარი პატიმრობის ვადა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, გიგი უგულავა კი წინასწარ პატიმრობაში უკვე 14 თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა. ზუსტად 24 საათის შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლომ თბილისის ყოფილ მერს, გიგი უგულავას, 4 წლითა და 6 თვით პატიმრობა შეუფარდა „თბილსერვისის“ საქმეზე, ხოლო რიყის ტერიტორიის გასხვისების საქმეში გაამართლეს ისევე, როგორც საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი. გადაწყვეტილებები 18 სექტემბერს, დაახლოებით 22:30 საათზე, გამოაცხადა მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძემ.

ეს საქმე ასე რომ დასრულდებოდა და ყოფილი თავდაცვის მინისტრის — ბაჩანა ახალაიას საქმეც მიჰყვებოდა, ამაზე გაზეთ „საქართველო და მსოფლიოსთან“ რამდენიმე ხნის წინათ ისაუბრა უფლებადამცველმა ლია მუხაშავრიამ.

მას ინტერვიუ ამჯერადაც ვთხოვეთ.



**«ყველა ამ ადამიანს, რომელთა გარშემოც ხმაურია ატეხილი, დანაშაული ერთ პერიოდში აქვთ ჩადენილი, ისინი იყვნენ თანამდებობებზე და გამოძიება მათ რატომღაც ულუფა-ულუფა უყენებს ბრალს, თანაც ისე, რომ დანაშაულებში მართლდებიან: ხან — ერთში, ხან — მეორეში... პროკურატურის ასეთი მუშაობა შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ქვეყანაში ადამიანების მიმართ პოლიტიკური დევნა ხორციელდება»**

**— თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა ჯერ გამოუშვეს, შემდეგ ისევ დააპატიმრეს. ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში თქვით, უგულავა საქმეს საკონსტიტუციო სასამართლოში მოიგებსო და ახდა კიდეც თქვენი პროგნოზი...**

— საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სწორი იყო, რადგან წინასწარ პატიმრობაში 9 თვეზე მეტი ხნით ადამიანის ყოფნა არ შეიძლება, პატიმრობა უნდა შეწყდეს და შეწყდა კიდეც. შემდეგ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი და ყოფილი მერი ისევ დააპატიმრეს, თანაც უკვე სხვა საქმეზე.

**— ყველამ იცოდა, რომ უგულავა საკონსტიტუციო სასამართლოს მოიგებდა, მაგრამ ზომები არ გატარდა და ის გამართლდა. როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა ზეწოლა საკონსტიტუციო სასამართლოზე „ნაციონალების“ მხრიდან? ყოველ შემთხვევაში, პოლიტოლოგები ასე ვარაუდობენ. თქვენ, როგორც იურისტი, როგორ შეაფასებთ მომხდარს?**

— კი, **„ნაციონალების“ ზემოქმედებით, საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილება ფორსირებულად მიიღო, ჩვენ დღემდე არ გვაქვს სრული გადაწყვეტილების ტექსტი და მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილს ვიცნობთ, რომელშიც ეწერა, რომ უგულავა დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.**

როდესაც საქალაქო სასამართლომ იმსჯელა უგულავას პატიმრობიდან გათავისუფლებაზე, მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი რატომ გამოიყენა?! მათ არ ჰქონდათ საკონსტიტუციო სასამართლოს დასაბუთება, ანუ გადაწყვეტილების ტექსტი, ხოლო ის, რაც სარეზოლუციო ნაწილში ეწერა – „დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს“, ისედაც მკაფიო და ნათელი იყო მე-18 მუხლის მე-4 პუნქტში, რომ არ შეიძლება წინასწარი პატიმრობის ვადა აღემატებოდეს 9 თვეს. უგულავა მართლაც 9 თვეზე მეტ ხანს იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში. საქალაქო სასამართლომ სხვა არაფერი მოითხოვა და მიიღო გადაწყვეტილება, ყოფილი მერი გაეთავისუფლებინა იმავე ღამეს.

**— ქალბატონო ლია, თქვენ ხშირად ამბობთ, რომ თავდაცვის ყოფილი მინისტრის — ბაჩანა ახალაიას დაპატიმრებაც დარღვევებით მოხდა.**

— დიახ, **ახალაიას დაპატიმრებისას დარღვევები იყო, ისევე, როგორც ვანო მერაბიშვილის შემთხვევაში.**

**ყველა ამ ადამიანს, რომელთა გარშემოც ხმაურია ატეხილი, დანაშაული ერთ პერიოდში აქვთ ჩადენილი. ისინი იყვნენ თანამდებობებზე და გამოძიება მათ რატომღაც ულუფა-ულუფა უყენებს ბრალს, თანაც ისე, რომ დანაშაულებში მართლდებიან: ხან — ერთში, ხან — მეორეში... პროკურატურის ასეთი მუშაობა შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ქვეყანაში ადამიანების მიმართ პოლიტიკური დევნა ხორციელდება.**

პროკურატურა ვალდებულია, წინასწარ განსაზღვროს, განჭვრიტოს, დაამუშავოს ბრალდების ყველა ვერსია. **პროკურორებს არავინ აჩქარებდა, ცალ-ცალკე და ნაწილ-ნაწილ წაეყენებინათ ბრალი ამ ადამიანებისთვის. სწორედ ამიტომ არის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები „ნაციონალური მოძრაობის“ მაღალჩინოსნებს პოლიტპატიმრებს უწოდებენ, რაც ლოგიკურია.**

9 თვე პატიმარს საპყრობილეში ამყოფებ, ბრალს ვერ უმტკიცებ, რომ არ გამოუშვა — სხვა ბრალს უყენებ და იმასაც ვერ უმტკიცებ. ასე, შესაძლებელია, ადამიანი 9 წელი ამყოფო პატიმრობაში, მაგრამ ის მუდამ უკანონო პატიმარი იქნება.

**ჩვენდა სამწუხაროდ და ქვეყნის იმიჯის საზიანოდ, ის ოდიოზური ადამიანები, რომლებიც ციხეებში სხედან, პოლიტპატიმრებად ითვლებიან.**

**— რატომ ხდება ასე? პროკურატურაში არაპროფესიონალები არიან თუ რაიმე გარიგებასთან გვაქვს საქმე?**

— არა, პირიქით, პროფესიონალები არიან. **ეს პროკურატურის დანაშაულებრივი სქემის ნაწილია, ზურაბ ადეიშვილის მიერ შემუშავებული სქემის. როდესაც პროკურატურა ყველასთან ერთსა და იმავე „შეცდომას“ უშვებს, ამას ორგანიზებული, შეგნებული დანაშაული ჰქვია. ისინი ყველაფერს მიზანმიმართულად აკეთებენ და შედეგიც შესაბამისია. ეს „ნაცმოძრაობის“ ძალისხმევის შედეგია. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს ქვეყანას პოლიტპატიმრები ჰყავს.**

სამწუხაროა ის, რომ არავინ ისჯება. **ეს ხელისუფლება ამ პროცესებში, სავარაუდოდ, ჩართულია და გარიგებულიც. არადა, ყოველ მათგანს ძალიან მაღალ ხელფასს ვუხდით — ადამიანებს, რომლებიც ქართულ მართლმსაჯულებას ძირს უთხრიან.**

**— ადეიშვილი, სამ წელიწადზე მეტია, აღარ არის თანამდებობაზე, უფრო მეტიც, ის ქვეყანაშიც არ არის...**

— პროკურატურაში ისევ მისი დანიშნული ხალხია, **ზურაბ ადეიშვილის განკარგულებები დღესაც ძალაშია.** ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ **ამ წლების განმავლობაში უფლებადამცველების არც ერთი შენიშვნა არ იქნა გაზიარებული, ყურს არავინ გვიგდებდა. პროკურორებს პასუხს არავინ სთხოვს, ხელისუფლება მათთან გარიგებულია ან მეტისმეტად ბრიყვები არიან.**

**— რა იქნება შემდეგი ნაბიჯი? ამბობენ, პრეზიდენტმა, შეიძლება, ახალაია და მერაბიშვილი შეიწყალოსო...**

— პრეზიდენტს აქვს მსჯავრდებულის შეწყალების ექსკლუზიური უფლება. უფრო მეტიც, ეს საერთაშორისო არენაზე კეთილშობილურ ჟესტადაც შეიძლება ჩაითვალოს, საქართველოს სახელი ამით არ შეილახება, მაგრამ ეს დაკავშირებული არ არის იმასთან, რაზეც ახლა ვსაუბრობთ. პროკურატურის დანაშაული სულ სხვა საქმეა.

**— გასაგებია, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს, ვინც უნდა, ის შეიწყალოს, მაგრამ თქვენ, როგორც იურისტი, რას ფიქრობთ, დამნაშავეები უნდა გაათავისუფლოს, ამის მორალური უფლება აქვს?**

— ხელისუფლების შეცვლის შედეგ ძალიან ცოტა ადამიანის მიმართ განხორციელდა სამართლებრივი დევნა. ვფიქრობ, გაცილებით მეტი იყო დასასჯელი. არ ვარ მომხრე, სისასტიკე ჩაედინათ ამ ადამიანების მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მართლაც ჩაიდინეს სისასტიკე. **დავუშვათ, ყველას ვერ დააპატიმრებდნენ, მაშინ აუცილებლად უნდა გაესაჯაროებინათ ამ ადამიანების დანაშაულები, გვცოდნოდა მათი გვარები, აკრძალათ მათთვის საჯარო სამსახურებში მუშაობა და მაღალი ტრიბუნიდან გამოსვლა. ეს ძალიან დიდი და ჰუმანური აქტი იქნებოდა, თუ მაინცდამაინც მათი ციხეებში გამომწყვდევა არ სურდათ. ეს იქნებოდა საუკეთესო გადაწყვეტილება, რომელიც მოგვცემდა საშუალებას, დღეს დამნაშავეებისთვის არ გვესმინა და ჩვენთვის ჭკუა არ დაერიგებინათ.**

**ყველა დამნაშავე, რომელთა დანაშაულიც ხელის გულზე დევს, მართლმსაჯულებას გაექცა.**

**— ანუ თქვენ მომხრე იყავით, რომ „ნაციონალური“ რეჟიმი გასამართლებულიყო?**

— ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხი ყველასთვის რომ მოეთხოვათ, ანდა დაედასტურებინათ ბრალი, რის შემდეგაც ავტომატურად მოხდებოდა რეჟიმის გასამართლებაც. დღეს რა ვითარებაა? ვიღაცებს წაუყენეს უსუსური ბრალი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებმა არ ცნეს და ძებნაც არ დაიწყეს. დაზარალებულებისთვის არაფერი გაკეთდა, სამართალი არავისთვის აღსდგა.

**ის, რაც ქვეყანაში ხდება, ძალიან საშიშ პროცესებამდე მიგვიყვანს. მოახლოებულ არჩევნებზე რა პირით უნდა გაუსწორონ თვალი ამომრჩევლებს „ქართული ოცნების“ წევრებმა?!**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**



## ხორვატიამ სერბეთთან საზღვარი ჩაკეტა

**ხორვატიამ სერბეთთან საზღვარი ჩაკეტა. მიგრანტების დიდი რაოდენობის გამო რვა სასაზღვრო-გამშვებმა პუნქტმა მუშაობა შეაჩერა.** მათ სხვა არჩევანი არ ჰქონდათ, ვინაიდან 10 000-ზე მეტმა მიგრანტმა უკვე გადაკვეთა ქვეყნის საზღვარი. აფრიკელი და აზიელი მიგრანტების ნაკადი ხორვატიისკენ მას შემდეგ დაიძრა, რაც მათ საზღვარი უნგრეთმა ჩაუკეტა. პარალელურად, სლოვენიაში მიგრანტთა ჯგუფი დააკავეს და ისინი ხორვატიაში დააბრუნეს. თავშესაფრის მაძიებელთა რეკორდულმა რაოდენობამ ევროკავშირში პოლიტიკური კრიზისი წარმოქმნა.



„ნაციონალური მოძრაობა“, რესპუბლიკური პარტია, „თავისუფალი დემოკრატები“ და კიდევ რამდენიმე პარტია, ვფიქრობ, მომავალ არჩევნებში გაერთიანდებიან. თუმცა რესპუბლიკელები შეეცდებიან, „ქართული ოცნებაც“ გამოიყენონ და არჩევნებში „ქართული ოცნების“ სახელით გავიდნენ, მხოლოდ შემდეგ გამოეყოფიან კოალიციას და პარლამენტში ახალი უმრავლესობის სახით წარდგებიან.“

წითელი ბარათი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: წითელ ბარათს ვუჩვენებდი ყველას, ვინც ე.წ. ევრო-ამერიკული დაჯგუფების წევრად გვევლინება!

**თამაშის წესების დარღვევისთვის მსაჯს უფლება აქვს, ფეხბურთელს წითელი ბარათი უჩვენოს და მინდვრიდან გააძევოს. ამ ბარათების რაოდენობა ზოგჯერ საკმაოდ დიდია. მაგალითად, 1970-იანი წლების ბოლოს მექსიკური გუნდების — „ატლეტიკოსა“ და „ესპანიოლის“ მოთამაშეები მსაჯმა გონსალესმა 26 წითელი ბარათით დასაჯა. ფეხბურთის ისტორიაში ამ მხრივ ყველა რეკორდი მოხსნა არგენტინელმა მსაჯმა დამიან რუბიომ. მან ბუენოს-აირესში გამართული მატჩის დროს საფეხბურთო კლუბების — „კლეიპოლესა“ და „აურელიანო არენასის“ მოთამაშეებსა და მწვრთნელებს 36 წითელი ბარათი უჩვენა. თამაშის წესებს ხშირად არღვევენ პოლიტიკოსებიც, თუმცა მათი უმრავლესობა, როგორც წესი, დაუსჯელი რჩება; მეტიც, ვინაიდან ჩვენში პოლიტიკა კვლავ სარფიან საქმედ მიიჩნევა, ბევრი — მრავალი წლის განმავლობაში, ზოგიერთი კი სამუდამოდ კვლავ აქტიურ პოლიტიკოსად რჩება. საზოგადოების წარმომადგენელთა აზრით, რომელი პოლიტიკოსი იმსახურებს „პოლიტიკურ წითელ ბარათს“, ჩვენი რუბრიკიდან შეიტყობთ. რუბრიკის სტუმარია გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის წევრი, უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**



**— ბატონო დიმიტრი, ქართველი პოლიტიკოსებიდან ყველაზე მეტად ვინ გაგიცრუათ იმედი, ვის უჩვენებდით წითელ ბარათს?**

— წითელი ბარათი ვუჩვენო პოლიტიკოსებს, რომელთა მიმართაც ნეგატიური დამოკიდებულება მაქვს (და ბუნებრივია, ასეთი პოლიტიკოსები არსებობენ), ხოლო თავად მორალისტი გამოვჩნდე, ვფიქრობ, ჩემი მხრიდან უმართებულო იქნება, რადგან შეუმცდარი არავინაა.

**საერთოდ კი, წითელ ბარათს ვუჩვენებდი ყველას, ვინც „ნაციონალური მოძრაობისა“ და, საერთოდ, ნეოლიბერალური და ე.წ. ევრო-ამერიკული დაჯგუფების წევრად გვევლინება.** ბევრი მათგანი სხვადასხვა კოალიციაში ყოფნისას თუ ინდივიდუალურად მხოლოდ სხვების დასანახავად ემიჯნებოდა „ნაციონალურ მოძრაობას“, სინამდვილეში კი მათ გვერდით იყო. **როდესაც გიგი უგულავა 24 საათით ციხის გარეთ აღმოჩნდა, არაერთი პოლიტიკოსისა და „პროდასავლურად“ მოაზროვნე გუნდის დასახელება მოასწრო და ყველაფერი ნათელი გახდა. უკვე ძალიან ბევრი პოლიტიკოსი და პოლიტიკური გუნდია ლუსტრირებული.**

## «როდესაც გიგი უგულავა 24 საათით ციხის გარეთ აღმოჩნდა, არაერთი პოლიტიკოსისა და «პროდასავლურად» მოაზროვნე გუნდის დასახელება მოასწრო და ყველაფერი ნათელი შეიქნა. უკვე ძალიან ბევრი პოლიტიკოსი და პოლიტიკური გუნდია ლუსტრირებული»

**დღეს საქართველოში საზოგადოების აგრესიული გენდერიზაცია მიმდინარეობს, რომლის სათავეშიც „ნაციონალური მოძრაობა“, რესპუბლიკური პარტია, „თავისუფალი დემოკრატები“ და ყველა ის პარტია დგას, რომლებიც ცდილობენ, რაღაც ფინანსები გამოსტყუონ დასავლეთს.** ვფიქრობ, სწორედ ისინი არიან წარმომადგენლები იმ გუნდისა, რომლის მთავარი დონორიც ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინებას ქადაგებს.

**— რატომ აღმოჩნდნენ თქვენთვის მიუღებელი ეს პოლიტიკოსები თუ პარტიები, ყველაზე მეტად რომელი ქმედება არ მოგეწონათ მათი?**

— შეიძლება ასე ითქვას: **დღეს პოლიტიკური სპექტრი ორ ნაწილად იყოფა — სოდომისტებად და ანტისოდომისტებად. სოდომისტებში ვგულისხმობ ყველა იმ პოლიტიკოსსა და პოლიტიკურ გუნდს, რომლებიც საერთაშორისო ლიბერალური ინტერნაციონალის ოჯახის წევრებისადმი, მათი ღირებულებებისადმი ერთგულების ფიცს დებს და რომელთა დღის წესრიგშიც გარდაუვალი ამოცანაა ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონება.** შეიძლება ბევრმა თქვას, რომ პროდასავლური ორიენტაცია აქვს, მაგრამ მხარს არ უჭერს სოდომისტურ მისწრაფებებს, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელია.

ის პოლიტიკოსები, რომლებიც გულში მჯიღს იცემენ, ქართველობაზე და ეროვნულ ღირებულებებზე დებენ თავს და თან რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად ლიბერალურ ინტერნაციონალს უერთდებიან, რა თქმა უნდა, სოდომიზმის აპოლოგეტები არიან.

**— რამ განაპირობა, რომ ეს პარტიები წლების განმავლობაში რჩებიან პოლიტიკაში და საკმაოდ წარმატებითაც მოღვაწეობენ?**

— წარმატება ფარდობითი ცნებაა. თუ წარმატებაში იმას ვიგულისხმებთ, რომ შეტივტივებული ნატანის როლს ასრულებენ პოლიტიკაში, მე ამას წარმატებად არ ვთვლი. ძალიან სუსტი ეროვნული ცნობიერების კონგლომერატი განაპირობებს, რომ ისინი, წლებია, პოლიტიკაში არიან. ქვეყანაში ვერ და არ იზრუნა არავინ, დიდი წილი ფინანსური ინიექციისა სწორედ ეროვნული ღირებულებების ერთგული ორგანიზაციების განვითარებაზე რომ დახარჯულიყო. ვფიქრობ, ეს დრო უკვე დადგა. სხვათა შორის, ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია ამ იდეის გარშემო ირაზმება და ერთიანდება. **ბოლო ორი-სამი კვირის განმავლობაში რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაციაც დაფუძნდა, რაც იმედს მაძლევს, რადგან იქ, სადაც ახალგაზრდობა და სტუდენტობაა, 20 წლის ჩამყაყებული პარტიული წარმონაქმნების ადგილი ნამდვილად აღარ იქნება და ისინი პოლიტიკური სივრციდან თავისთავად განიდევნებიან.**

რაც შეეხება სამართლებრივ საფუძვლებს, სამწუხაროდ, **ჩვენი კანონმდებლობა, კერძოდ კი, პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონი, საშუალებას აძლევს ერთკაციან პარტიებს, ოპერირება მოახდინონ პოლიტიკურ სივრცეში და ძირითადი მოთამაშეებისთვის დემოკრატიული ანტურაჟის როლი შეასრულონ. ასეთი პარტიების რაოდენობა საქართველოში, როგორც ჩემთვის ცნობილია, 226-ია და, შესაბამისად, არჩევნების წინ ხან ერთი აქტიურდება, ხან — მეორე...**

**— სამი პარტია დაასახელეთ. შეგიძლიათ, თქვათ, რომ სამ პოლიტიკურ პარტიას – „ნაციონალურ მოძრაობას“, რესპუბლიკელებსა და „თავისუფალ დემოკრატებს“ უჩვენებდით წითელ ბარათს?**

— დიახ, ამ სამ პარტიას ვუჩვენებდი წითელ ბარათს, ვინაიდან მათი ქმედებები უკიდურესად დექსტრუქციულია და ქართული ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგაა მიმართული. შესაბამისად, დიდი ძალისხმევაა საჭირო, რათა ამ კარგად დაფინანსებულ, ფსევდოლიბერალური ღირებულებების მქონე პარტიებს ქმედითი წინააღმდეგობა გავუწიოთ.

**„ნაციონალური მოძრაობა“, რესპუბლიკური პარტია, „თავისუფალი დემოკრატები“ და კიდევ რამდენიმე პარტია, ვფიქრობ, მომავალ არჩევნებში გაერთიანდებიან. თუმცა რესპუბლიკელები შეეცდებიან, „ქართული ოცნებაც“ გამოიყენონ და არჩევნებში „ქართული ოცნების“ სახელით გავიდნენ, მხოლოდ შემდეგ გამოეყოფიან კოალიციას და პარლამენტში ახალი უმრავლესობის სახით წარდგებიან.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

## «ეროვნული ბანკი მიზანმიმართულად აუფასურებს ეროვნულ ვალუტას»

**„საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველ შესაძლო მომენტს იყენებს ეროვნული ვალუტის გასაუფასურებლად. ასეთი თამამი განცხადების გაკეთების საშუალებას კი გვაძლევს ბოლო 11 თვის მანძილზე მათ მიერ განხორციელებული არათანმიმდევრული პოლიტიკა“, — მიიჩნევს თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის დირექტორი ვახტანგ ჭარაია, რომელიც ლარის დევალვაციის მეზეზებზე საგანგებო განცხადებას ავრცელებს:**

„იმ მომენტში, როდესაც ეროვნული ვალუტის გაუფასურების ობიექტური მიზეზები არ არსებობს და ლარი უფასურდება აჟიოტაჟისა და სპეკულაციის ხარჯზე, ეროვნული ბანკი კიდევ უფრო ამძაფრებს მდგომარეობას და უბიძგებს ლარს მომდევნო დევალვაციისკენ. კერძოდ, 17 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (მუდმივმოქმედი) რეფინანსირების სესხის ოდენობა კვლავ გაზარდა, თუმცა ამჯერად არა რამდენიმე ათეული მილიონით, არამედ მთელი 212 მილიონით (22%-ით), რაც აუცილებლად აისახება ეროვნული ვალუტის კურსზე უკვე მომდევნო კვირიდან.

ეროვნული ბანკის თანახმად, მან ეს ნაბიჯი გადადგა კომერციული ბანკების ლიკვიდობის მხარდასაჭერად, თუმცა კომერციული ბანკების ლიკვიდობის პრობლემა არ არის ეროვნული ბანკის მთავარი საზრუნავი, უფრო მეტიც, ამ შემთხვევაში გარკვეულწილად ირღვევა მომხმარებლების უფლებებიც. ვგულისხმობ, რომ კომერციული ბანკები მათი ლიკვიდობის უზრუნველყოფას არა ეროვნული ბანკიდან აღებული სესხით, არამედ ანაბრებზე უფრო მაღალი პროცენტების დაწესების გზით უნდა იზიდავდნენ, სადაც მომხმარებელიც და ბანკიც მოგებულები დარჩებიან და არა ცალმხრივად მხოლოდ ბანკები, როგორც ეს დღეს ხდება. უფრო მეტიც, მსგავსი ნაბიჯებით ეროვნული ბანკი ეწინააღმდეგება თავის ერთ-ერთ უშუალო ვალდებულებასაც — ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას, რასაც ასეთი ხერხებით ის ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული ბანკის ნაბიჯები ხშირად ემთხვევა ქვეყანაში პოლიტიკური ტალღების აგორებას!“ — ნათქვამია განცხადებაში.



მსოფლიო



## «ისლამური სახელმწიფო» ტრიპოლის აეროპორტს თავს დაესხა

**„ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლები ლიბიის დედაქალაქ ტრიპოლის აეროპორტს თავს დაესხნენ და უსაფრთხოების სამსახურის სამი წარმომადგენელი მოკლეს.** დაპირისპირებისას მოკლეს რვა თავდამსხმელი. ინციდენტის შედეგად რეისები არ შეფერხებულა. სამხედრო აეროდრომ „მიტიგას“ სამოქალაქო რეისების განსახორციელებლად იყენებენ. ის ტრიპოლის ყველაზე დიდ აეროპორტია, რომელიც ისლამისტებთან დაპირისპირების შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენს წინაპრებს ოჯახი ერის, ქვეყნის ბურჯად, ხოლო ქალები ეროვნული სულიერი ცხოვრების დამცველებად, ახალგაზრდების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის მთავარ ძალად მიაჩნდათ და მათდამი უდიდეს პატივისცემას გამოხატავდნენ, მაგრამ ისინი უთავბოლო გენდერული თანასწორობის მომხრენი არ ყოფილან. უფალმა ამ ცხოვრებაში ქალსა და მამაკაცს თავიანთი როლი დააკისრა და ნუ ვეცდებით მათ ფუნქციებში ხელოვნურად ჩარევას.**

# ქალებზე ძალადობის დონე გაცილებით მაღალია დასავლეთის ქვეყნებში, ვიდრე საქართველოში



## საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შემაშფოთებელ ვითარებაზე საუბარიც კი ზედმეტია

**ბოლო პერიოდში ჩატარებული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ საქართველოში ქალებზე ძალადობის მაჩვენებლები დაბალია. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები ისე წარმოაჩენენ, თითქოს ქალების ჩაგვრისა და მათზე ძალადობის მეტი ჩვენს ქვეყანაში არაფერი ხდება. ამას კი იმიტომ აკეთებენ, რომ პრობლემაშექმნან და მსუყე დაფინანსებაც მიიღონ. ეს ორგანიზაციები ასიათასობით (თუ მილიონობით) დოლარის გრანტებს იღებენ, სამაგიეროდ, დამფინანსებლების ინტერესებს კბილებით იცავენ ეროვნული ინტერესების საზიანოდ, ეროვნულ სატკივარზე კი კრინტს არ ძრავენ. სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება გაზეთ „საქართველოს დემოგრაფიაში“ გამოქვეყნებული მასალა, რომელსაც თითქმის უცვლელად გთავაზობთ.**



საქართველოში გენდერული თანასწორობის საკითხი ზოგს მეტად აქტუალურად მიაჩნია, რადგან თითქოს არსებობს ოჯახში ქალის მიმართ ძალადობის,ნაადრევი ქორწინებისა და სხვა შემაშფოთებელი მონაცემები. ოჯახში ქალის მიმართ ძალადობის ფაქტები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და, მათ შორის, განვითარებულ, ცივილიზებულ ქვეყნებშიც არსებობს და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც, ვიდრე საქართველოში. რაც შეეხება ნაადრევი ქორწინების ფაქტებს, ამ მაჩვენებელმა საქართველოში მართლაც მოიმატა, მაგრამ არა შემაშფოთებლად.

დასავლეთის ქვეყნებში 13-15 წლის გოგონების საკმაოდ დიდი ნაწილი სექსუალურ ცხოვრებას ეწევა და ამის გამო უამრავ პრობლემას აწყდება, მათ შორის, ჯანმრთელობისა და განათლების მიღების უფლების რეალიზაციის თვალსაზრისით. როდესაც გოგონა სექსუალურ კონტაქტს თვლის, როგორც ადამიანის არსებობის უმთავრეს მიზანს, ახალგაზრდულ ენერგიას ვერ იყენებს თავისი პიროვნების სრულყოფისთვის, ვიწროვდება მისი ინტერესების სფერო, ინერტული ხდება ცხოვრებისეული მოვლენების მიმართ და ყველაფერი ადამიანური მხოლოდ სქესობრივი ცხოვრების გარშემო იყრის თავს. სწორედ ამ მოვლენაზე თქვა ინგლისელმა ფილოსოფოსმა **ფრენსის ბეკონმა: „თავაშვებული ახალგაზრდობა შეთქმულებაა სიბერის წინააღმდეგ. ჩვენ საღამოს ძვირად ვზღავთ დილით ჩადენილი ცელქობისათვის“.** შემაშფოთებელი სწორედ ის არის, რაც დასავლურ სამყაროს ემუქრება. რაც შეეხება გოგონების ნაადრევი ქორწინების ფაქტებს, იგი ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკურ, სულიერ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი კატაკლიზმების შედეგია და ბოლო წლებში, გარკვეულწილად, შემცირდა.

**გოგონების მიერ სქესობრივი ცხოვრების ნაადრევად დაწყება უამრავ უარყოფით მოვლენას უკავშირდება და ეს კარგად უნდა გააცნობიერონ სრული გენდერული თანასწორობის აპოლოგეტებმა.**

ამ საკითხებს ჩვენ ქვემოთ ფართოდ შევეხებით, ახლა კი ცოტა რამ ისტორიიდანაც გავიხსენოთ.

თანამედროვე ეპოქაში ქალზე ძალადობის ფორმები თითქმის არ შეცვლილა და დღეს ისინი დიდად არაფრით განსხვავდება, თუ უფრო მძიმეც არ გახდა შუა საუკუნეების ფორმებთან შედარებით. ძველ დროში სამართალი და მორალი განსაკუთრებით მკაცრი იყო ქალების მიმართ. ქმრის დაუკითხავად ქალის შინიდან გასვლაც კი საკმარისი მიზეზი იყო განსაქორწინებლად. ეს სათავეს იღებდა შორეული წარსულიდან, როდესაც ქალი სრულიად უუფლებო და ქმრის ყოველი სურვილის უყოყმანო შემსრულებელი გახლდათ. მოგვიანებით ქალის აუტანელი მდგომარეობა ტრადიციული წეს-ჩვეულებების ფარგლებში მოექცა, ღრმად გაჯდა საზოგადოების გონებაში და ადამიანებს დღესაც უჭირთ ქალზე ათეული საუკუნეების წინათ ჩამოყალიბებული თვალსაზრისისგან განთავისუფლება.

ასე იყო ძველ საქართველოშიც. „შუშანიკის წამების“ მიხედვით, ქალს არ შეეძლო ოჯახიდან ქმრის დაუკითხავად სადმე წასვლა და ამით ქმრის „ხატის დამხობა“. ახლაც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შინიდან ქალის დაუკითხავად გასვლა ოჯახის ღირსების შელახვად მიაჩნიათ. მაგალითად, **იორდანიაში მამამ ქალიშვილი რკინის ჯაჭვის ცემით მოკლა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი მეგობრებთან ერთად დაუკითხავად გავიდა ქუჩაში სასეირნოდ. ამჟამად „ოჯახის ღირსების“ დაცვის მიზეზით მსოფლიოში ყოველწლიურად 4 ათას ქალს უსპობენ სიცოცხლეს.**

**ამერიკელმა მამაკაცებმა 1967-1973 წლებში 17 500 ქალი და ბავშვი მოკლეს. აშშ-ში ქალთა სამოცი პროცენტი მოკლულია ქმრის ან მეგობარი მამაკაცის მიერ. შვედეთში პარტნიორის მსხვერპლია 16 ქალი, რაც წლის განმავლობაში ჩადენილი მკვლელობის ერთ მეექვსედს შეადგენს. ამ მონაცემების მიხედვით, ქალებზე ძალადობის დონე (მაგალითად, მოსახლეობის ყოველ 100 ათას კაცზე მოძალადე მამაკაცების მიერ მოკლული ქალების რაოდენობა) გაცილებით მაღალია დასავლეთის ქვეყნებში, ვიდრე საქართველოში**

**ქალთა უფლებრივი მდგომარეობის მხრივ თანამედროვე მსოფლიოში არაფერი შეცვლილა?** შეიცვალა და თანაც ბევრი რამ. ქალი სულ უფრო დამოუკიდებელი ხდება, იგი ესწრაფვის სრულად გამოიყენოს თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობები, ზრუნავს კარიერაზე, თანდათან ქრება დისკრიმინაცია განათლებისა და დასაქმების სფეროში. ამაში ქალს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებიც ეხმარება. მიუხედავად ამისა, ქალის მდგომარეობა მაინც მძიმეა, განსაკუთრებით — განვითარებად ქვეყნებში.

**როგორი იყო ქალის უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში?**

ძველ საქართველოში ოჯახის მეტად მყარი და ყოველმხრივ ჩამოყალიბებული ინსტიტუტი არსებობდა. ამას ნათლად მოწმობს ჩვენამდე მოღწეული პირველი ლიტერატურული ძეგლი „შუშანიკის წამება“, რომელშიც წარმოდგენილია საოჯახო ცხოვრების სურათები. მართალია, ქალის საზოგადოებრივი მდგომარეობა შეზღუდული იყო, მაგრამ ეს დამახასიათებელი გახლდათ იმჟამინდელი ცივილიზებული სამყაროსათვის — ქმარი ოჯახის უფროსია და ქალი მას ემორჩილება.

„შუშანიკის წამების“ მიხედვით, ქალს ნება არ ჰქონდა, მამაკაცთან ერთად ეჭამა პური. ამასთანავე, ნაწარმოებიდან არ ჩანს, რომ ქალი მთლიანად ქმრის მონა-მორჩილია — შუშანიკი ხშირად არაფერს უთმობს თავის მეუღლეს და საკმაოდ გამომწვევადაც იქცევა. **გავიხსენოთ სცენა, როდესაც შუშანიკმა ქმრის თანდასწრებით მაზლის ცოლს „ჭიქა... პირსა შეალეწა“.** ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მისი ღრმა რწმენით, საიქიოში ბოლო მოეღება მამაკაცისა და ქალის უთანასწორობას, სადაც „არა არს რჩევაი მამაკაცისაი და დედაკაცისაი“, ანუ შუშანიკს გათვითცნობიერებული აქვს ამ უთანასწორობის არსი და მას ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც ებრძვის. ასეთი ქალი კი ქმრის მონა-მორჩილად, არ შეიძლება, შევრაცხოთ. ამ მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანია „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამი სიტყვები, რომლებიც უფლისაგან მოისმინა ქართველთა განმანათლებელმა **ნინო კაბადოკიელმა** მცხეთაში წასვლის წინ: **„არცა დედაკაცები არს, არცა მამაკაცები, არამედ ყოველნი ერთ ხართ“.** ეს ამბავი IV საუკუნის პირველ მეოთხედში ხდება.

ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ოჯახის სიწმინდეს და ასეთ ოჯახს ერისა და ქვეყნის საფუძვლად მიიჩნევდნენ. ამიტომ არ არის შემთხვევითი, რომ ქალის, როგორც დედის, მეოჯახის, სიწმინდისა და ნამუსის, როგორც სიცოცხლის მუდმივი განახლების წყაროს კულტი აგრერიგად გამოიკვეთა ქართულ მწერლობაში. ძველქართულ საერო ლიტერატურაში შემთხვევით როდია ნათქვამი: **„ქალისა მზითევი არს სიწმინდე და ნამუსი“.** არც ახალგაზრდობისადმი შემდეგი დარიგებაა შემთხვევითი: **„ცოლი ღირსი იყოლიე... და მზითვად ბუნება იკითხე მისი“.**

ქართული სამართალი ქალის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ უფრო ლოიალური იყო, ვიდრე მეზობელ და ევროპის ქვეყნებში. **მაშინ, როდესაც მე-16 საუკუნის ევროპაში კუდიანების დევნამ აპოგეას მიაღწია და, ზოგიერთი მონაცემით, მილიონზე მეტი „კუდიანი“ სიცოცხლეს საშინელი წამებით გამოასალმეს (მათი 85 პროცენტი ქალი იყო), საქართველოში არც ერთი ქალი სიკვდილით არ დაუსჯიათ** — ამას არც სამართალი ითვალისწინებდა. ამასთანავე, საზოგადოების განვითარების სხვადასხვა პერიოდში **საბერძნეთში, სომხეთსა და სხვა ქვეყნებში, ქმარს შეეძლო მოეკლა ცოლი, შვილიც კი და ამისთვის პასუხს არ აგებდა. სომხეთში ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში პატრიარქალური ოჯახის უფროსს, მამაკაცს, შეეძლო ცოლის, შვილსა და უშვილო ძმის ან დის მოკვლაც კი.** ამის შესახებ მოგვითხრობს სირიელი გნოსტიკოსი **ვარდესანი**. ფეოდალურ საქართველოში კი სამართლის ნორმების მეშვეობით იკრძალებოდა ქალზე ფიზიკური ძალადობა, მისი ლანძღვა და გინება. ვახტანგ ბატონიშვილის სამართლის 64-ე მუხლი სწორედ ამ ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას: **„კაცი რომ ცოლს სტანჯვიდეს და უპატიურად ეპყრობოდეს, და ურიგოს უშურებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს, ავად მოეპყრას. და კათალიკოზმაც ასრე იყოს“. სამაგიეროდ, „თუ ცოლმან ქმარს ან სცეს, ან დაჭრას, დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან“.**

ასეთი სამართლებრივი ნორმების მქონე ქვეყანაში ძნელია, საუბარი ქალების მიმართ მასობრივ ძალადობაზე.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების მიხედვით, რა თქმა უნდა, **არ შეიძლება, გამოვიტანოთ დასკვნა, რომ გენდერული თანასწორობა საქართველოში იდეალური იყო.** ქალის უფლებრივი მდგომარეობა, მამაკაცებთან შედარებით, განიხილებოდა როგორც დამცირებული და საზოგადოებრივი შეგნება ჯერ კიდევ არ იყო მზად, თამამად ემსჯელა ამ მტკივნეულ პრობლემაზე. **მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში ქალი ქმრის მონა-მორჩილი, მისი ყოველგვარი სურვილის უსიტყვო აღმ-** ▶

# ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების შესწავლის შედეგად ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების რაოდენობა სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია.

ცნობისათვის
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **სრულებელი იყო.** სამართლებრივი ნორმების გარდა, ამის თქმის უფლებას გვაძლევს ჰაგიოგრაფიული და საერო ლიტერატურა, იტალიელი მისიონერებისა და ევროპელი მოგზაურების ნაშრომები — მაგალითად, ფრანგი კონსულის — **გამბას,** იტალიელი მისიონერის — **კასტელისა** და სხვ. რუსთაველმა კი დაგვიხატა „უთვალავი ფერით" შემკული მშვენიერი სამყარო, სადაც ქალი ყოველმხრივ სრულყოფილ ადამიანად არის მიჩნეული, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო შუა საუკუნეების ისტორიაში.

მიუხედავად ყველაფრისა, **არასამთავრობო ორგანიზაციებმა, აგრეთვე, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-მა და სხვა ტელევიზიებმაც ერთი ამბავი ატეხეს, — საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობა მძვინვარებს, სამართალდამცავი ორგანოები კი ამ მძიმე პრობლემის მოსაგვარებლად არაფერს აკეთებენო.** ისინი განსაკუთრებით აქტიურდებიან ტრაგიკული შემთხვევების შემდეგ. რამდენიმე თვის წინათ ყოფილმა ქმარმა ლექტორ მეუღლეს ილიას უნივერსიტეტში მიაკითხა, ლექციიდან გამოიყვანა, იარაღის გასროლით მოკლა და თვითონაც თავი მოიკლა. ახლახან თელავში შემზარავი ფაქტი მოხდა: მამაკაცმა ქალი სასიკვდილოდ დაჭრა, ხოლო შემდეგ თავი მოიკლა. **ორივე შემთხვევაში ფსიქიკის დარღვევასთან გვაქვს საქმე და სამართალდამცავი ორგანოები არაფერ შუაშია.** არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები, განსაკუთრებით — **ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია** და **კახა კოჟორიძე,** როდესაც მძიმე ეროვნული პრობლემებია გადასაწყვეტი, ხმას არ იღებენ, ასეთ შემთხვევაში კი აკაკანდებიან და ყველაფერს მთავრობას აბრალებენ... აქ გასათვალისწინებელია ერთი რამ: **როდესაც საზოგადოებას მოვუწოდებთ სრული გენდერული თანასწორობისკენ, იმაზეც უნდა დავფიქრდეთ, ხომ არ გამოიწვევს ეს ოჯახის კრიზისს, რომლის ნიშნები თანამედროვე საზოგადოებაში სულ უფრო აშკარად იკვეთება.** ბუნებამ ქალს სიცოცხლის გაგრძელების დიდი მისია დააკისრა. ბავშვის დაბადება, „ბუნების უმშვენიერესი აქტი", როგორც მას ოსი ხალხის დიდმა შვილმა **კოსტა ხეთაგუროვმა** უწოდა, არსთა გამრიგემ ქალს დააკისრა და ჩვილის მოვლის პრიორიტეტიც მასვე არგუნა წილად. **ჩვენს წინაპრებს ოჯახი ერის, ქვეყნის ბურჯად, ხოლო ქალები ეროვნული სულიერი ცხოვრების დამცველებად, ახალგაზრდების ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის მთავარ ძალად მიაჩნდათ და მათდამი უდიდეს პატივისცემას გამოხატავდნენ, მაგრამ ისინი უთავბოლო გენდერული თანასწორობის მომხრენი არ ყოფილან. უფალმა ამ ცხოვრებაში ქალსა და მამაკაცს თავიანთი როლი დააკისრა და ნუ ვეცდებით, მათ ფუნქციებში ხელოვნურად ჩარევას.** მამაკაცისა და ქალის შრომას შორის დიდი განსხვავებაა. მამაკაცის ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ იგი უფრო მეტად შემოქმედებითი შრომისათვის არის მოწოდებული, ხოლო ქალი მონოტონურ შრომასაც სიამოვნებით ასრულებს. ხშირად მკვეთრად გამიჯნულია პროფესიები სქესის მიხედვით. მაგალითად, ვერსად ნახავთ კონვეიერზე მომუშავე მამაკაცს, რომელზეც შრომა მონოტონურია. საბავშვო ბაგა-ბაღებშიც მხოლოდ ქალებია დასაქმებული, მედიცინის დებადაც მხოლოდ ქალები მუშაობენ, სამაგიეროდ, ვერსად ნახავთ ტექნიკის შემკეთებელ ქალს, თუმცა ეს სამუშაო მაინცდამაინც მძიმე არ არის და შემოსავლიანია. ქირურგების დიდი უმრავლესობაც მამაკაცები არიან და ა. შ. მამაკაცი ბუნების მიერ უფრო შემოქმედებითი, ახლის ძიების უნარით არის დაჯილდოებული. დიდი ტექნიკური მიღწევები, კაცობრიობის მიერ საყოველთაოდ აღიარებული ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრული შედევრები, ხუროთმოძღვრების ძეგლები, უკლებლივ მამაკაცების შექმნილია, და იქ ქალის ხელი საერთოდ არ ურევია, თუმცა ქალის თანადგომის, მათი როგორც შთაგონების წყაროს გარეშეც, ღირებული არაფერი შექმნილა.

აღსანიშნავია, რომ **ძალადობას მამაკაცებიც განიცდიან ქალების მხრიდან,** როცა, როგორც ვაჟა-ფშაველა ამბობს, **„დიაცს ჭკვა ენაზე აკრავს, ფიქრი თმებშია წასული". და ამის მომსწრენიც ვართ ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაგრამ ამ პრობლემას არავინ იკვლევს.**

ბოლო ხანს ბეჭდვითი და განსაკუთრებით ელექტრონული მედიასაშუალებები ერთხმად გაჰყვირიან საქართველოში გენდერული უთანასწორობისა და ქალების მიმართ ძალადობის მომატების შესახებ. **განსაკუთრებით აქტიურობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რადგან, თუ პრობლემა მწვავედ არ წარმოაჩინეს, არავინ დააფინანსებს. შედეგად ქმნიან არასწორ, ხშირად უაღრესად მძიმე წარმოდგენას ქვეყანაში ქალების მდგომარეობის შესახებ — თითქოს ქალების მდგომარეობა საქართველოში ყველა ქვეყანაზე გაცილებით მძიმე იყოს. არადა, ჩვენთან ჩატარებული**




**ფუნდამენტური გამოკვლევები არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განზრახ დაჩემებული მოსაზრებების საწინააღმდეგო ვითარებას გვიჩვენებს.** კერძოდ, 2006 წელს მოსახლეობის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა საფრანგეთის დემოგრაფიული კვლევის ეროვნული ინსტიტუტისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის მხარდაჭერით ჩაატარა პირველი ტალღა გამოკვლევისა „ოჯახური ურთიერთობები და თაობათა ურთიერთდამოკიდებულება". **საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ რეგიონში გამოკითხულ იქნა 18-79 წლის 10 ათასი რესპოდენტი, მათ შორის, 4405 მამაკაცი და 5595 ქალი. 2009 წელს ჩატარდა გამოკვლევის მეორე ტალღა. 2006 წელს გამოკითხული ათი ათასი რესპონდენტიდან მოიძებნა და განმეორებით გამოიკითხა 8303.**

გამოკვლევის შედეგების მიხედვით **ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში გენდერული თანასწორობის მხრივ კატასტროფული ან რამდენადმე მძიმე ვითარებაა, არადა, სწორედ ასეთი სურათის წარმოჩენა სურთ, „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერებს, მათი ჯიბის ტელევიზიებსა და მხარდამჭერ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთა მიზანია, გაურკვევლობა დათესონ საზოგადოებაში.**

ოჯახში გენდერული თანასწორობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მამაკაცისა და ქალის თანაბარი მონაწილეობა ბიუჯეტის მართვაში. ზემოაღნიშნული გამოკვლევის მიხედვით, **საქართველოში ოჯახების ნახევარზე მეტში მეუღლეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ოჯახის ბიუჯეტის ხარჯვისას, თუმცა ქვეყნის ყოველ მეხუთე ოჯახში ფულად შემოსავალს ქმარი განკარგავს.**

**რესპონდენტთა 36,4 პროცენტის აზრით, ქალებსა და მამაკაცებს შორის სრული თანასწორუფლებიანობაა, ანალოგიური გამოკვლევის მიხედვით, საფრანგეთში იგივე მდგომარეობაა (36,6 პროცენტი). ამასთანავე, საქართველოში ოჯახში გადაწყვეტილებების მიღებისას დომინირებენ ქალები — 41,3 პროცენტი, საფრანგეთში ეს მაჩვენებელი 56,0 პროცენტია, მამაკაცების დომინირება საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შესაბამისად, 22,3 და 7,4 პროცენტით გამოიხატება.** ამრიგად, გამოკვლევის მიხედვით, **„გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალის როლის თვალსაზრისით საქართველო დიდად არ ჩამორჩება საფრანგეთს. ორივე ქვეყანაში ყველაზე მეტად არის გავრცელებული ისეთი ოჯახები, სადაც ქალი დომინირებს საოჯახო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ან პარტნიორები ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას ყველა საოჯახო საკითხზე.**

ქალთა მიმართ ძალადობის დაბალი მაჩვენებლები გამოავლინა **ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის ფუნდამენტურმა კვლევამ, რომელიც ჩატარდა საქართველოში 2010 წელს 15-44 წლის ქალებში.** ინტერვიუ აღებულ იქნა 6292 ქალისაგან ქვეყნის ყველა რეგიონში. კვლევა ჩაატარა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად. კვლევისას ტექნიკური დახმარება კითხვარის შემუშავების, წვრთნის, მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საკითხებში ამერიკის შეერთებული შტატების დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრმა გასწია. **„კვლევამ გამოავლინა ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის დაბალი მაჩვენებლები... ბოლო 12 თვის განმავლობაში". კერძოდ, გამოკითხული ქალების მხოლოდ 1,4 პროცენტმა აღნიშნა პარტნიორისაგან ფიზიკური ძალადობის, ხოლო 0,5 პროცენტმა სქესობრივი ძალადობის შემთხვევები. სიტყვიერი ძალადობის მაჩვენებელი 8,4%-ს უდრიდა, რაც მაღალი გენდერული თანასწორობის მაჩვენებელია.**

**ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების შესწავლს შედეგად ყველა მკვლევარი აღიარებს, რომ საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების რაოდენობა სხვა ქვეყნებთან შედარებით დაბალია.** ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების შესწავლისას ზოგიერთი კითხვა სრულიად უადგილოდ და არაფრის მომცემად მიგვაჩნია, ერთ-ერთი კითხვა ითვალისწინებდა იმ მიზეზების შესწავლას, რომელთა გამოც ქალს შეუძლია, მეუღლეს უარი უთხრას სქესობრივ აქტზე, მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ცოლს არ სურს. გავბედავ და ვიტყვი, რომ საქმე სწორედ ისეა, როგორც **დავით გურამიშვილი** აღნიშნავს „ქაცვია მწყემსში": „ქმარს რომ უნდოდეს მასთან მიდება, ეტყვის: „დამეხსენ, მე არ მინდება". მაგრამ დავით გურამიშვილთან ისეთ ცოლზეა საუბარი, რომელიც „მალვითა, ფარვითა, ქურდულად პარვითა უცხოს კი მისცეს". **მთავარი აქ არის ის, რატომ ცდილობენ რესპონდენტის ლოგინში ქექვას.** ქართული სიბრძნე ამბობს, — ცოლ-ქმრის ამბავი მხოლოდ ლოგინმა უნდა იცოდესო. და თუ ქმარმა მრავლისმომსწრე ლოგინში მეუღლე ცოტა დაჟინებითაც შეაწუხა, მით უმეტეს, „როცა სისხლი დუღს, ენა ფიცით არ იღლება," და თუნდაც სურვილის გარეშე დაითანხმა, ეს უკვე ცოლის გაუპატიურებად ითვლება(?!). საინტერესოა, **რას დაარქმევენ ამ გამოკვლევის ავტორები საპირისპირო შემთხვევას, ანუ როცა ქმარი ეუბნება უარს ცოლს...**

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, **რომ საქართველოში, ისტორიულად, სამართლებრივი ნორმები, ადათები, ტრადიციები და ცხოვრების წესი გაცილებით უკეთესად იცავდა ქალის ღირსებასა და პატივს, ვიდრე რიგ მეზობელ თუ ევროპის ქვეყნებში,** რა თქმა უნდა, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცნობიერების ფარგლებში.

მიგვაჩნია, რომ **საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის შემაშფოთებელ ვითარებაზე საუბარიც კი ზედმეტია.** ეს მოსაზრება გამყარებულია სტატისტიკური მონაცემებითაც, რომლებიც წარმოაჩენს ვითარებას სხვა ქვეყნებში. მაგალითად, **ამერიკელმა მამაკაცებმა 1967-1973 წლებში 17 500 ქალი და ბავშვი მოკლეს. აშშ-ში ქალთა სამოცი პროცენტი მოკლულია ქმრის ან მეგობარი მამაკაცის მიერ.** შვედეთში პარტნიორის მსხვერპლია 16 ქალი, რაც წლის განმავლობაში ჩადენილი მკვლელობის ერთ მეექვსედს შეადგენს. ამ მონაცემების მიხედვით, **ქალებზე ძალადობის დონე (მაგალითად, მოსახლეობის ყოველ 100 ათას კაცზე მოძალადე მამაკაცების მიერ მოკლული ქალების რაოდენობა) გაცილებით მაღალია დასავლეთის ქვეყნებში, ვიდრე საქართველოში.** საქართველოში ბოლო წლებში ქალების მიმართ ძალადობის ფაქტებმა რამდენადმე მოიმატა, მაგრამ ამაში, ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან ერთად, გადამწყვეტ როლს ასრულებს სატელევიზიო არხები. ქართული ტელევიზიები, წლებია, განაგრძობენ უშინაარსო, მხატვრულ და შემეცნებით ღირებულებას მოკლებული ფილმების ჩვენებას, რომლებშიც წინა პლანზე წამოწეულია აღვირახსნილი და გაუკულმართებული სექსი, უაზრო მკვლელობები და სხვა საშინელება. ცოტა ხნის წინათ მის უწმინდესობასთან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, ილია მეორესთან მქონდა საუბარი ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს დემოგრაფიულ პრობლემებზე. ეს პრობლემები უწმინდესის ინიციატივით წმინდა სინოდსაც მოხსენდა. **პატრიარქის მოსაზრებით, უმძიმესი დემოგრაფიული ვითარების გამო საჭიროა, შეიქმნას მთავრობასთან მუდმივმოქმედი საბჭო, ხოლო ახალგაზრდობის სულიერ და ზნეობრივ აღზრდაზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნონ მთავრობამ, ეკლესიამ და ოჯახმა.** ჩვენი ბრძენი პატრიარქის ამ დიდ ეროვნულ მიწოდებას, საჭიროა, მასმედიამაც აუბას მხარი.

დასასრულ, მკითხველს ინგლისურ ხალხურ ბრძნულ გამონათქვამს შევახსენებ: **„სახლი, რომელშიც მამალი დუმს და დედალი ყივის, უბედური სახლია!"**

**ანზორ თოთაძე,**
დემოგრაფი, პროფესორი

გაზეთი „საქართველოს დემოგრაფია" №4, 2015 წლის აგვისტო

**ბოლო ხანს ბეჭდვითი და განსაკუთრებით ელექტრონული მედიასაშუალებები ერთხმად გაჰყვირიან საქართველოში გენდერული უთანასწორობისა და ქალების მიმართ ძალადობის მომატებაზე. განსაკუთრებით აქტიურობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რადგან, თუ პრობლემა მწვავედ არ წარმოაჩინეს, არავინ დააფინანსებს. შედეგად ქმნიან არასწორ, ხშირად უაღრესად მძიმე წარმოდგენას ქვეყანაში ქალების მდგომარეობის შესახებ — თითქოს ქალების მდგომარეობა საქართველოში ყველა ქვეყანაზე გაცილებით მძიმე იყოს. არადა, ჩვენთან ჩატარებული ფუნდამენტური გამოკვლევები არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განზრახ დაჩემებული მოსაზრებების საწინააღმდეგო ვითარებას გვიჩვენებს**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საფრანგეთი




ინგლისი




ჰოლანდია




# ...და დაიპყრობენ მუსლიმანები ევროპას!

**„დაიპყრობენ მუსლიმანები ევროპას და განავრცობენ თავიანთ რელიგიას. გაჩაღდება რელიგიური ომი. შემდეგ ორი დიდი სახელმწიფო, რომელთაც მანამდე განხეთქილება ექნებათ, „ჩასჭიდებენ ერთმანეთს ხელს“ და დაამარცხებენ მუსლიმანებს“, — ასეთი წინასწარმეტყველება დაგვიტოვეს ნოსტრადამუსმა და ვანგამ.**



არ არის აუცილებელი წინასწარმეტყველი იყო ან ზედმიწევნით გჯეროდეს წინასწარმეტყველების, რომ განსჭვრიტო მოვლენების შემდგომი განვითარება ევროპაში.

მუსლიმანური სამყარო ბოლო დროის ევროპას არც აქამდე აკლდა. დღეს კი, „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორმა ასიათასობით მუსლიმანი იძულებული გახადა, ევროპისთვის შეეფარებინა თავი — სირიიდან, ავღანეთიდან, ერაყიდან. მალე ისინი სრულფასოვანი ევროპელები გახდებიან. გაევროპელებული მუსლიმანებისთვის კი, ახალი მეჩეთების აშენება გახდება საჭირო. საუდის არაბეთმა უკვე შესთავაზა გერმანიას მეჩეთების საკუთარი ხარჯით აშენება.

თუკი მხვედველობაში მივიღებთ, რომ დღეს ევროპაში მოდაშია ფსევდოტოლერანტობის საფარქვეშ გარყვნილი ცხოვრების პროპაგანდა და ევროპელების ერთსქესიანთა ქორწინება, გავითვალისწინებთ, რომ ბევრი ევროპული ოჯახი, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ ერთი შვილის გაჩენით კმაყოფილდება (და მათი ქალიშვილიც ხშირად მუსლიმანს მიჰყვება ცოლად), სახეზეა ძირძველი ევროპელი მოსახლეობის აშკარა შემცირება. ევროპელებისგან განსხვავებით, მუსლიმანებს სულ სხვა ცხოვრების წესი აქვთ — ერთ ოჯახს რამდენიმე შვილი ჰყავს, თავიანთ ტრადიციებს მკაცრად იცავენ და ე.წ. „ტოლერანტულ ურთიერთობებს“ სასტიკად გმობენ.

ასე რომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუკი რამდენიმე წელიწადში, გამუსლიმანებულ ევროპას მივიღებთ. მუსლიმანებით შევიწროებულ ევროპელებში კი, ნაციონალიზმის საკითხი უფრო მწვავედ იჩენს თავს და ევროპელ ულტრანაციონალისტებსაც საასპარეზო მიეცემათ. თუ რამდენად სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს ნაციონალური ექსტრემიზმის დაპირისპირება მუსლიმანთა ფეთქებად ხასიათთან, ძნელი წარმოსადგენი არაა.

რამდენიმე დღის წინ, ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ გერმანია მზადაა, წლის ბოლომდე ერთი მილიონი მიგრანტი მიიღოს. ის იძულებულია ასე მოიქცეს და არ ჩაკეტოს ქვეყნის საზღვრები, რადგან ამით წააქეზებს სხვა სახელმწიფოებსაც, რაც ევროკავშირის არსებობას საფრთხეს შეუქმნის. გერმანელებმა, ამის გამო, მერკელს „ერის მოღალატე“ უწოდეს.

ევროპას უკვე თავისი გასჭირვებია, და როცა ეს გაჭირვება უფრო ძლიერ თავისტკივილად გადაიქცევა, მას ისეთი ქვეყნის პრობლემების მოგვარებისთვის, როგორიც საქართველოა, აღარ ეცლება.

...და რა საფრთხის ქვეშ შეიძლება აღმოჩნდეს მუსლიმანური სამყაროთი გეოგრაფიულად ისედაც გარშემორტყმული ჩვენი პატარა ქვეყანა? **„ისლამური სახელმწიფოს“ გეგმებში არა მხოლოდ ევროპა, არამედ საქართველოც შედის. ვინ დაიცავს პატარა საქართველოს? შევძლებთ დამოუკიდებლად გავუმკლავდეთ ურიცხვ მტერს? რამდენი ქართველი ვაჟკაცი შეეწირება უთანასწორო ბრძოლას? ვისი იმედი უნდა გვქონდეს, თუ არა ისევ ერთმორწმუნე მძლავრი სახელმწიფოსი?**

ფაქტის წინაშე დამდგარი გაბრიყვებული ქართველები მხოლოდ მაშინ გავიხსენებთ ერეკლე მეფეს, ვიტყვით, რა შორსმჭვრეტელი ყოფილა, როცა ერთმორწმუნე რუსეთთან მეგობრობის ტრაქტატს აფორმებდაო.

„რუსეთმა ხომ ტერიტორიები წაგვართვა და ყოველდღე მცოცავი ოკუპაციის მომსწრე ვართ, რანაირად უნდა ვიმეგობროთ მტერთან?“ — დასვამენ კითხვას ოპონენტები.

ყოველ ქმედებას თავისი მიზეზი აქვს. ბირთვულ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორია დედამიწის ხმელეთის ერთ მერვედს მოიცავს, რა გასაკვირია, საკუთარი ინტერესები გააჩნდეს. მისი უსაფრთხოების ინტერესია, არ არსებობდეს ისეთი სამხედრო ორგანიზაციის ბაზები, როგორიც ნატოა (რომელიც სწორედ რუსეთის წინააღმდეგ შეიქმნა) მის სახელმწიფო საზღვრებთან. საქართველოს კი, უფრო სწორად, ჩვენს „პატრონებს“ სურთ ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანება და ამით თავიანთი ბაზების რუსეთის საზღვრებთან ახლოს განლაგება.

ახლა რაც შეეხება თავად ნატოს წესდებას... ნატო არც არასამთავრობო ორგანიზაცია და არც შპს არ გახლავთ, — ის სხვადასხვა სუვერენული სახელმწიფოს სამხედრო კავშირია, რომლის წესდებაშიც არაორაზროვნად წერია, რომ **სახელმწიფო, რომელსაც არ აქვს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მოგვარებული, არ შეიძლება გახდეს ნატოს ახალი წევრი ქვეყანა.**




„ისლამური სახელმწიფოს“ გეგმების ამსახველი რუკა

იქნებ სწორედ ესაა მიზეზი რუსეთის აგრესიისა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციისა?

აქვე დავფიქრდეთ, **რამდენად გულწრფელნი არიან ის პოლიტიკოსები თუ არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, როდესაც გვეუბნებიან, რომ საქართველო, სულ მალე, ნატოს წევრი გახდება? არიან მზად ისინი აფხაზეთი და სამაჩაბლო დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარონ? ფიქრობენ, რომ ამას ქართველი ხალხი ოდესმე დაუშვებს? არის ეს საკუთარი მოსახლეობის შეგნებულად მოტყუება თუ მართლა „რუსეთის დაშლის“ იმედი აქვთ?**

ამ არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ქვეყნის პრეზიდენტის და პრემიერმინისტრის ხელფასზე მაღალი ხელფასები აქვთ, — მათ უცხო ქვეყნის ხელისუფლება და სპეცსამსახურებს დაქვემდებარებული ე.წ. „ინსტიტუტები“ აფინანსებენ... არ იციან არც ისტორია და არც დღევანდელი რეალობის შეფასება შეუძლიათ. ფულით მოხიბლულნი, საქართველოს ბედს ეთამაშებიან! ჩვენ კი, მათგან „დაჩმორებული“ საზოგადოება, დუმილს ვამჯობინებთ!

უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელთა ნაკლებობას არც დღევანდელი ხელისუფლება განიცდის — საკმარისი იყო პარლამენტარ **თამაზ მეჭიაურს** სიტყვა „ენჯეოშნიკი“ ეხსენებინა პრეზიდენტის საქსოვ ჩხირებთან ერთად, რომ ხელისუფლებაში მოკალათებულებმა თვითლუსტრაცია განიცადეს და დაგვანახეს, თუ რამდენი, უცხო ქვეყნის „ინსტიტუტების“ მიერ დაფინანსებული, „ენჯეოშნიკი“ ადამიანია ჩვენს ხელისუფლებაში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ **თამაზ მეჭიაურს ეს გამონათქვამი, რატომღაც, არავინ ჩაუთვალა „გამოხატვის თავისუფლებად“ — ეს უფლება მხოლოდ პატრიარქის, მართლმადიდებლობის და ქართული ტრადიციების მაგინებლების პრეროგატივაა.**

დღეს „ნაციონალურ მოძრაობას“ ბევრ რამეში ადანაშაულებენ, მაგრამ მათ მთავარ დანაშაულს არავინ ამბობს, — უცხო ქვეყნის ფინანსებით წახალისებულებმა, მთელი თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე, საქართველო, ქართველი ხალხი რუსეთს დაგვაპირისპირეს, მოგვისპეს არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა, არამედ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა საგარეო გამოწვევების წინაშე.

**„რუსეთი მტერია!“ — დღესაც გაიძახიან ისინი. არადა „რუსეთის მტრობა“, რატომღაც, არც ერთ მათგანზე არ ასახულა. „რუსეთის მტრობას“ ჩვენ, ხალხი განვიცდით, „რუსეთის მტრობა“ გაჭირვებული საქართველოს მოსახლეობას, გაჭირვებულ გლეხს ეტყობა, რომელსაც მოსავალი ულპება და სახელმწიფოს თხოვს, მასზე გაწეული დანახარჯი მაინც აუნაზღაუროს. „რუსეთის მტრობა“ არ ეტყობა არც სააკაშვილს, რომელსაც აღარც ადარდებს 2008 წელს მისი ბრძანებით დასაღუპად განწირული ქართველი ჯარისკაცები.**

**რაში გამოიხატება ქვეყნის დამოუკიდებლობა?** პასუხი მარტივია — როცა ქვეყანას მისი მოსახლეობის მიერ არჩეული, დამოუკიდებელი ხელისუფლება ჰყავს, რომელიც ქვეყნის განვითარებაზე, საკუთარ მოსახლეობაზე ზრუნავს. და რამდენად ამართლებდა ამ თეზისს ან „ნაციონალური მმართველობა“ (სადაც სიტყვა „ნაციონალური“ აშკარად უადგილოა), ან რამდენად ამართლებს დღევანდელი ხელისუფლება?

**რა არის საჭირო ქვეყნის განვითარებისთვის?** პასუხი აქაც მარტივია — ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა.

ფსევდოდაპირება, რომ ქართველი გლეხები მოსავალს ევროპაში გაყიდიან, სასაცილოა, თუკი გავიხსენებთ, როგორ აჩერებდნენ, ამ ზაფხულს, **ფრანგი** ფერმერები **ესპანეთიდან** მიმავალ ბოსტნეულით დატვირთულ ტრაილერებს და პროტესტის ნიშნად ცლიდნენ შუა ტრასაზე, ანადგურებდნენ **ევროსტანდარტების სრული დაცვით** მოყვანილ **ესპანურ** ბოსტნეულს... გავიხსენებთ **ბელგიელი, გერმანელი** ფერმერების საპროტესტო გამოსვლებს... ამ ფონზე კი, ევროპელებს, რატომღაც, ქართული ბოსტნეულის იმპორტი უნდა გაუხარდეთ, რომელიც ევროსტანდარტებს ისეა დაშორებული, როგორც დედამიწა — მარსს.

საქართველოში მოსული მოსავლის გასაღების მთავარი ბაზარი რუსეთია. ჩვენი ხელისუფლება ამ სახელმწიფო ინტერესს, უფრო ზუსტად კი, საკუთარი მოსახლეობის ეკონომიკურ განვითარებას, თმობს სხვა, უცხო ქვეყნის ინტერესის სასარგებლოდ. არის კი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება დამოუკიდებელი თავის ქმედებაში და ასახავს ის საკუთარი მოსახლების ინტერესებს?

**P.S. როგორც წინასწარმეტყველებაშია აღნიშნული, „ორი დიდი სახელმწიფო, რომელთაც მანამდე განხეთქილება ექნებათ, ჩასჭიდებენ ერთმანეთს ხელს“... ადვილი მისახვედრია, რომელი ორი სახელმწიფო უნდა ვიგულისხმოთ — აშშ და რუსეთი. დიახ, ურთიერთდაპირისპირების მიუხედავად, მათ შეუძლიათ ერთმანეთს ჩასჭიდონ ხელი და მოკავშირეები გახდნენ, — ეს პოლიტიკაა, ინტერესების თანხვედრა. ჩვენ კი, პატარა საქართველოს, არ შეგვწევს ძალა, ისევ ჩვენი, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, არ შევასრულოთ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული „საბრძოლო იარაღის“ როლი. საამისოდ არც განათლება, და არც თავმოყვარეობა გაგვაჩნია...**

**გავა დრო და ქართულ-რუსული მეგობრული ურთიერთობები კვლავ აღდგება... ამ განვლილ წლებს კი, ჩვენი შთამომავლობა „ერთ დიდ გაუგებრობის პერიოდად“ მონათლავს, ხოლო ჩვენს თაობას — სირცხვილი შეაწუხებს...**

**ლევან ზანგურაშვილი**

**ირანის დაზვერვამ დაადგინა იდენტურობა „ისლამური სახელმწიფოს “ ხელმძღვანელისა, რომელიც ცნობილია სახელით აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი; მისი ნამდვილი სახელია შიმონ ელიოტი. ის არის „მოსადის“ აგენტი, რომელიც ასრულებდა საიდუმლო დავალებებს ფსევდონიმით — იბრაჰიმ იბნ ავად ბინ იბრაჰიმ ალ ბარდი ალ არადუი ჰუსეინი.**

გეოპოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ისლამური სახელმწიფოს» მეთაური — «მოსადის» აგენტი?

**ისლამური სამყაროსთვის სიახლე აღარ არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაური, რომელიც საკუთარ თავს ხალიფა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის უწოდებს, ისრაელის სადაზვერვო სამსახურის — „მოსადის“ სპეციალური აგენტია სახელად შიმონ ელიოტი (ელიოტ შიმონი), მაგრამ ახლა ამ საკითხზე აგორდა მსჯელობის ახალი ტალღა — რას მიაკვლია ირანის დაზვერვამ?**


აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი

ირანის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები უკვე წერდნენ, ტერორისტული ორგანიზაციის მეთაურისა და ისრაელის აგენტის მსგავსებაზე, რომლის ორივე მშობელი ებრაელია. ირანული მედია, აგრეთვე, იუწყებოდა, რომ შიმონ ელიოტი ისრაელის დაზვერვამ გადაიბირა და შეასწავლა ფსიქოლოგიური ომის მეთოდები არაბული და ისლამური თანამეგობრის წინააღმდეგ.

ეს ინფორმაცია კი მიაწერეს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოს ყოფილ თანამშრომელს — ედვარდ სნოუდენს: „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაური აბუ ბაქარ ალ-ბაღდადი თანამშრომლობდა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის სპეცსამსახურებთან“. **წყარო:** რადიო **ajyl.com.**

ეს ინფორმაცია დაადასტურა სხვა წყარომაც — ვებგვერდმა **EGy-Press**-მა.

ფოტოდოკუმენტების გაანალიზების შემდეგ **ირანის დაზვერვამ დაადგინა იდენტურობა „ისლამური სახელმწიფოს “ ხელმძღვანელისა, რომელიც ცნობილია სახელით — აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი; მისი ნამდვილი სახელია შიმონ ელიოტი. ეს არის „მოსადის“ აგენტი, რომელიც ასრულებდა საიდუმლო დავალებებს ფსევდონიმით იბრაჰიმ იბნ ავად ბინ იბრაჰიმ ალ ბარდი ალ არადუი ჰუსეინი.**

**გეგმა:** „ისრაელის საფრთხედ“ გამოცხადებული ქვეყნების სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებებში შეღწევა მათი განადგურების მიზნით, რომლითაც გაადვილდებოდა ახლო აღმოსავლეთის ამ ქვეყნების ტრიტორიების შთანთქმა ისრაელის სახელმწიფოს მიერ, რაც ხელს შეუწყობდა დიდი ისრაელის („ერზაც ისრაელ“) შექმნას.

2014 წლის აგვისტოში გავრცელებული ეს ინფორმაცია, აგრეთვე, მიმდინარე წლის 16 სექტემბერს გამოქვეყნებული ცნობა, რომ **სირიის სამხრეთში მდებარე ქალაქ ეზ-ზაბადანის ერთ-ერთი კვარტლის „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან გაწმენდისას სირიის პრეზიდენტის — ბაშარ ასადის მომხრე სამხედრო შენაერთებმა და დაჯგუფება „ჰეზბოლას“ მებრძოლებმა იპოვეს აშშ-სა და ისრაელში დამზადებული საბრძოლო მასალებისა და იარაღის საწყობი, მანამდე, 2015 წლის თებერვალში, ასეთივე საწყობს მიაგნეს ერაყის ქალაქ ერ-რამადიში, ადასტურებს, რომ აშშ-ის, ბრიტანეთისა და ისრაელის სპეცსამსახურები ქაოსს თესავენ ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში.**







თუ შევადარებთ „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ დაკავებული ნავთობის საბადოებისა და დიდი ხნის წინათ გამოქვეყნებული „დიდი ისრაელის“ რუკებს, ნათელი გახდება, რომ აგენტი ალ-ბაღდადი „დიდი ისრაელის“ შექმნის ძველი გეგმის რეალიზებას ცდილობს.

ეს გეგმა („ინონის გეგმა“) მისმა ავტორმა **ოდედ ინონმა** პირველად ჟურნალ „ქივუნიმის“ („გზა“) მე-14 ნომერში გამოაქვეყნა 1982 წლის თებერვალში **(ჟურნალის რედაქტორი — იორამ ბეკი. სარედაქციო კომიტეტი: ელი ეთიალი, იორამ ბეკი, ამნონ ხადარი, იოჰანან მანორი, ელიზერ შვაიდი).**

ამ საექსპერტო მოხსენებაში აღნიშნულია: **„ყველა არაბული ქვეყანა უნდა გაიხლიჩოს პატარ-პატარა ნაწილებად“ და „სირიისა და ერაყის დაშლა ეთნიკურ და უნიკალურ რელიგიურ რაიონებად, როგორც ლიბანში, ისრაელის ხანგრძლივვადიანი გეგმის მთავარი მიზანია აღმოსავლეთის ფრონტზე“.**

ყოველივე ეს წარმოდგენას იძლევა, რა მიზანი ამოძრავებს „ისლამური სახელმწიფოს“ მეთაურს, როდესაც განაცხადა, რომ სურს, აღკვეთოს საქმიანობა „ბარბაროსი ებრაელებისა“, რომლებმაც ღაზის სექტორი ალყაში მოაქციეს. ისრაელის მიწაზე თავდასხმის შესახებ განცხადება ხომ აშშ-სა და ისრაელს „სისხლიანი ტერორისტების“ პოზიციების დაბომბვის საბაბს მისცემს?!


ბერნარ ანრი ლევი

**პროექტი „ისლამური სახელმწიფო“ აშშ-მა სრულად 2014 წლის ზაფხულში აამოქმედა, პროექტი მომზადებული იყო ე.წ. არაბული გაზაფხულის ჩარჩოებში ერაყის, სუდანის, ტუნისის, ეგვიპტის, ლიბიის, სირიისა და მალის დესტაბილიზაციისთვის.**

ქაოსის იდეოლოგი კი არის დასავლეთის მედიის მიერ ფართოდ რეკლამირებული „ევროპელი ინტელექტუალი“ და „თანამედროვეობის გამოჩენილი ფილოსოფოსი“ **ბერნარ-ანრი ლევი**, რომლის სინდისზეა დაქირავებულებისა და ექსტრემისტების მხარდაჭერა ავღანეთში, ბოსნიაში, კოსოვოში, ტუნისში, ლიბიასა და სირიაში, აგრეთვე, უკრაინაში. ბერნარ-ანრი ლევი მხარს უჭერდა **მიხეილ სააკაშვილსაც**, რომელმაც ქართველი ხალხის წინაშე უამრავი დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ დასავლეთის ხელშეწყობით ახლა თავისუფლად დანავარდობს უკრაინაში.

სწორედ ბერნარ-ანრი ლევი გახლავთ მთავარი იდეოლოგი ბანდისა, რომელიც უმოწყალოდ ხოცავს უდანაშაულო ადამიანებს, მის მიერ ჩადენილი მხეცობების ამსახველ თავზარდამცემ ფოტოებსა და ვიდეოებს კი სოციალურ ქსელში აქვეყნებს.

**ბაჰრეინული გამოცემა GULF DAULY NEWS-ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, „ალ-ბაღდადი წლის განმავლობაში ინტენსიურ სამხედრო მომზადებას გადიოდა „მოსადში“. მას, აგრეთვე, ასწავლიდნენ თეოლოგიასა და სიტყვის წარმოთქმის ხელოვნებას“. გასული წლის ივნისში ერთ-ერთმა იორდანელმა მაღალჩინოსანმა დაუდასტურა WORLDNET-DAILY-ის თანამშრომელს — აარონ კლაინს, რომ 2012 წელს იორდანიის ქალაქ საფიში, საიდუმლო ბაზაზე, ამერიკელი ინსტრუქტორები „ისლამური სახელმწიფოს“ წევრებს ამზადებდნენ.**

„ჩანერგვის ოპერაციის“ ერთ-ერთი ეტაპი იყო ალ-ბაღდადის მოთავსება კემპ ბუკის ციხეში, რომელიც ერაყში უმკასართან ახლოს მდებარეობს. აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა ოფიცერმა და კემპ ბუკში სამხედრო ტყვეების ბანაკის ხელმძღვანელმა (2006-2007) **ჯეიმს სკაილერ გორდონმა** აღიარა, რომ **„სამხედრო ტყვეების ბანაკი ექსტრემიზმის მოსახარში ქვაბი იყო“** და **„ზოგიერთი მონაცემი ირიბად მიუთითებს, რომ ალ-ბაღდადის გონებას, შესაძლოა, აკონტროლებდნენ, როცა ის ერაყში ამერიკელი სამხედროების ტყვე იყო“,** — წერს დოქტორი **კევინ ბარეტი.**

„ინონის გეგმის“ მიხედვით, არაბული და მუსლიმანური სახელმწიფოების დანაწევრება შიგნიდან უნდა დასრულდეს რელიგიური (შიიტებსა და სუნიტებს შორის) და ეთნიკური დაპირისპირების გამოყენებით.

**სწორედ ამიტომ წმენდს „ისლამური სახელმწიფო“ (რომელსაც „მოსადის“ აგენტი ალ-ბაღდადი, იგივე შიმონ ელიოტი, აკონტროლებს) სირიისა და ერაყის ტერიტორიებს არაბებისგან. და თუ გეგმა სრულად განხორციელდება, აშშ და ისრაელი ევროპისკენ მიმავალ ნავთობისა და ბუნებრივი აირის ნაკადებს გააკონტროლებენ და ზღაპრულად გამდიდრდებიან.** სწორედ ამიტომ მკურნალობენ ისლამისტ ტერორისტებს ისრაელის ჰოსპიტლებში, კვებავენ და აიარაღებენ მათ, დებენ გარიგებებს ნავთობზე და ფულს რიცხავენ ისრაელის ბანკების მეშვეობით.

**„ისლამური სახელმწიფო“ ახლო აღმოსავლეთში ქაოსის დათესვის, ნგრევისა და ტერიტორიების აბორიგენი მოსახლეობისგან წმენდის, აგრეთვე, ევროკავშირსა და აშშ-ს შორის ე.წ. ვაჭრობის ტრანსატლანტიკურ ხელშეკრულებაზე ევროკავშირის დათანხმების იძულების პროექტია. ამას ადასტურებს „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისთვის გაწეული დახმარება (იარაღით, ფულით, აღჭურვილობით, წვრთნით) აშშ-ისა და დასავლეთის ზოგიერთი ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ, რომლის შესახებაც არაერთხელ განუცხადებიათ სირიის, ერაყის, ირანისა და სხვა ქვეყნების ხელისუფლებებს.**

ამაზე მიუთითებს აშშ-ის მიერ ორმაგი სტანდარტის გამოყენებაც, როდესაც ის, ერთი მხრივ, ადანაშაულებს ბაშარ ასადს ქიმიური იარაღის გამოყენებაში; მეორე მხრივ კი, თვალს ხუჭავს „ისლამური სახელმწიფოს“ ანალოგიურ ქმედებაზე. **2013 წლის აგვისტოში, მიუხედავად იმისა, რომ არ ჰქონდა სარწმუნო ინფორმაცია ბაშარ ასადის მიერ დამასკოს გარეუბანში ქიმიური იარაღის გამოყენებაზე, აშშ-მა საინფორმაციო ომი წამოიწყო სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ და ერთი ნაბიჯიღა აშორებდა სირიაში სამხედრო ინტერვენციას. ახლა კი, როდესაც არსებობს ფაქტები „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ პროვინცია ელ-ჰასეკში ქურთი „ბოევიკებისა“ და მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ქიმიური იარაღის (ქლორის) გამოყენების შესახებ, ობამას ადმინისტრაცია დუმს.** არადა, ბრიტანული გამოცემა The Dauly Miror-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ისლამურ სახელმწიფოს“ 20 ტონამდე მომწამვლელ ნივთიერებებზე მიუწვდება ხელი და თავისუფლად შეუძლია, ეს ნივთიერებები ევროპაში შეიტანოს ტერორისტული აქტების მოსაწყობად.

**უცხოურ მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**

**კობა ლომიძემ**

არა არს დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩემი დაბეჯითებითი რჩევაა, სკოლების უფროს კლასებსა და უმაღლესი სასწავლებლების პირველ კურსებზე აუცილებლად შემოიღონ დეგენერალოგიის საფუძვლების სწავლება, რათა ნორმალურმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ არსებობს დეგენერატების უზარმაზარი კლასი, და ახალგაზრდობაშივე შეეძლოთ სწორი არჩევანის გაკეთება ჯანსაღი ოჯახების შესაქმნელად“.**

# შემეცნების გასაღები




**ავტორის შესახებ**

გრიგორი კლიმოვი იგორ ბორისის ძე კალმიკოვის ლიტერატურული ფსევდონიმია. დიდი სამამულო ომის მონაწილე ომის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ბერლინში საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციაში, 1947 წელს გაიქცა დასავლეთ გერმანიაში, 1949-1950 წლებში მონაწილეობდა ჰარვარდის პროექტში, რომელიც აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ეგიდით ხორციელდებოდა; ზოგიერთი მკვლევარის აზრით, იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების ორმაგი აგენტი, გარდაიცვალა 2007 წლის 10 დეკემბერს ნიუ იორკში, 89 წლისა.

50 წლის განმავლობაში ამუშავებდა ე.წ. უმაღლესი სოციოლოგიის (დეგენერალოგიის) მარგინალურ კონცეფციას, რომელიც ისტორიისა და სოციოლოგიის ინტერპრეტაციის სახით იყო წარმოდგენილი.

დაწერილი და გამოცემული აქვს წიგნები: „ტერორის მანქანა“ (1951 წ.), „ამა სამყაროს თავადი“, „საქმე 69“ (1970 წ.), „ჩემი სახელი ლეგიონია“ (1975 წ.), „საბჭოელ ბრძენთა ოქმები“ (1981 წ.), „წითელი კაბალა“ (1996 წ.), „ღმერთის ხალხი“ (1997 წ.).



გრიგორი კლიმოვი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33 (315)

## პრობლემის არსი

**გრიგორი კლიმოვს 80 წლის იუბილეზე ინტერვიუ ჩამოართვეს:**

**— დეგენერატები ბევრნი არიან?**

— დეგენერაციის მეორე სტადიისა (ფსიქიკური დაავადებანი) და მესამე სტადიის სტატისტიკა (თანდაყოლილი დეფექტები) პრესაშია გამოქვეყნებული... ხოლო დეგენერაციის პირველი სტადიის (სქესობრივი გაუკუღმართება) სტატისტიკის მოპოვება არც ისე ადვილია.

გადავხედოთ მონაცემებს, რომლებიც აშშ-ში გამოაქვეყნეს დოქტორმა Wittels-მა და დოქტორმა Kinsey-მ. მათგან პირველი თავის ნაშრომში „ამერიკელი ქალების სექსუალური ცხოვრება“ ასეთ სტატისტიკას გვთავაზობს:

**გაუთხოვარი ქალები** — 20 პროცენტს მრავალჯერ ჰქონდა ჰომოსექსუალური ურთიერთობა სხვა ქალებთან; 51 პროცენტი ოცნებობდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობაზე სხვა ქალებთან;

**გათხოვილი ქალები** — 15 პროცენტს მრავალჯერ ჰქონდა ჰომოსექსუალური ურთიერთობა სხვა ქალებთან; 32 პროცენტი ოცნებობდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობაზე სხვა ქალებთან.

**— მამაკაცებში რა მდგომარეობაა?**

დოქტორი Kinsey ასეთ სტატისტიკას გვთავაზობს:

4 პროცენტს მრავალჯერ ჰქონდა ჰომოსექსუალური ურთიერთობა სხვა მამაკაცებთან; 33 პროცენტი ოცნებობდა ჰომოსექსუალურ ურთიერთობაზე სხვა მამაკაცებთან.

სხვა სამეცნიერო შრომები განსხვავებულ მონაცემებს გვაწვდის, მაგრამ უმეტესობა 33-50 პროცენტის ფარგლებში რჩება. ამრიგად, **ყოველი მესამე (ყოველი მეორე) ადამიანი პირველი სტადიის დეგენერაციაში ხვდება.**

ამ მონაცემების პროფესიული ნიშნით გაანალიზების შემდეგ საკმაოდ საინტერესო სურათი იხატება:

*** 5 პროცენტი — გლეხობა (ფერმერები);**

*** 10 პროცენტი — მუშები (ქარხნის);**

*** 50 პროცენტი — ინტელექტუალები;**

*** 75 პროცენტი — ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები;**

*** 90 პროცენტი — მასობრივი საინფორმაციო საშუალებების თანამშრომლები.**

ეს სტატისტიკა ახალი კუთხით წარმოგვიდგენს კლასთა ბრძოლის ძველ იდეას, მაგრამ არა კლასობრივ ბრძოლას მდიდრებისა ღარიბების წინააღმდეგ, არამედ დეგენერატების — ნორმალური ადამიანების წინააღმდეგ.

გაზეთმა **„ნიუ იორკ ტაიმსმა“** გამოაქვეყნა ამერიკელი მეცნიერების ერთი ჯგუფის კვლევის შედეგები. მათ აღნიშნული კუთხით გააანალიზეს მსოფლიო ისტორიაში **78 უდიდესი პიროვნება** და აღმოჩნდა, რომ:

*** 37 პროცენტი დაავადებული იყო მწვავე სულიერი დაავადებით სიცოცხლის განმავლობაში;**

*** 83 პროცენტი აშკარა ფსიქოპათი იყო;**

*** 10 პროცენტი მსუბუქი ფსიქოპათი იყო;**

*** 7 პროცენტი ნორმალური ადამიანი იყო.**

როცა გამოკვლევა კაცობრიობის ისტორიაში **35 უდიდეს გენიოსამდე** შეამცირეს, აღმოჩნდა, რომ:

*** 40 პროცენტი მწვავე სულიერი დაავადებით იტანჯებოდა;**

*** 90 პროცენტი ფსიქოპათი იყო.**

აი, რატომაა, რომ დეგენერალოგიაში არსებობს სამი „კანონი 90 პროცენტის“, პროფესორ **იგორ კალმიკოვის სამი ძირითადი კანონი**:

*** ყველა სერიოზული დანაშაული დაკავშირებულია გადაგვარებასთან;**

*** ყველა დაავადების (ინფექციურის გამოკლებით) 90 პროცენტი დაკავშირებულია გადაგვარებასთან;**

*** კაცობრიობის ისტორიაში ყველა გენიოსის 90 პროცენტი გადაგვარებული იყო.**

ამ საგანს, 50 წელიწადია, ვსწავლობ და, ბოლოს და ბოლოს, დავასკვენი, რომ:

ყველა ქვეყნის სახელმწიფო უშიშროების სამსახურებმა აუცილებლად უნდა შეისწავლონ დეგენერალოგია. ეს იმისთვისაა საჭირო, რათა ერმა აღარასოდეს გავილაშქროთ ერის წინააღმდეგ დეგენერატიული სექტის ლიდერების სადისტურ თავშესაქცევად.

**ჩემი დაბეჯითებითი რჩევაა, სკოლების უფროს კლასებსა და უმაღლესი სასწავლებლების პირველ კურსებზე აუცილებლად შემოიღონ დეგენერალოგიის საფუძვლების სწავლება, რათა ნორმალურმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ არსებობს დეგენერატების უზარმაზარი კლასი, და ახალგაზრდობაშივე შეეძლოთ სწორი არჩევანის გაკეთება ჯანსაღი ოჯახების შესაქმნელად.**

**— რა იცით, რომ თქვენ თვითონ არ ხართ დეგენერატი?**

— თვითგამოკვლევის უბრალო და შედარებით იოლი ტესტი ოჯახის ისტორიის შემოწმებაა. იგი ყველა ჩვენგანისთვის პრაქტიკულად ხელმისაწვდომია.

მაგრამ არის განსაკუთრებული შემთხვევებიც. რა უნდა ქნან ობლებმა, რომლებმაც არ იციან თავიანთი ოჯახების ისტორია? რა ქნან ნაშვილებმა ბავშვებმა, რომლებსაც, უმეტეს შემთხვევაში, მათი დეგენერატი დედობილ-მამობილები ამაზე არაფერს ეუბნებიან (ხშირად თვითონ არ აქვთ ინფორმაცია ამის შესახებ)? ეს ნაშვილები ბავშვები დარწმუნებულნი არიან, რომ ისინი და მათი დედობილ-მამობილები ერთი ოჯახია.

დეგენერატების კლასში იმდენი ჯოჯოხეთური კომბინაცია არსებობს, რომ თვით ეშმაკი წაიტეხს კისერს. მაგალითად, **იცით თუ არა, რომ დეგენერატები ისწრაფვიან, იყოლიონ უამრავი ნაშვილები? ასიათასობით წელიწადში. ეს ნაშვილები ბავშვები არასოდეს დაქორწინდებიან დეგენერატების ნამდვილ შვილებზე (ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ დეგენერატებს შორის არანორმალურ სექსუალურ ურთიერთობაზე).**

როცა ოჯახის შექმნის დრო დადგება, ეს ნაშვილები ბავშვები დაიწყებენ წყვილის ძებნას თავიანთ დეგენერატ მეგობრებს შორის. დაიწყებენ ძებნას, და ბოლოს იპოვიან ნორმალურ პარტნიორს მათსავით ნაშვილები ბავშვის სახით. ეს ახალი ოჯახები ასი პროცენტით ნორმალური იქნება, მაგრამ მათ გარშემო ყველა, მათივე ჩათვლით, ასი პროცენტით იქნება დარწმუნებული, რომ ისინიც დეგენერატები არიან, რადგან ეს ნორმალურები პირზე დუჟმორეულები დაიცავენ თავიანთი „მშობლების“ უკუღმართობებს.

ხედავთ, როგორ გართულდა ყველაფერი?

აი რატომაა, რომ **დეგენერალოგიაში ყველა წესი და აქსიომა სიმართლის მხოლოდ 90 პროცენტს ამბობს და არასოდეს — 100 პროცენტს.** „დედობილ-მამობილთა“ შვილები და შვილიშვილები ხმის ჩახლეჩამდე იყვირებენ:

— დიახ, ჩვენ 100-პროცენტიანი დეგენერატები ვართ! მაგრამ შემოგვხედეთ! ჩვენ ნორმალურები ვართ! ჩვენი შვილებიც ნორმალურები არიან!

როგორ აგვიხსნით ამ ყველაფერს, ჩვენო გულითადო მეგობარო?

ძალიან იოლად და მარტივად აგიხსნით: **ნებისმიერს შეუძლია, ჩაიტაროს თვითშემოწმების ტესტი.**

მათ მიმართ, ვინც დეგენერაციის მესამე სტადიაში მოხვდება (თანდაყოლილი დეფექტები) და ან დეგენერაციის მეორე სტადიაში (ფსიქიკური დაავადებანი), ყველაფერი ნათელი და გარკვეულია.

**გასარკვევია, მოხვდებით თუ არა დეგენერაციის პირველ სტადიაში (სექსუალური გაუკუღმართება).**

**ჩვენს პროგრესულ საუკუნეში სექსუალური გაუკუღმართებანი მასობრივი ინფორმაციის (დეზინფორმაციის) საშუალებათა დეგენერატიული პროპაგანდის წყალობით ლამის ნორმად დამკვიდრდეს... მაშ, როგორღა უნდა შევამოწმოთ საკუთარი თავი სექსუალური გაუკუღმართების საკითხში?**

ძალიან მარტივად: შეეცადეთ, გააკეთოთ იგი ნორმალურად, მამაპაპურად, როგორც ჩვენი წინაპრები საუკუნეების განმავლობაში აკეთებდნენ: „სახით სახისკენ და მამაკაცი ზემოდან“.

რამდენიმეჯერ.

როცა ქალთან წევხართ, არ წარმოიდგინოთ, რომ სხვა მამაკაცთან გაქვთ სექსუალური ურთიერთობა ან — ძაღლთან, ან... თქვენს ფანტაზიას არ მისცეთ გასაქანი.

**თუ ამ თვითშემოწმების შედეგები დადებითი იქნება, შესაშფოთებელი არაფერი გჭირთ... სავსებით შესაძლებელია, რომ თქვენთვის არ უთქვამთ, ნაშვილები რომ ხართ, ან თქვენი მშობლებისთვის არ უთქვამთ, რომ ნაშვილები იყვნენ. თუ სექსუალურ გადახრაზე ჩატარებული ტესტი ნეგატიური აღმოჩნდება, მაშინ ღმერთს შესთხოვეთ, სწორი არჩევანი გაგაკეთებინოთ.** მაგრამ ამაზე მოგვიანებით ვილაპარაკებთ.

**— ხომ შეიძლება დავუშვათ, რომ ჩვენ, ყველანი, დეგენერატები ვართ?**

— ქვეყნად არსებობენ ქურდები, ღმერთო მაპატიე, ალკოჰოლიკები და ნარკომანები, მაგრამ, ამასთანავე, არიან ნორმალური ადამიანებიც. უამრავნი არიან. ისინი აშენებენ სახლებს, გაჰყავთ გზები, გვირაბები, აგებენ ხიდებს. მათ ყოველდღიურად გადაჰყავთ ათასობით ადამიანი თვითმფრინავებით, მატარებლებით, ავტობუსებით. ისინი მიფრინავენ კოსმოსში. ისინი მუდმივად ქმნიან...

**ნორმალური ადამიანები იმდენად ბევრნი არიან, რომ დეგენერატების კლასმა მთელი თავისი დამანგრეველი ენერგიით ვერა და ვერ შეძლო მათი განადგურება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ომი მრავალი ათასეული წლის განმავლობაში შეუჩერებლად მიმდინარეობს.**

**— რას ფიქრობთ საერთაშორისო სავალუტო ფონდზე?**

— დეგენერატიული კლასის სტრუქტურა დასავლეთში პრაქტიკულად ისეთივეა, როგორიც კომუნისტური პარტიის სტრუქტურა იყო აღმოსავლეთში.

ნებისმიერ საბჭოთა ორგანიზაციას უამრავი ტექნიკური თანამშრომელი-რეფერენტი ჰყავდა. ისინი, ჩვეულებრივ, სტრუქტურის ეშელონის დაბალ საფეხურზე იმყოფებოდნენ, მაგრამ, ამასთანავე, ამ სტრუქტურებს ხელმძღვანელობდნენ მაღალი ხარისხის დაპატენტებული კომუნისტები.

შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ სერიოზული საბრძოლო ორგანიზაცია, სადაც ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფილიყვნენ უპარტიო ადამიანები?!

იგივე შეიძლება ითქვას საბჭოთა კომინტერნის (კომუნისტური ინტერნაციონალის) ანალოგზე — **ჰომინტერნზე,** ჰომოსექსუალ-დეგენერატთა ამ საერთაშორისო საძმოზე.

ამიტომ თქვენს შეკითხვაზე პასუხს ასე გაგცემთ: **საერთაშორისო სავალუტო ფონდის ლიდერების 90 პროცენტი დაპატენტებული დეგენერატები უნდა იყვნენ. ამ ორგანიზაციის დანარჩენი წევრები (ტექნიკური პერსონალი), ვფიქრობ, კარგადაა გაწვრთნილი, რათა არ დასვან უხერხული შეკითხვები თავიანთი ბელადების კრიმინალური გადაწყვეტილებებისა რეკომენდაციების შესახებ.**

**— რას ფიქრობთ ელცინსა და მის გუნდზე?**

— მისი მოღვაწეობის შესახებ გამართული დებატები დაკავშირებულია ერთ საკითხთან, კერძოდ, იმასთან, ვითომ ელცინი და მის მიერ შეკრებილი დეგენერატები, ყველა ერთად, რუსეთის საკეთილდღეოდ მუშაობენ.

ეს ძალიან საშიში შეცდომაა.

**დეგენერატების ხროვის, რომლებიც დასვეს იმის საკეთებლად, რასაც აკეთებენ, თანაც — საკმაო წარმატებით, მთავარი ამოცანაა:**

*** მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნის ეკონომიკა ჩიხში მოაქციონ, თანაც უმოკლეს დროში;**

*** ვალად აიღონ რაც შეიძლება მეტი ფული, არნახულ პროცენტებად;**

*** გაფლანგონ ეს ფული ისეთი იდიოტური პროექტების განსახორციელებლად, რომლებიც არავის სჭირდება;**

*** სრულად გაანადგურონ ქვეყნის თავდაცვის პოტენციალი;**

*** მოიპარონ ყველაფერი, რისი მოპარვაც შეიძლება;**

*** უმთავრესი — მომავალ თაობებს სამუდამო ვალის უღელი დაადგან.**

ვფიქრობ, ამ ამოცანას მათ წარმატებით გაართვეს თავი. და, როცა ჯართად დაჭრიან უკანასკნელ საბჭოთა ატომურ წყალქვეშა ნავს, აი, მაშინ დაინახავთ დასავლეთის დემოკრატიის ჭეშმარიტ სახეს, იმ დემოკრატიისა, რომელიც დეგენერატიული სექტის ლიდერების ფეხქვეშაა მოქცეული.

**«ჩვენს პროგრესულ საუკუნეში სექსუალური გაუკუღმართებანი მასობრივი ინფორმაციის (დეზინფორმაციის) საშუალებათა დეგენერატიული პროპაგანდის წყალობით ლამის ნორმად დამკვიდრდეს... მაშ, როგორღა უნდა შევამოწმოთ საკუთარი თავი სექსუალური გაუკუღმართების საკითხში?»**

(გაგრძელება იქნება)

# ნიან.GE

ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95


# რაც დაგვა-კელი-თ, მიდით, ანი აგვი-კელი-თ!

## ანუ თინა ხიდაშელს საქართველოს «ამოწყვეტა» სურს...

**ხიდაშელი — სირია! — ეს ორი ფაქტორი მართლაც საეჭვოდ დაემთხვა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ელჩის ჩამოსვლას. აკი, იან კელიმ თავის „სეფე-სიტყვაში“ სწორედ ამ ორ ფაქტორს გაუსვა ხაზი: სირიაში რუსეთის, მისი აზრით, გაუმართლებელ მოქმედებებს და ამავე რუსეთის უკანონო მოქმედებების წინააღმდეგ გადასადგმელ ნაბიჯებს საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში, რომლებიც, თავის მხრივ, სწორედ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა უნდა უზრუნველყოს.**




**საქართველოს ისტორიას არ ახსოვს მსგავსი იდიოტური განცხადება ასეთი რანგის სახელმწიფო მოღვაწისგან. ასეთი ტუტუცობა, შესაძლოა, რომელიმე ოდიოზურმა პოლიტიკანმა ანდა ქუჩაში მორბენალმა უტვინო „მოპატრიოტო“ ელემენტმა დააბრეხვოს, მაგრამ, როდესაც ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ამას აცხადებს, ეს უკვე საგანგაშოა!**

ვერ გეტყვით, რატომ ურჩევნია ამერიკის შეერთებულ შტატებს სირიაში ბაშარ ალ-ასადის ე.წ. რეჟიმს ესოდენ გათავხედებული და აშკარად ტერორისტული „ისლამური სახელმიფო“ და მისი გაძლიერება, თუმცა ამ მასალის მიზანი საერთაშორისო მიმოხილვა ნამდვილად არ არის და ამიტომ მოდი, ისევ ჩვენს ბედკრულ სამშობლოს დავუბრუნდეთ.

ჩვენს ბედკრულ სამშობლოში კი ხდება ის, რომ ჩვენმა **ბრძენმა თავდაცვის მინისტრმა „ბი-ბი-სის“ ეთერში რუსეთის ფაქტორზე საუბრისას არნახულად „ბრძნული“ დარიგება მისცა სრულიად საქართველოს, ქართველ ერს და, ფაქტობრივად, ამოწყვეტისაკენ მოუწოდა.**

„ცნობილია, რომ თქვენ არ იწონებთ წინა ხელისუფლების მოქმედებებს. როგორც თავდაცვის მინისტრი, რას მოიმოქმედებთ თავად, თუკი საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობამ კვლავ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია და საქართველოში 2008 წლის მსგავსი მოვლენები განვითარდა?“ — ჰკითხა უცხოელმა კორესპონდენტმა საქართველოს თავდაცვის მინისტრს.

ნორმალური ადამიანი, რა თქმა უნდა, იფიქრებს, რომ აქ მინისტრმა დინჯი, გააზრებული, გაწონასწორებული პასუხი უნდა გასცეს; თქვას, რომ საქართველო, თავის მხრივ, ყველაფერს შეეცდება, რათა ასეთი მოვლენები აღარ განმეორდეს; რუსეთის მხრიდან აგრესიის განმეორების შემთხვევაში, შეეცდება, თავი აარიდოს პირდაპირ სამხედრო კონფრონტაციას, გამონახოს სხვადასხვა გზა და ა. შ.

მაგრამ, როგორც ჩვენი ყოფილი ბელადი იტყოდა, ნურას უკაცრავად!

**„თუკი საქართველოში 2008 წლის მსგავსი მოვლენები განვითარდა და ევროპა და ამერიკა ისევ ისეთ ნაკლებ ყურადღებას და მხარდაჭერას გამოიჩენენ, ჩვენ, ყველანი, გმირულად დავიღუპებით!“** — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

პირდაპირ ვიტყვი: **საქართველოს ისტორიას არ ახსოვს მსგავსი იდიოტური განცხადება ასეთი რანგის სახელმწიფო მოღვაწისგან. ასეთი ტუტუცობა, შესაძლოა, რომელიმე ოდიოზურმა პოლიტიკანმა ანდა ქუჩაში მორბენალმა უტვინო „მოპატრიოტო“ ელემენტმა დააბრეხვოს, მაგრამ, როდესაც ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ამას აცხადებს, ეს უკვე საგანგაშოა!**

რა უფლება აქვს თანამდებობის „დათრევით“ აშკარად ამჩატებულ და აცანცარებულ თინას, რომ მთელ ერს „დაღუპვას“ სთხოვს? ან ვინ ეკითხება ამ მართლაც უცხო ქვეყნის პირდაპირ ემისარს (ნუ დაგვავიწყდება ქართველებს, რომ „უცხო ქვეყანა“ მხოლოდ რუსეთი არ არის), მე, ჩემი შვილი ან თუნდაც ჩემი მეზობელი თამაზა „გმირულად დავიღუპებით“ თუ ცოტა მეტი ტვინი აღმოგვაჩნდება და მთელი ერის თუნდაც „გმირულად“ გაჟუჟვას ვამჯობინებთ თინასნაირი უტვინოებისთვის შესაფერისი ადგილის მიჩენას და ჩვენი ქვეყნის ფიზიკური გადარჩენისთვის გზების გამონახვას?

**როგორც ჩანს, ამ მართლაც ტუტუცებს არა მხოლოდ ეს ქვეყანა და მისი ტერიტორია მიაჩნიათ პირად საკუთრებად, არამედ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებიც თავიანთი „ქონება“ ჰგონიათ და, როცა უნდათ, მაშინ ამოწყვეტენ და გაჟუჟავენ, თვითონ კი „პატრიოტულად“ გადაიხვეწებიან უცხოეთში წინასწარ მომზადებულ, ხალხის ფულით ნაყიდ კომფორტულ კარ-მიდამოებში და მერე იქიდან „ტუფლებში ჩაყრილი ქართული მიწით“ აგვიჩუყებენ გულს.**

ზუსტად ვიცი, ზოგიერთი „მოპატრიოტო“ მატრაკვეცა ყოველივე ამის წაკითხვისას აუცილებლად წამოწევს უკვე ძალიან ბანალურად ქცეულ „ლაჩრობის“, „მონობის“ და მსგავს თემებს. „რა ვქნათ, აბა, ჩექმები დავუკოცნოთ რუსებს?“ — ეს მძიმედ დემაგოგიური კითხვა, სამწუხაროდ, ჯერაც ახდენს შთაბეჭდილებას ქართველი საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელსაც საკუთარი პირადი „ვაჟკაცობის“ მტკიცება საქვეყნო საქმეზე წინ დაუყენებია.

კარგი, დავიჯეროთ, რომ **დიმიტრი თავდადებული** „ლაჩარი“ იყო, რადგან მტერთან მორჩილად გამოცხადდა — **„მე რომ არ მივიდე და არ დავემორჩილო, მტერი ჩემს ქვეყანას მოაოხრებს“?!**

დავიჯეროთ, რომ „ჩექმის მლოკველი“ იყო **გიორგი ბრწყინვალე**, რომელიც ათწლეულების განმავლობაში „ექმაკაცებოდა“ მტრებს, რადგან მიაჩნდა, რომ ჯერ არ იყო დამდგარი მომენტი, როდესაც აზრი ექნებოდა რაიმე წინააღმდეგობას?!

**მადლობა ღმერთს, რომ ასეთი „ლაჩარი“ მოღვაწეები არაერთი იყო საქართველოს ისტორიაში, თორემ დღეს ქართველების ხსენებაც აღარ იქნებოდა დედამიწაზე, ისევე, როგორც ამოწყდა და სრულიად განადგურდა არაერთი „ვაჟკაცი“ ერი და ქვეყანა. და მერე რაღას იზამდა „თინათინ თავდადებული“, როდესაც „ვაჟკაცურად“ ამოსაწყვეტი და ამოსაჟლეტი არავინ ეყოლებოდა?**

ეს, რაც შეეხება იმ მართლაც სახელმწიფო დამნაშავეებს, რომლებსაც დღეს რატომღაც ამ ქვეყნის ბედ-იღბალი აბარიათ.

რა თქმა უნდა, ურიგო არ იქნება, თუკი იმაზეც დავფიქრდებით, მოსალოდნელითუ არის, საქართველოში რეალურად მოხდეს ის, რისთვისაც ასე გულდაგულ ემზადება თინა-სპასალარი.

მოგეხსენებათ, **ეს ადამიანები, პროამერიკელები კი არა, პირდაპირ ამერიკელები არიან ყოველგვარი პროს გარეშე. ისინი პირდაპირ ახორციელებენ ჩვენს რეგიონში ამერიკის ინტერესებს და, შესაბამისად, სიტყვასაც არ დაძრავენ თავიანთ „შეფებთან“ შეუთანხმებლად.**

სწორედ **ამიტომაც არის საეჭვო, რომ მთელი ეს „ხიდაშელი-სირია“ ამბები სწორედ ამერიკის ახალი ელჩის საქართველოში ჩამოსვლას დაემთხვა. თავის მხრივ, ახალი ელჩის დანიშვნა, არანაკლებ საეჭვოდ დაემთხვა რუსეთის სამხედრო გააქტიურებას სირიის მიმართულებით და უკრაინის ხელისუფალთა ზედიზედ რამდენიმე უმწეო განცხადებას იმის თაობაზე, რომ მათ ქვეყანას უკვე აღარ შეუძლია ასეთ რეჟიმში ცხოვრება და სულს ღაფავს.**

ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, სირიულ არეულობას, ალბათ, რუსეთი საბოლოოდ მოუღებს ბოლოს და ავად თუ კარგად შეაჩერებს, „დააკონსერვებს“ მას. მძიმე სამხედრო ავანტიურით ძალაგამოცლილი უკრაინა, უბრალოდ, მოდუნდება და დანებდება — მალე ბრძოლისა და წინააღმდეგობის აღარც სურვილი ექნება და აღარც რესურსი.

**„ძია სემს“ კი რუსეთის შორიახლოს აუცილებლად ესაჭიროება გაგანია სამხედრო კონფლიქტი. რაღა თქმა უნდა, საამისოდ მორიგი, ყველაზე ეფექტურად „ასაფეთქებელი“ ადგილი საქართველოა. მით უფრო, რომ ამ ქვეყნის სათავეში უპასუხისმგებლო და ტუტუცი ადამიანები არიან მოკალათებულნი.**

დაახლოებით ასე შეიძლება აიხსნას **იან კელის ელჩად დანიშვნისას წარმოთქმული „სეფე-სიტყვა“, რომელშიც ბევრი იყო რუსეთისთვის აშკარად გამაღიზიანებელი გამოთქმები, ხაზგასმული — ამერიკის მზადყოფნა, კიდევ უფრო გააქტიურდეს კავკასიასა და საქართველოში და „მკაცრად შეზღუდოს და გააკონტროლოს რუსეთის თავხედობა“ ამ რეგიონში.**

მოკლედ — ახლა ნახეთ, რაც აქამდე დაგა-**კელი**-თ, ერთბაშად აგინაზღაურებთ ყველაფერსო, — გვპირდება ამერიკული დიპლომატია და, როგორც ჩანს, არც რუსეთი უნდა იყოს „კავკასიური კონფრონტაციის“ გაღვივების წინააღმდეგი. აკი, ნებისმიერი კავკასიური კონფლიქტისას რუსეთი სახეიროს ყველთვის პოულობდა.

**რუსეთი „კავკასიური ომებიდან“, დროებითი უკანდახევის შემთხვევებშიც კი, მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა და ვგონებ, ამაზე დაფიქრება დღესაც საჭიროა!**

მაგრამ, თუკი ვინმე თავისი ვაჟკაცობის დამტკიცების გუნებაზეა, კეთილი ინებოს, ეს სადმე უბანში ან სამეზობლოსა და საძმაკაცოში ამტკიცოს!

**როდესაც საქმე სახელმწიფოს, ქვეყანას, ერს შეეხება, იქ გულზე მჯიღების ბრახუნი არ არის გამართლებული და მისაღები, რადგან „კოლექტიური თავგანწირვის“ მოთხოვნა მუდამ და ყოველთვის ავანტიურისტების, დემაგოგებისა და მართლაც ლაჩრების საქმეა.**

აკი, **არაერთხელ ყოფილა როგორც უძველეს, ასევე უახლეს ისტორიაში ან თუნდაც ახლო წარსულში, როგორ უდურთიათ ხოლმე თავი გასაქცევად რეალური საფრთხის შემთხვევაში გულზე მჯიღების ყველაზე ხმამაღლა მობრახუნეებსა და მამულისთვის ყველაზე უფრო „თავგანწირულებს“ შეშინებული შეძახილით: „მე უკვე მომკლეს, ბაბუ!“.**

ბლოგი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნიან.GE

**კიდევ ერთხელ დავრწმუნდით და დავინახეთ, რომ ჩვენს ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელ საზოგადოებაზე ყველაფერი ლაკმუსივით მოქმედებს. თბილისის ყოფილი მერის გარშემო მომხდარმა „იურიდიულმა ცირკაჩობამაც“ კი სწორედ ერთგვარი ლაკმუსის როლი შეასრულა და „დალაკმუსებულთა“ მორიგი წყება დაანახვა საზოგადოებას.**

## გასა-გიგი-ჟებელი დემოკრატია და გრიგოლიას გრიგალი

ალბათ, კარგა ხანს არ ამოვა ქართველი ტელემაყურებლის ყურიდან გამაოგნებელი შებღავლება: „გიგი, გმირი ხარ გიიიიგიიი!“, რომელმაც, სხვა ყველაფერთან ერთად, უკვე ცნება „გმირიც“ დააკნინა და დაასამარა დღევანდელი ქართველი საზოგადოების ცნობიერებაში.

ვაღიარებ: ვცდილობ, ერთობ ფრთხილად ვწერო... საზოგადოდ, არ მიყვარს წერა ადამიანზე, რომელიც, მართალია, თავხედობისა და უტიფრობის გაკვეთილებს უტარებს ერს, მაგრამ მაინც პატიმარია... რთულია, ბოლომდე გადაუარო ადამიანს, რომელსაც თავისუფლება აქვს შეზღუდული, თუმცა ფაქტია, ამას იმსახურებს!

**სამწუხაროდ, გიგი უგულავას საწინააღმდეგოდ კიდევ უფრო განაწყობს და აქეზებს საზოგადოებას მისი მეხოტბეების უაზრო გამოხდომები და კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ „გამომხდომთა“ რიგებში, გარდა კარგად ცნობილი „ნაცჟურნალისტებისა“, უკვე აშკარად გაერია ის ჟურნალისტი, რომელიც აქამდე მეტნაკლებად ინარჩუნებდა სიმშვიდეს და იმდენი ჭკუა მაინც ჰყოფნიდა, რომელიმე „ნაცბელადის“ მიმართ ხოტბა-დიდება არასოდეს აღევლინა...**

როგორც ჩანს, „იმედის“ ეთერიდან მოხსნამ ინგა გრიგოლიას საბოლოოდ დააკარგვინა კონტროლი და მისი გამოხმაურება გიგი უგულავას ციხეში ხელახლა შებრუნებაზე თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ბელადით „ხბოს აღფრთვანების“ კლასიკურ ნიმუშად.

„დაპატიმრებაც ასეთი უნდა! პირდაპირ ეთერში! საკუთარი ფეხით... 4 წელი და 6 თვე... მარტო გიგის შეეძლო ასე დაეპატიმრებინათ! ვინც იცნობს, მხოლოდ ის მიხვდება, რასაც ვგულისხმობ... სხვა ვერა... ტყუილად ნუ მოძებნით პოლიტიკურ ქვეტექსტებს ჩემს პოსტში. ამ სტატუსს მხოლოდ ისინი გაიგებენ, ვინც უგულავას პირადად იცნობს“, — წერს ინგა გრიგოლია თავის ფეისბუქკედელზე და რატომღაც აზრად არ მოსდის, რომ ამ პოსტში პოლიტიკური ქვეტექსტი ნამდვილად არ არის საძებნელი, რადგან ეს, ყოველგვარი „ძებნისა“ და „ქვე“-ს გარეშე, პირდაპირი პოლიტიკური ტექსტია!

ამასთანავე, ინგა რატომღაც იმასაც ვერ ხვდება, რომ გიგის, ვიდრე თვითონ გაიცნობდა, მანამდე მართლაც ვიცნობდით ბევრი და ჩვენთვის თბილისის მომავალ მერთან პირად ნაცნობობას არაფერი აღსაფრთოვანებელი და აღსატაცებელი არ მოუტანია.

**5 წელიწადი ვსწავლე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გიგი უგულავასთან ერთად ერთ კურსზე და, რაც მახსოვს, ეს არის ლექციებს შორის შესვენებებზე დერეფანში რომელიმე ლექტორთან „გადავაზელინებული“ სახით მოსაუბრე უგულავა, რომელიც, მთელი სტუდენტობის განმავლობაში, მგონი, ერთხელაც არ გამოსულა უნივერსიტეტის ბაღში და ლაღად, სტუდენტურად არ უცხოვრია, მუდამ ლექტორებთან შეტენვით იყო დაკავებული. სხვათა შორის, უგულავას ასეთივე თვისებებზე საუბრობენ მისი სკოლელები და კლასელებიც.** სამაგიეროდ, როდესაც ხელისუფლებაში „ნაციონალები“ მოვიდნენ, სწორედ ის ლექტორები, რომლებსაც გიგი და მისნაირები ხუთი წელიწადი ერთ ადგილას უძვრებოდნენ, უაპელაციოდ ჩაყარეს ერთ ქვაბში და კორუფციაში აშკარად არადემოკრატიული კოლექტიური ბრალდებით მოისროლეს უნივერსიტეტიდან.

აი, გიგისგან მსგავსი საქციელი ნამდვილად არ გაგვიკვირდებოდა, ინგა, იმ ხალხს, რომელიც პირადად ვიცნობთ გიგის!

**ჯარში რომ წაგვიყვანეს მთელი კურსი და უგულავამ „პატრიოტულად“ აარიდა თავი ორიოდე თვით ეროვნულ არმიაში, ყაზარმებში ყოფნას, ეგეც, ალბათ, „მხოლოდ გიგის შეეძლო“, არა?**

ჩემთვის ორმაგად ძნელია ახლა ამის წერა, რადგან ერთი, როგორც ვთქვი, პატიმარზე ვწერ და მეხამუშება, მეორეც — ინგა გრიგოლია პირადად მყავს ისეთ სიტუაციებში ნანახი, რის გამოც პატივისცემას იმსახურებდა...

მაგრამ **უგულავას მიმართ ასე სასაცილოდ „აღფრთოვანებული“ და, პირდაპირ ვიტყვი, სულელური პოსტით გრიგოლია წყალში ყრის მეტ-ნაკლებად შენარჩუნებულ იმიჯს და უკვე საბოლოოდ იკრავს „ნაცჟურნალისტის“ იარლიყს...** თუმცა ეს მისი გადასაწყვეტია და, თუკი ასე განაგრძობს, ის „გრიგალი“, რომელიც მუდამ თან დაჰყვებოდა ხოლმე გრიგოლიას შოუებს სხვადასხვა ტელეარხზე, საბოლოოდ ჩადგება. დაკარგული და საკუთარი ხელით უშნოდ ნათრევი იმიჯის აღდგენა შეუძლებელია! ეს ინგამ, მგონი, კარგად უნდა იცოდს!

ვინმე იქნებ შემედავოს, რა ნახე გრიგოლიას ამ ფრაზაში ისეთიო?!

კარგი, მივყვეთ ლოგიკურად: **ტელეწამყვანი აღფრთოვანებულია იმით, რომ გიგი უგულავა თავისი ფეხით შევიდა საქალაქო სასამართლოში მას შემდეგ, როცა განაჩენის შესახებ შეიტყო, დაჯდა, ბადრაგს დაელოდა და პირდაპირ ეთერში, კამერების წინ გაჰყვა მათ...**

კი მაგრამ, დედას გაფიცებ, ინგა, რა არის აქ ასეთი უჩვეულო და გასა-**გიგი**-ჟებელი, რასაც „მხოლოდ უგულავა“ იზამდა?! ამიხსენით, რისი გაკეთება შეეძლო ნებისმიერ სხვა ადამიანს გიგის ადგილზე?

მოდი ჩამოვწეროთ ვარიანტები:

**1. როგორც კი შეიტყო განაჩენის შესახებ, უცებ მოტრიალებულიყო და გაქცეულიყო გაურკვეველი მიმართულებით დაღლამდე და დავარდნამდე?**

**2. შევარდნილიყო ახლომდებარე მაღაზიაში, გამყიდველი მძევლად აეყვანა და თვითმფრინავი მოეთხოვა უკრაინაში გადასაფრენად?**

**3. გოკა გაბაშვილის ზურგს ამოფარებულიყო, ემანდ, ეგებ ვერ დამინახონო?**

**4. წინ თამარ ჩერგოლეიშვილი გაემძღვარებინა და წივილ-კივილით აეკლოთ იქაურობა?**

**5. შეკრებილი ხალხისთვის მოეწოდებინა, შევარდნილიყვნენ საქალაქო სასამართლოში და გაეპუტათ მოსამართლე?**

**6. უცებ ეშოვა წვერ-ულვაში, პარიკი და ეცადა, ბრბოში შერეულიყო?**

**7. ბადრაგი რომ მოვიდოდა, ეთქვა, — არა, კაცო, მე არ ვარ გიგი უგულავა, მე სხვა ვარ, უგულავა იქით წავიდაო და მერე უცებ მოტეხილიყო?**

**8. დაეგინებინა ბადრაგისთვის, — ვინც დამიჭიროს, მე იმის დედას ასე და ისეო?**

რა ვიცი, რა ვარიანტს გვთავაზობ, ინგა? მგონია, რომ გიგი უგულავას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა და, მოსამართლემ განაჩენი რომ გამოაცხადა, ის ჩვეულებრივად უნდა შესულიყო სასამართლოს შენობაში და დალოდებოდა ბადრაგს! სხვას ვერც ვერაფერს იზამდა და არც არაფერი უნდა ექნა.

**და „მხოლოდ გიგი“ კი არა, ნებისმიერი სხვა ზუსტად ასევე მოიქცეოდა გიგის ადგილას.** სხვათა შორის, 1996 წლიდან კორესპონდენტის რანგში ვაშუქებდი სხვადასხვა სასამართლო პროცესებს პრესაში და ის, რაც შენ გგონია „ამას მხოლოდ გიგი იზამდაო“, ანუ წინასწარი ძიებიდან განთავისუფლებული განსასჯელისთვის პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში, სრულიად უპანიკოდ რომ ელოდება ბადრაგს, რათა უკან, ციხეში შებრუნდეს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და გასაკვირი არ არის იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სასამართლო სხდომა ცხოვრებაში პირველად არ უნახავს...

რაც შეეხება „პირდაპირ ეთერს“, ყველა ჩვეულებრივი პატიმარი ტელევიზიებს ფეხებზე ჰკიდიათ და მხოლოდ „პატივცემული გვამებით“ ინტერესდებიან, თორემ მერწმუნე, არაერთი ადამიანი გეყოლებოდა ნანახი ასე, ბადრაგის მომლოდინე, პირდაპირ ეთერში ჩართული კამერების წინ... უგულავას, ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული ნამდვილად არაფერი ჩაუდენია.

ასე რომ, **ინგა, ვიდრე ამ სასაცილო „აღშფრთოვანებებს“ გამოაქვეყნებდე და საზოგადოებას საბოლოოდ აფიქრებინებდე, რომ „ნაცებისა“ და უგულავას მეხოტბე ხარ, მგონი, გმართებს, ცოტა დაფიქრდე!**

მაპატიე და, ასეთი სასაცილო სისულელეების დაპოსტვას, სჯობს, მართლა გამონახო რომელიმე ეთერში დრო და მართლაც გააკეთო შენი თოქშოუ, რომელსაც, ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რეიტინგი „თან დაჰყვება“ და დარწმუნებული ვარ, ყველაზე „ჩავარდნილ“ არხზეც კი შენი მაყურებელი აუცილებლად გეყოლება, თუკი, აი, ზემოთ მოყვანილის მსგავს სისულელეებს აღარ დააბრეხვებ ხოლმე და „გრიგოლიას გრიგალს“ შენივე დაუფიქრებელი გამოხდომებით არ ჩააცხრობ და არ ჩააყენებ...

სხვა მხრივ კი, როგორც ჩანს, ბიძინამ მართლაც გვაჩუქა გამა-**გიგი**-ჟებელი დემოკრატია...

**ვერ გეტყვით, ევროპა რას შვრებოდა გიგის შედი-გამოდის შემხედვარე, მაგრამ 2 დღის განმავლობაში ქართველი ერი გა-გიგი-ჟებული, გადარეული და ჭკუიდან გადასული რომ იყო, ფაქტია.**

არც იმის თქმა შემიძლია დალაგებით, რას ემსახურებოდა მთელი ეს ცირკი, ვის აძლევდა ხელს უგულავას ან გამოშვება, ან უკან შეშვება, მაგრამ კიდევ ერთხელ დავწმუნდით: სპეციალურად აკეთებს ვინმე ამას თუ ბუნებრივად ხდება, ფაქტია — ყოველი ასეთი „საგანგებო მდგომარეობა“ გარკვეულ ლაკმუსად „ჩაურბენს“ ხოლმე ჯერაც ბოლომდე ჩამოუყალიბებელ ქართველ საზოგადოებას...









**ინგა, ვიდრე ამ სასაცილო «აღშფრთოვანებებს» გამოაქვეყნებდე და საზოგადოებას საბოლოოდ აფიქრებინებდე, რომ „ნაცებისა“ და უგულავას მეხოტბე ხარ, მგონი, გმართებს, ცოტა დაფიქრდე!**

**ბაკურ სვანიძე**

ნიან.GE

ჩევლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ახალი მოვლენა საქართველოს ისტორიაში — ორდელეგაციანობა

**მოგეხსენებათ, დღევანდელობა მომავლისთვის ისტორიაა, ანუ ის, რაც დღეს ხდება, მომავალში ისტორიად იქცევა და მემატიანეებიც თაობებს ზუსტად ისე მოუყვებიან ჩვენი დროის მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ, როგორც ჩვენ გვიყვებიან დღეს ჩვენს წინაპრებსა და მათ მიერ ნაკეთებ საქმეებზე.**

თუმცა, რა თქმა უნდა, მთლად ასე თამამად და სირცხვილის გარეშე თხრობა გაუჭირდება მემატიანეს. იცით, ალბათ, თანამედროვე ისტორიკოსები ერთგვარი უსიამოვნებით საქართველოს ისტორიაში ორმეფიანობის (სხვანაირად — ორმეფობა) შესახებ ყვებიან. მართლაც, არ არის მთლად სასიამოვნო მონღოლთა კარზე „საქართველოს მეფის“ სტატუსის მისაღებად მოყურყუტე ერთი ოჯახის ორი ბაგრატოვანის ამბის მოსმენა...

თუმცა, ასე თუ ისე, თანამედროვე ისტორიკოსს შეუძლია, გარკვეული გარემოებებით, მძიმე დროებით, სხვადასხვა, მართალია, ყურით მოთრეული, მაგრამ მაინც გარკვეულწილად „არგუმენტებით“ ახსნას ეს სამარცხვინო ფურცელი საქართველოს ისტორიისა, რომელსაც ორმეფიანობა ეწოდება...

მაგრამ, ნეტავ რას მოუხერხებს მომავლის ქართველი მემატიანე საინფორმაციო საშუალებების მიერ ამ დღეებში გავრცელებულ ამ ცნობას:

**„ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოდან პარალელურად ორი დელეგაცია ცალ-ცალკე გაემგზავრება. ერთ მათგანს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ხოლო მეორეს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი უხელმძღვანელებს...“**

სამარცხვინოა, არა? ვფიქრობ, ძალიანაც! მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ **მსგავსი ორდელეგაციანობა თანამედროვე საქართველოსთვის ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლისა და მარგველაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ პირველი შემთხვევა არ არის. აქედან გამომდინარე, თავისუფლად შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ პერიოდი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, საქართველოს ისტორიაში „ორდელეგაციანობის“ სახელით შევა.**

მაინც, **რას ვერ იყოფენ პრეზიდენტი და პრემიერი ერთმანეთში ან რა უნდათ და რატომ გარბიან ამერიკის შეერთებულ შტატებში?**

რა თქმა უნდა, ოფიციალურ უწყებებს ამ კითხვებზეც შესაბამისი ოფიციალური პასუხები ექნებათ, მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი სანდო წყაროს — გარე ბიძაშვილების ნათქვამს დავეყრდნობით და გაცნობებთ, რომ **სინამდვილეში ღარიბაშვილი და მარგველაშვილი — ორივე ბარაკ ობამასთან საჩივლელად მიდის.**

საქმე ის არის, რომ, როგორც ფსიქოლოგების დაკვირვებით ჩანს, **ღარიბაშვილშიც და მარგველაშვილშიც დღემდე ცოცხლობს ბავშვი და, შესაბამისად, მათ თამაშისა და გაბუტვის სურვილებიც აღეძვრებათ ხოლმე.** ამით აიხსნება მარგველაშვილის უცაბედი გაბუტვა და განდგომა ყოფილი გუნდისგან. როგორც ფსიქოლოგები ხსნიან, **მარგველაშვილს, როგორც ფილოსოფოსსა და დიდ ბავშვს, მობეზრდა სულ ერთი და იგივე თამაში — „ოცნებობანა“ და მოიგონა ახალი თამაში „ვეტოობანა“. თუმცა ღარიბაშვილმა და სხვებმა მას იმედი გაუცრუეს და არ აჰყვნენ „ვეტოობანას“ თამაშში.** ღარიბაშვილის მითითებით, **„ოცნებობანას“ მოთამაშეები მარგველაშვილის ყველა ვეტოს ძლევენ და არ აძლევენ საშუალებას, „ვეტოობანა“ თავისუფლად ითამაშოს. სწორედ ამაზე გაბრაზებული და გაბუტული მარგველაშვიული მიდის ობამა ბიძიასთან საჩივლელად.**

სამაგიეროდ, მას არც ღარიბაშვილი ეპუება და აპირებს, ობამა ბიძიას ყველაფერი მოუყვეს. **„ეგ მაგას „ვეტოობანას“ ეძახის, მაგრამ სინამდვილეში ეგ თამაში მეც ვიცი, ძალიან ცუდი თამაშია და „ნაცობანა“ ჰქვია მაგ თამაშსო“,** — **სლუკუნით ამბობს თურმე ირაკლი ღარიბაშვილი.**

ახლა მხოლოდ ისღა დარჩა გასარკვევი, თვითონ ობამა ბიძიას რა თვალსაზრისი აქვს „ნაცობანაზე“. რა ვიცით, იქნებ მას „ნაცობანა“ სულაც არ მიაჩნია ცუდ და მიუღებელ თამაშად?!




**დიდუ აგირაია**

# ბიძინას ნაკვესები

**ჩემს თაობაში, განსაკუთრებით კი — ჩემი თაობის მამების თაობაში, ძალიან პოპულარული იყო „აკაკის ნაკვესები“. ამ თხელტანიან წიგნში თავმოყრილი იყო დიდი ქართველი პოეტის ენამახვილობის ამსახველი ეპიზოდები, რომლებსაც ხალხში ყვებოდნენ, ანუ გადმოცემები იმის თაობაზე, რომელ კონკრეტულ სიტუაციაში თუ როგორ მოიქცა აკაკი, ვის რა უპასუხა და ა. შ.**

ჰოდა, როგორც შევიტყვეთ, მეორე ძალიან ცნობილ საჩხერელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მოუნდომებია, ამ მიმართულებით კონკურენცია გაუწიოს დიდ თანამემამულეს. რა ვქნა, შევატყვე, ფრიდრიხ ნიცშეს ვერაფერი დავაკელი და მოდი, აკაკი წერეთელს მაინც შევეჯიბრებიო, — უთქვამს ბიძინა ივანიშვილს და ოხუნჯობა დაუწყია.

ჩვენმა იდიოტური ნიუსების გამოგონების სპეციალისტმა მოგვაწოდა ნაკვესები, რომლებსაც ხალხი ყვება ბიძინა ივანიშვილის შესახებ. ვნახოთ, როგორ მოგეწონებათ.

***

ერთი ნაცნობი ეუბნება თურმე ბიძინას:

— კაცო, ბიძინ, რა გრჯიდა, ამ შენს პარტიას „ქართული ოცნება“ რომ დაარქვი და ამდენი რამე დაჰპირდი ხალხს, მაგ ყველაფერს ასრულება არ უნდა?

ბიძინა ჩაფიქრდა თურმე და უპასუხა:

— კი, მართალი ხარ, ჯობდა, ჩემი პარტიისთვის „ქართული სუფრა“ დამერქმია, უცებ გავშლიდი — ბოლოკი, ცოტა მწვანილი, პრასი, ყველი, პური, კეთილი გული და ეგაა, ველარც ვერავინ ვერაფერზე შემომედავებოდა!

და ატყდა თურმე სიცილი.

***

თურმე, როდესაც ბიძინამ „ნაციონალებთან“ არჩევნებზე შეჯიბრება გადაწყვიტა, ბევრი პესიმისტურად იყო განწყობილი. ზოგიერთი ექსპერტი ეკითხებოდა მას:

— ბატონო ბიძინა, დარწმუნებული ხართ, რომ ადამიანებს მიიყვანთ არჩევნებზე?

ბიძინას ამოუვიდა თურმე ყელში ასეთი შეკითხვები და უპასუხა:

— კაცო, პინგვინი ჩამოვიყვანე საჩხერეში და ადამიანებს ველარ მივიყვან არჩევნებზე?

დაწყდნენ თურმე ექსპერტები სიცილით.

***

ბიძინას ჰკითხეს:

— ხალხს რომ დაჰპირდი, მესამე წელს საკუთარ ჯიბეზე იგრძნობთ, რატომ ვერავინ ვერაფერს გრძნობს ჯიბეზეო?



ბიძინამ თურმე ეშმაკურად გაიღიმა და უპასუხა:

— ჩაუკვირდით! მე ვთქვი, ჯიბე-**ზე**, და არა ჯიბე-**ში!** ნახეთ, რა ოხერი რამეა ქართული გრამატიკა?

*******

ბიძინას ნაცნობი შეხვდა თურმე და ჰკითხა:

— კაცო, ბიძინა, შენზე ამბობენ, პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებსო და მართლა დაბრუნდები?

ბიძინას თურმე ღიმილით უპასუხია: — რა იყო, შე კაცო, გიგი უგულავა ციხეში დაბრუნდა და მე პოლიტიკაში ველარ დავბრუნდებიო?

**P.S. ჩვენი სულელური ისტორიების გამოგონების განყოფილება განაგრძობს მსგავსი მასალების შეგროვებას. უახლოეს მომავალში უფრო საინტერესო და სასაცილო ამბებს შემოგთავაზებთ.**

SCREEN-SHOW

# ნიან.GE

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## ირაკლი ალასანია: ივანიშვილის პრობლემა ის არის, რომ «ნაციონალებზე» ნადირობს

**არ ვიცი, ოდესმე ყოფილა თუ არა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი სანადიროდ. არც მე ვარ დიდი მონადირე, მაგრამ, ტერმინი „ნადირობა“ რასაც ნიშნავს, ვიცი, ამიტომ ნამდვილად ვერ ვუწოდებ ირაკლი ალასანიას ბოლოდროინდელ განცხადებებს „გულწრფელს“.**

„ივანიშვილის პრობლემა არის ის, რომ მან „ნაციონალები“ მოსისხლე მტრებად გამოაცხადა და მიდის მათზე ნადირობა“, — სრულიად უნამუსოდ აცხადებს ალასანია და, სამწუხაროდ, არავის მოსდის აზრად, მოსთხოვოს, დაასახელოს კონკრეტულად ვისზე, რამდენ ადამიანზე და რა ფორმით მიდის ეს „ნადირობა“.

**დავიჯეროთ, სამიოდე თუ ხუთიოდე „ნაცის“ დაპატიმრება მაშინ, როდესაც რეალურად მძიმე სახელმწიფო დანაშაულებისთვის, ალბათ, სამასი ან ხუთასი მაინც იყო დასაპატიმრებელი, ალასანიას აზრით, მართლა „ნადირობაა“?**

თუმცა, თუ მისი სხვა თანაგუნდელების ხმაშეწყობილ უტიფრობას მივუგდებთ ყურს, სულ სხვა რამის დაჯერება მოგვიწევს... მაგალითად, თუნდაც მხოლოდ **შალვა შავგულიძის** განცხადებაც გვეყოფა: „გიგი უგულავა უკვე პოლიტპატიმრად იქცა!“...

რა თქმა უნდა, **გიგი უგულავა ზუსტად ისეთივე პოლიტპატიმარია, როგორიც ბიძინა ივანიშვილი — „ნაცებზე“ მონადირე...**

სამაგიეროდ, ირაკლი ალასანია, შალვა შავგულიძე და მათი სხვა თანაგუნდელები უკვე მართლაც ზუსტად ერთნაირი უნამუსოები, უტიფრები და ყველაფერზე წამსვლელი ადამიანები რომ არიან, ეს უკვე საბოლოოდ დაანახვეს ქართველ საზოგადოებას!

**ბიძინა ივანიშვილის პრობლემა რაც არის, ეგ, დამიჯერე, შენზე უკეთ ვიცი, ბატონო ირაკლი... და, სხვათა შორის, ეს პრობლემა სწორედ ისაა, რომ ბატონი ბიძინა არათუ ნადირობს, არამედ პირიქით — წარმოუდგენლად ლმობიერად ექცევა „ნაცებს“ და მთელი საქართველოც სწორედ ამას საყვედურობს.**

აი, შენი და შენნაირების პრობლემა კი, მართლაც, ძალიან მძიმეა — ხელისუფლების სათავეში ვერმოჯდომით გამოწვეული მძიმე ფსიქიკური აშლილობა და ამ ნიადაგზე სისულელეების ბჟუტური.

სხვათა შორის, კონკრეტულად, ირაკლი ალასანიასა და შალვა შავგულიძის შემთხვევაში, ამ დაავადების ნიშნები, თანაც განსაკუთრებით მძიმე ფორმებში, არცთუ იშვიათად მათი ოჯახის წვერების საქციელზეც აისახება ხოლმე...

## წაგვიკითხეთ! არ დაგვზოგოთ!

**დიახ, დიახ! ღირსები ვართ! ნაცვლად იმისა, რომ საქართველოში ჯერ არნახული მანიაკიზმის, შეუბრალებლობის, უსამართლობისა და განუკითხაობის შემოქმედნი და მათი მხარდამჭერ-„გამპრავებელნი“ საზოგადოებრივი წნეხის შიშით ქუჩაში ცხვირს ვერ ყოფდნენ, ისინი არათუ ქალაქში დანავარდობენ თავისუფლად, არამედ საჯარო ლექციებსაც კი კითხულობენ.**

ჯანდაბას! გვესმის, რომ რომელიმე დარგის სპეციალისტი, ნებსით თუ უნებლიეთ, გვერდით დაუდგა მანიაკებს, მაგრამ თავის სფეროში მაინც ძლიერი სპეციალისტია და ლექციების კითხვას განაგრძობს, დავუშვათ, კვანტური ფიზიკის განხრით ან მიკრობიოლოგიის, ან რამე სხვა სამეცნიერო დისციპლინის...

მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აბა, ნახეთ, ვინ კითხულობს და რას:

**ნიკა გვარამია** — **„მედია და დამოუკიდებლობა“;**

**გია ბუღაძე** — „ზნეობა და სამართალი“.

ხომ "ჟღერს", არა?

არ გამოტოვოთ! **ეს ლექციები კოაბიტაციის კიდევ ერთ შესანიშნავ სიმბოლოში — „მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკაში“ გაიმართება.**

სულ მალე, როგორც ჩანს, ასევე, მომსწრენი გავხდებით შემდეგი საჯარო ლექციებისა:

**ვანო მერაბიშვილი — „პოლიცია და გვამისთვის იარაღის შეჩეჩების ესთეტიკური ასპექტები“;**

**ბაჩო ახალია — „ჯარისკაცის მუნდირის ღირსების შეგნება დედის გინების ზეგავლენით“;**

**მეგის ქარდავა — „კასრების როლი დემოკრატიის დონის ამაღლებაში“;**

**მიხეილ სააკაშვილი — „პოლიტიკური ოპონენტების პატივისცემა ჩარეცხვის შემდეგ“;**

**ნუგზარ წიკლაური — „სამშობლოს მედგარი დაცვა წითელ ხიდზე გადარბენის მეთოდით“;**

**გიგა ნასარიძე — „ვაზელინის პირდაპირი დანიშნულება და მისი ბანალური გამოყენება“;**

**გოგა ხაჩიძე — „ბელადის ქება-დიდება მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად“;**

**კოტე კუბლაშვილი — „სასამართლო სისტემის შეურყვნელობა მოსამართლეთა მიჩმორების გზით“**

და ა.შ. და ა.შ.







რომელი ერთი ჩამოგითვალოთ?!

**და, დაე, გვიკითხეთ, გვიკითხეთ, გვიკითხეთ, გვიკითხეთ, ამინ!**

**არ დაგვზოგოთ, ღირსები ვართ!**

## «მებრძოლი ვაზელინების შოუ» გრძელდება!

**კიდევ ერთი „თავისუფალი“ და „დაუმორჩილებელი“ შეემატა ქართულ მედიასივრცეს! ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს“-ის გადაცემა „20/30“-ის ყოფილმა წამყვანმა მას შემდეგ, რაც კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს, როგორც მისგან ყოველთვის იყო მოსალოდნელი, ბიძინა ივანიშვილის ლანძღვას მიჰყო ხელი.**

თურმე, ნუ იტყვით და, გამზარდიას ამ გადაცემაში „თავისუფლებას“ უზღუდავდნენ, ჩაგრავდნენ და არ აძლევდნენ სუნთქვის საშუალებას!

თორემ, რომ არ შეებოჭათ და მიეშვაააააათ... დაბრდღვნიდა ყველაფერს!

**საქართველოში მოდურია ერთი ადგილიდან ახალგამოყოფილი, დავაზელინებული თავების „ბლატაობა“.** გვახსოვს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე 1 დღით ადრე „გავაჟკაცებული“ **ვახო სანაიაც,** რომელიც „პირველი არხის“ ხელმძღვანელობას „აუჯანყდა“ და „გმირულად“ ეკვეთა არჩევნებში „ბეზ პიწი მინუტ“ დამარცხებულ „ნაცებს“! ვერავინ გვეტყვის, მანამდე მთელი ათწლეული რატომ არ მოსვლია აზრად მას „მტარვალი“ დირექტორების წინააღმდეგ აჯანყება...

ისევე, როგორც ვერავინ იტყვის, **არჩილ გამზარდიას რატომ ეგონა ბიძინა ივანიშვილი „კრუტოი“ და მთელი წელიწადი რატომ არაფერი თქვა „ჯი-დი-ეს“-ზე მისი უმოწყალო ჩაგვრის შესახებ...**

თუმცა, **„ვაზელინთა ფილოსოფია“ ჩვენთვის, დიდი ხანია, ცნობილია. უფრო ის მიკვირს, თვითონ ბიძინა ივანიშვილს რატომ ჰგონია ხოლმე კრებითი „გამზარდიები“ კაი ტიპები და როდის უნდა ისწავლოს ამ „ჭკუით დაპენტილმა“ მილიარდერმა ყველაფერზე თავისმქნეველი მეხოტბე მლიქვნელების გარჩევა იმ ადამიანებისგან, რომლებიც, შესაძლოა, მწარე სიმართლეს ამბობენ ხოლმე, მაგრამ სამაგიეროდ მათგან ორგულობა და ულირსი საქციელი გამორიცხულია?**




## ვანო მერაბიშვილი: ჩვენს დროს ციხეში უკანონოდ არც ერთი ადამიანი არ დარჩენილა




**ოხერი რამეა ქართული გრამატიკა! მიაქციეთ ყურადღება, რას ამბობს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი და შემდგომ არჩევნების წინა პერიოდის პრემიერმინისტრი მის დროს ციხეებში არსებულ ვითარებაზე.**

არც ერთი უკანონო პატიმარი არ „დარჩენილაო“!

ახლა ზოგიერთმა შეიძლება დაუწყოს გამოკიდება, — როგორ არ იყო თქვენს დროს უკანონო პატიმრები, მაგის მეტი რა იყოო...

არა! შემთხვევით კი არ მიხსნებია ქართული გრამატიკა... **არ ყოფილაო, — არ უთქვამს ადამიანს, არამედ — არ დარჩენილაო, — ამბობს, ანუ გავჟუჟეთ ყველაო, დავხოცეთ, ვაწამეთ და დედა ვუტირეთო!**

**ციხეებიდან შუაღამით გვამები რომ გამოჰქონდათ მანქანებით, აღარ გახსოვთ?**

ანუ, სხვანირად რომ ვთქვათ, ვანო მერაბიშვილს უნდოდა, ეთქვა: **ჩემს დროს ციხეებში არც ერთი უკანონო პატიმარი არ გა-დარჩენილაო!**

თუმცა, ღვთის მადლით, ცდებით, ბატონო ვანო!

მაინც გადარჩნენ!

პრინციპში, **გადარჩებოდა ბევრი, აბა, რა იქნებოდა — იმდენი გყავდათ, ყველას გაჟუჟვას, თქვენ კი არა, ჰიტლერის გამოცდილი გესტაპოელები და ეს-ეს-ელები ვერ აუვიდოდნენ...**

გუგუნს მთელი პლანეტა მოეცვა, ხვალინდელ დღეს აღვიძებდა. ამ დღეს კაცობრიობისთვის მოჰქონდა ჰიროსიმა და ნაგასაკი, რადიოაქტიური წვიმები ენივეტოკის ატოლზე, სასამართლო პროცესები, გუშინდელი „ღმერთების“ დაცემა და გაუნელებელი შიშის ზარი. გორაკზე მდგარი ადამიანები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-მექსიკოს შტატში, ალბუკერკეს სამხრეთ-აღმოსავლეთით 120 მილის დაშორებით, ატომური ბომბის დაბადებას ზეიმობდნენ.

ნახევარდაშლის პერიოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ატომური პილოტი



იური ანოხინი

აშშ-მა ატომური ომის დოქტრინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე შეიმუშავა, რომელიც აისახა აშშ-ისა და ნატოს ოფიციალურ სტრატეგიულ კონცეფციებში და ითვალისწინებდა ატომური იარაღით შეტევას მოწინააღმდეგეზე.

სსრკ-ისა და მოგვიანებით სხვა სახელმწიფოების მიერ ატომური ბომბის შექმნის შემდეგ კი ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოყენება საპასუხო დარტყმას გამოიწვევდა და კატასტროფის წინაშე დააყენებდა დედამიწას, გაანადგურებდა კაცობრიობას.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც თავს დემოკრატიის შუქურად მიიჩნევს, სინამდვილეში სხვა ქვეყნებში დემოკრატიის გავრცელების საბაბით ინტერვენციებს ახორციელებს და ცდილობს, მსოფლიოზე იბატონოს, ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც ატომური იარაღი გამოიყენა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

აშშ-მა 70 წლის წინათ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს, როცა იაპონია უკვე თითქმის დამარცხებული იყო, ატომური ბომბები ჩამოყარა იაპონიის ქალაქებში — ჰიროსიმასა და ნაგასაკიში. შედეგად აფეთქების ეპიცენტრთან ახლოს მყოფი ადამიანები მყისვე დაიღუპნენ — მათი სხეულები ნახშირად იქცა, რადიაციულმა გამოსხივებამ მხოლოდ ადამიანების სილუეტები დატოვა შენობების კედლებზე. აფეთქების ტალღამ ეპიცენტრის გარშემო ყველა შენობა გაანადგურა. აფეთქების მომენტში დაიღუპა 80 ათასი ადამიანი, 1945 წლის ბოლოს რადიოაქტიური დასხივების ზემოქმედების შედეგად მსხვერპლის რაოდენობა 166 ათასამდე გაიზარდა.

სულ კი, 2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების ჩამოგდების შედეგად 450 ათასი ადამიანი დაიღუპა: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში და 162 ათასი — ნაგასაკიში.

სწორედ ამ საშინელ ტრაგედიაზე, ამერიკელთა მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე მოგვითხრობს რუსი ჟურნალისტის, იური ანოხინის, წიგნი „ატომური პილოტი“, რომელსაც „საქართველო და მსოფლიო“ გთავაზობთ.

წიგნში მოთხრობილია ამერიკის შეერთებული შტატების ავიაციის მაიორ კლოდ იზერლის — ჰიროსიმისა და ნაგასაკის ბარბაროსული ატომური დაბომბვის ერთ-ერთი მონაწილის — ტრაგიკული ბედის შესახებ.

კლოდ იზერლის ისტორია არა მხოლოდ ადამიანური ტრაგედიაა, იგი მოწოდებაა კეთილი ნების ყველა ადამიანისადმი, გააკეთონ ყველაფერი, რაც მათზეა დამოკიდებული, ბირთვული საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მასობრივი მოსპობის საშუალებებით გამალებული შეიარაღების შესაჩერებლად.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №33 (315)

ისინი, ახლო ნათესავები ვუნდერკინდისა, რომელიც ეს-ეს არის დაიბადება, ქირურგები, ბებიაქალები, დიპლომირებული მეანები, ექიმბაშები... ესენი არიან: გენერალ-მაიორი **ლესლი რიჩარდ გროვსი**, დოქტორი **ენრიკო ფერმი**, სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სამმართველოს ხელმძღვანელი **ვანევარ ბუში**, ჰარვარდის უნივერსიტეტის პრეზიდენტი **ჯეიმს ბ. კონანტი**, ტექნიკური განყოფილების თანამშრომელი **კარსონ მარკი.**

ცოტა მოშორებით დგას შავსაწვიმრიანი, წელში მოხრილი ადამიანი, რომელიც გულგრილი, ზრდილობიანი ღიმილით იყურება წინ — სივრცეში. დღეს იგი უნდა ილიმოდეს, რადგანაც ისაა მამა. მას ჰქვია **იულიუს რობერტ ოპენჰეიმერი.**

ისიც ფიქრობს, მაგრამ არა მომავალზე. იგი მეხსიერებაში აღიდგენს დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბებს: 1939 წლის 11 ოქტომბერს ბანკირმა **ალექსანდრე საქსმა** ფეხების ტკივილისგან გაწამებულ პრეზიდენტ **დელანო რუზველტს** დილის სიმშვიდე დაურღვია და მაგიდაზე დაჭმუჭნილი კონვერტი დაუდო.

— რა ბრწყინვალე აზრი მოგსვლიათ თავში, ალექს, რა დრო დაგჭირდებათ მის ჩამოსაყალიბებლად?

— მინდა, ერთი ისტორია მოგიყვეთ, — თქვა საქსმა, — ნაპოლეონის ომების დროს საფრანგეთის იმპერატორთან გამოცხადდა ახალგაზრდა ამერიკელი გამომგონებელი და შესთავაზა, აეგოთ ორთქლის გემების ფლოტი, რომლის საშუალებითაც ნაპოლეონი შეძლებდა ინგლისში ჯარის გადასხმას. უიალქნო გემები. ეს დიდ კორსიკელს ისე უჩვეულოდ მოეჩვენა, რომ მან ფულტონი გააგდო... ნაპოლეონს



იმხანად მეტი შორსმჭვრეტელობა და თავშეკავება რომ გამოეჩინა, მეცხრამეტე საუკუნის ისტორია შეიძლებოდა სხვანაირად წარმართულიყო.

რუზველტს უყვარდა სიმბოლიკა. ნაპოლეონისდროინდელი ფრანგული კონიაკი მოიტანეს. პრეზიდენტმა მშვიდად ჩამოასხა ორი ვიწრო ბოკალში, საქსს მიუჯახუნა და დალია. წყნარ, უცნაურ, მეტსახელ „პა“-ს მქონე გენერალ **უოტსონს** უთხრა:

— პა, უნდა ვიმოქმედოთ!

რუზველტმა 16 ივლისამდე ველარ იცოცხლა და არ იცოდა, რომ მის ფრაზას ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის სახელმძღვანელოებში ეწერა შესვლა.

ოპენჰეიმერი ამ ფრაზაზე ფიქრობს და იღიმება. იგი თავის ფრაზას ამზადებს — ზუსტს, ნატიფს, ისეთს, რომელიც შეიძლება სიცოცხლეში დადგმული ძეგლივით იყოს.

დარჩა ათი წუთი!

წვიმამ გადაიღო, მაგრამ ცა ისევ შავადაა მოკუპრული, ელვის ზიგზაგები მას ტეხილ ნაწილებად ჰყოფს. ეს ნაწილები ცის კამარას სწყდება და გორაკის ძირას იმსხვრევა. ადამიანები სდუმან. ადამიანის მეტყველება მეტისმეტად არასრულყოფილი ინსტრუმენტია მათი გრძნობების გამოსახატავად. უკეთესია, კბილი კბილს დააჭირო და პულსის ცემას, სისხლით სავსე ძარღვების ცემას ადევნო თვალყური, დააკვირდე.

დარჩა ხუთი წუთი!

მაინც როგორი ყოჩაღია დოქტორი საული კ. ალისონი, რკინის ნერვები აქვს. ნეტავ, სად და როდის დაუმზადეს? შორს წავა დოქტორი ალისონი.

5 საათი და 27 წუთია.

თავშესაფარში ტევა არ არის. აქედან, საოპერაციოდან 17000 იარდის მოშორებით, მშობლები, სპეციალისტები და სტუმრები თვალყურს ადევნებენ „ბღენძის“ გამოჩენას. მათთან არის რამდენიმე ჯარისკაცი, ორი-სამი საზღვაო და ქვეითი ოფიცერი. კაცუნები, რომელთა სახელები მომავალს არ სჭირდება.

წამებიღა დარჩა.

ოპენჰეიმერის შეხედვისაც კი შეგეშინდებათ. იგი ბოძს ჩასჭიდებია წონასწორობის დასაცავად; სახე ულურჯდება, სუნთქვა უჭირს.

ჯერ არაფერი მომხდარა; ჯერ კიდევ შეიძლება საათის გაჩერება. დოქტორი ოპენჰეიმერი პირდაპირ იყურება. დამცავი შავი სათვალე მისი თვალების გამომეტყველებას ფარავს.

უსიცოცხლო ტუჩები ღიმილს განაგრძობენ.

**„ბღენძს“ დაბადების დღეს ბრწყინვალე და დიდმნიშვნელოვანი სახელი უწოდეს: „ტრინიტი“ — სამება. იგი ორი მილიარდი დოლარი დაჯდა. ამ ფულით შეიძლება ახალი ფინანსური იმპერია დააარსო ან გაანადგურო ნებისმიერი, უკვე არსებული. შეიძლება ააშენო ქალაქი, შეიძლება ნაცარტუტად აქციო.**

**2 000 000 000!**

— დროა!

ცა ელვას მოუცავს. იგი ეცემა კლდეებს, ფარავს ქედის კალთებს, კაშკაშა ბურთი ღრუბლებსაც შთანთქავს.

— ღმერთო დიდებულო! — კვნესის ქვეითი ოფიცერი.

ქარიშხალმა იგი მიწას გააკრა. დაბალი, შემზარავი გუგუნი ამოვარდა დაჭრილი პლანეტის წიაღიდან. ცა ფერს იცვლის — ოქროსფერი, მეწამული, იისფერი, ნაცრისფერი, ცისფერი...

5 საათი და 30 წუთი იყო.

ოპენჰეიმერი დოქტორ **კისტიაკოვსკის** გადაეხვია.

— აგერ ისიც!

ისტორიკოსები ვერ ელირსნენ ზუსტსა და ნატიფ ფრაზას, რომელიც შეიძლებოდა გენიოსისადმი სიცოცხლეში დადგმული ძეგლივით ყოფილიყო ან გუშინდელი დღის ეპიტაფიად ქცეულიყო.

გორაკზე მდგარი ადამიანები ჩქარობდნენ, რათა დაემოწმებინათ დაბადებაში თავიანთი მონაწილეობა. ხვალ მათი სახელები მსოფლიოს უნდა სცოდნოდა.

ხვალ.

გუგუნს მთელი პლანეტა მოეცვა, ხვალინდელ დღეს აღვიძებდა. ამ დღეს კაცობრიობისთვის მოჰქონდა ჰიროსიმა და ნაგასაკი, რადიოაქტიური წვიმები ენივეტოკის ატოლზე, სასამართლო პროცესები, გუშინდელი „ღმერთების“ დაცემა და გაუნელებელი შიშის ზარი.

გორაკზე მდგარი ადამიანები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-მექსიკოს შტატში, ალბუკერკეს სამხრეთ-აღმოსავლეთით 120 მილის დაშორებით, ატომური ბომბის დაბადებას ზეიმობდნენ.

## 2

მე არ ვარ შეშლილი.

ომის ყოფილი მონაწილეებისათვის განკუთვნილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს მე-10 განყოფილების შეფი დოქტორი გორდონი საღად მოაზროვნე შიზოიდს მიწოდებს. ამასთანავე, იგი კრეჩმერს, ფროიდსა და სხვა მედიცინის ავტორიტეტებს იმოწმებს. გორდონს სახე ქრცვინს, მანერები კი ესპანელ გრანდს მიუგავს. ავადმყოფებს მისი ეშინიათ, განსაკუთრებით არტ ბერნსტაინს — პატარა საზღვაო ქვეითს პანტურა ყურებით. არტი ჩვენს შფოთიან განყოფილებაში ყველაზე წყნარია; მას თითქმის არასოდეს აცმევენ დამაწყნარებელ პერანგს. მეოცნებეა, საკუთარ თავშია ჩაფლული და სამყაროს უყურებს ფართოდ გახელილი, ნათელი, გამჭვირვალე თვალებით, რომლებშიც ძველი, დაუძლეველი შიში გაყინულა. იგი ხანდახან უმიზეზოდ ტირის; ამ დროს განყოფილება ბედლამს ემსგავსება: ოცდაექვსივე ავადმყოფი ყვირის, ფაციფუცობს, დარბის ვიწრო დერეფანში; სანიტრები გაჭირვებით ახერხებენ წესრიგის ამყარებას; ყველაზე შმაგებს საწოლზე აბამენ; დოლის ბაგაბუგივით ისმის სილის გაწვნის ხმა. ბოლოს გამოჩნდება ხოლმე რომელიმე ექიმთაგანი; საპროცედუროში სასწრაფოდ ხარშავენ შპრიცებს და ყველა ჩვენგანი იღებს რეზერპინის, ამინაზინის ან სტრეპტოზოლის რიგგარეშე ულუფას.

დღეს სიწყნარეა. შემოვლა ეს-ესაა დამთავრდა. დოქტორმა გორდონმა, ღმერთივით მოწყალემ, შემოიხედა ჩვენს პალატაში, ზიზღით შეისუნთქა ჰაერი, რაღაც ჩაიბუზღუნა ვენტილაციისა და ჩვენი უსუფთაობის თაობაზე და გაგვშორდა.

გორდონი მართალია, ოთახში მძიმე ჰაერია. ბილი კონოლს, რომლის საწოლიც ჩემს მარჯვნივ დგას, ფეხები აქვს პარალიზებული. იგი ქვეშ ისვრის, ზეწრებს კი მხოლოდ კვირაში ერთხელ უცვლიან. ჩვეულებრივ, ეს შაბათ დღეს ხდება, როდესაც ნათესავები მოდიან, — ამ დღეს მაიორი კონოლი, „მეწამული გულისა“ და ოქროს მედლის — „სიმამაცისათვის“ — კავალერი, რიგიანად უნდა გამოიყურებოდეს.

კონოლი ყველაზე ადრე იღვიძებს. მას საკუთარი ყვირილი აღვიძებს, ნალების ბრახუნით პალატაში შემოვარდება გალვიძებული მორიგე სანიტარი. ლაწ, ლაწ! — წითელი ზოლები აჩნდება კონოლის გაფითრებულ ლოყებს. თავი უმწეოდ უვარდება ერთი მხარიდან მეორეზე — მშვენივრად გამოქანდაკებული თავია ადრე გაჭაღარავებული გრუზა თმით. მისი ფოტოები ორმოცდახუთ წელს მთელი კვირის განმავლობაში არ ჩამოდიოდა გაზეთებიდან.

ბილი კონოლი ჩემსავით მფრინავია. იგი ესენთან ჩამოაგდეს. ფოლკშტურმისტებმა მეხჩერ ტყეში დაიჭირეს და ქალაქის მთელი ქუჩები მოატარეს. კონოლი სალეჭ რეზინს ღეჭავდა; ქვებს ესროდნენ, გესტაპოს შენობის წინ ხერხემალი გადაუმტვრიეს.

ახლა ბილი ყველაზე მდიდარი ადამიანია მსოფლიოში. მას აქვს ათასი სასახლე, მსახურთა პოლკები ჰყავს; მანქანებს იცვლის და ყოველთვის მე მეკითხება, რომელი ამოირჩიოს — ნაცრისფერი „კადილაკი“ თუ ცისფერი „ისპანოსიუზი“.

— „როისი“ იყიდეთ, ბილ, — სერიოზულად ვურჩევ მე, — ინგლისელები თავიანთ რეკლამებში წერენ, რომ ესაა ყველაზე ძვირი და ყველაზე არაეკონომიური მანქანა მსოფლიოში. ჩემი აზრით, ეს ჩინებულია.

ბილი მადლიერებით მიქნევს ჭაღარა თავს.

— გმადლობთ, კლოდ, მოვიფიქრებ.

იგი ფიქრობს. ტუჩებს აცმაცუნებს და ეს ცმაცუნი შეიძლება ნებისმიერ დროს გააფთრებულ ყვირილში გადაიზარდოს. ესენი მანქანის შესახებ ყოველგვარ ფიქრს გადაავიწყებს. ესენი ფოლადის ხელს ჩასჭიდებს გულზე; იგი კრეჭს კბილებს და პირიდან საშინელი ღმუილი აღმოხდება:

— ოოო-ოო-ოოო ოო!.......

ყურებში თითებს ვიცობ. არავინ მოდის და ბილი ნელნელა წყნარდება. იგი იცინის და სავსებით ნორმალურად ამბობს:

— გეხუმრებით, კლოდ.

— არა უშავს, ბილ, — ვეუბნები, — ყველაფერი რიგზეა.

ბილი გულუხვია. უბეში იქექება; იღებს ტუალეტის ქაღალდის ნაგლეჯს და ჩემს საწოლზე აგდებს. ეს მილიონი დოლარის ჩეკია.

— იყიდეთ „ლიბერეიტორი“, — მეუბნება ბილი, — ერთად დავბომბოთ ესენი...

სანიტარს ჩემთვის და ბილისთვის საუზმე მოაქვს. ლოგინში ვჭამ, მუცელზე მწოლიარე. გუშინ პუნქცია გამიკეთეს და ადგომა ამიკრძალეს. გორდონი დარწმუნებულია ან თავს იკატუნებს, რომ სჯერა, თითქოს სიფილისით ვიყო ავად. მასთან კამათი უაზრო და სახიფათოა.

გორდონს ჯეროვნად უნდა მივუზღავთ: პუნქცია უნაკლოდ გამიკეთა. ვერც კი ვიგრძენი, როგორ შევიდა წვრილი ნემსი ხერხემლის მალებს შუა ხრტილში.

— საუცხოოა, ემრიჩ, — მითხრა გორდონმა, — დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი ზურგის ტვინის სითხის ანალიზი სამ ჯვარს მაინც უჩვენებს. თუ ასეა, ვცადოთ მალარიის საწინააღმდეგო აცრა და ამით თქვენს პროგრესულ დამბლას ნოკაუტში ჩავაგდებთ.

— ამინ, — მისივე ტონით ვუპასუხე და საკაცით პალატისკენ გავემართე.

საწყენია: სამი დღე — ლოგინში, ბალიშში ცხვირჩარგული. თუმცა რაა სამი დღე ადამიანისათვის, რომელიც უეიკოს საოლქო სასამართლომ „განუსაზღვრელი ვადით“ შეაგდო ამ „სამკურნალო“ დაწესებულებაში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მან, ვინც დღეს ემხრობა პრეზიდენტის პირველკაცობას, კარგად იცის, რომ კონსტიტუცია საერთოდ არ ითვალისწინებს სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესებს და, რომ ის შემუშავებულია და მიღებულია ყოფილი პრეზიდენტის ნება-სურვილის შესაბამისად, მიზნად ისახავდა ძალაუფლების უპირობო გადაცემას მომავალი პრემიერმინისტრისთვის პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებების შეკვეცის ხარჯზე და, ამასთანავე, მისგან ყოველგვარი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას.**

# ვინ არის დღეს ქვეყნის პირველი პირი — პრეზიდენტი თუ პრემიერმინისტრი?

**ისევე, როგორც შარშან, წელსაც აქტუალურია გაეროში გასამგზავრებელი დელეგაციის ხელმძღვანელის ვინაობის გარკვევა, ვინაიდან მოქმედი კონსტიტუცია კონკრეტულ პასუხს არ იძლევა კითხვაზე — ვინ არის დღეს ქვეყნის პირველი პირი — პრეზიდენტი თუ პრემიერმინისტრი? ზოგიერთი პოლიტიკოსი, ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, „რუსთავი 2“-ის, „მაესტროს“ ჟურნალისტები და სხვებიც პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ასახელებენ. ამას იმით ხსნიან, რომ, ძირითადი კანონის თანახმად, სწორედ პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი და სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ეს მათ ასე იმიტომ ჰგონიათ, რომ ასე სურთ, ასე აქვთ დავალებული და მეორეც, მათ კარგად არ შეუსწავლიათ მოქმედი კონსტიტუცია, აკლიათ ანალიტიკური აზროვნების უნარი, დაავიწყდათ ქართული სიტყვების მნიშვნელობა.**

2010 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების ავტორებს თავის დროზე რომ ჩაეხედათ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (შემდგომში ქეგლ), ადვილად მიხვდებოდნენ, რომ **„სახელმწიფოს მეთაურისა“** და **„ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტის“** ტიტულები პრეზიდენტის თანამდებობას, მისი უფლებებიდან გამომდინარე, სრულიად უაზროდ აქვს მითვისებული და ისევე უხდება (თუ სჭირდება) ამ თანამდებობას, როგორც... კურდღელს — სტოპ-სიგნალი

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში სიტყვები: **სახელმწიფო, მეთაური, გარანტი ასე არის განმარტებული:**

*** სახელმწიფო — პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ხელისუფლებას;**

*** მეთაური — ხელმძღვანელი, წინამძღოლი, უფროსი;**

*** გარანტი — საწინდარი, თავდებობა, პასუხისმგებლობა; უზრუნველყოფა (რისამე) გარანტიას აძლევს — პასუხისმგებლობას იღებს.**

ძირითად კანონში, პრეზიდენტის უფლებებში, ვერსად იპოვით სიტყვათა წყობას „ახორციელებს ხელისუფლებას“, ხოლო ეპითეტები „ხელმძღვანელის“, „წინამძღოლის“ და „უფროსის“ მხოლოდ პრეზიდენტის ადმინისტრაციისათვის თუ იქნება მისაღები და ისიც არ გასცდება პრეზიდენტის სასახლის ფარგლებს.

დარწმუნებული ვარ, **მან, ვინც დღეს ემხრობა პრეზიდენტის პირველკაცობას, კარგად იცის, რომ კონსტიტუცია საერთოდ არ ითვალისწინებს სახელმწიფოსა და მოსახლეობის ინტერესებს და, რომ ის შემუშავებულია და მიღებულია ყოფილი პრეზიდენტის ნება-სურვილის შესაბამისად, მიზნად ისახავდა ძალაუფლების უპირობო გადაცემას მომავალი პრემიერმინისტრისთვის პარლამენტისა და პრეზიდენტის უფლებების შეკვეცის ხარჯზე და, ამასთანავე, მისგან ყოველგვარი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას** (კონსტიტუცია პრემიერმინისტრისაგან არ მოითხოვს, არათუ ფიცის დადებას, პირობის მიცემასაც კი).

და, თუ ვინმეს მოუნდება, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობით ამტკიცოს პრეზიდენტის პირველკაცობა, შემიძლია, ავუხსნა, რომ **სამხედრო ძალები არ არსებობს და არ არსებობდა 2008 წელსაც კი, ხოლო მისი ორგანიზაციული სტრუქტურა ისე აბსურდულად არის ჩამოყალიბებული კანონში „საქართველოს თავდაცვის შესახებ“, გეგონება, სამხედრო საქმის სრულიად უცოდინარმა ადამიანებმა შეიმუშავეს.**

თვითონ განსაჯეთ:

**მუხლი №8**

„1. სამხედრო ძალები შედგება საქართველოს შეიარაღებული ძალებისგან, ხოლო საომარი მდგომარეობის დროს — აგრეთვე, საქართველოს შსს-ს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისგან — საქართველოს სასაზღვრო პოლიციისგან;

2. საქართველოს შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისგან“.

სიტყვა **შედგება** კი ასე განიმარტება: **თავის შემადგენლობაში აქვს** ან **ჰყავს; ნაწილების ან ცალკეული ერთეულების შეერთებით შეიქმნება.**

2013 წლიდან სამხედრო ძალები დარჩა მართვის ორგანოს გენერალური შტაბის გარეშე, რომელიც ორგანიზაციულად შევიდა შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში და ამ შესწორებით პრეზიდენტი დარჩა ერთადერთ თანამდებობის პირად უშუალოდ სამხედრო ძალებში.

**აი, ამ შედგება-შედგებაში „აორთქლდა“ სამხედრო ძალები. ვინაიდან სამხედრო ძალები არ არსებობს, მაშინ რაღა საჭიროა სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა?! ომის დროს რეალურად ხომ სახმელეთო ჯარებს მოუწევთ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და მისი მეთაური იქნება სარდალიც და მთავარსარდალიც!**

კარგია, რომ ყოფილი პრეზიდენტი მიხვდა რა თავის სრულ უცოდინარობას სამხედრო საქმეებში (მან უმაღლეს ოფიცერთა შემადგენლობის წოდებების ზუსტი ნუსხაც კი არ იცოდა, ხოლო გენერალი კალანდაძე არარსებულ თანამდებობაზე დანიშნა), არ გამოედევნა ამ თანამდებობას.

იმისათვის, რომ საომარი მდგომარეობის დროს ყოველგვარი პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინა, მან უმაღლესი მთავარსარდლის პოსტი, საომარი და საგანგებო მდგომარეობების გამოცხადებისა და ზავის დადების უფლებები მომავალ პრეზიდენტს დაუტოვა. სამხედრო სტრუქტურა კი ისეთია, რომ **დღესაც ვერ გაერკვეულან, ვინ არის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელის უშუალო უფროსი — პრეზიდენტი თუ თავდაცვის მინისტრი.**

**რეალურად ვის მოუწევს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა:**

*** სამხედრო ძალებს (რომლებიც არ არსებობს)?**

*** შეიარაღებულ ძალებს, რომლებსაც თავის შემადგენლობაში აღარ ჰყავს სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები, და ამით ქვეყნის საჰაერო სივრცე და ტერიტორიული წყლები დაუცველი დარჩა?**

*** თუ სახმელეთო ჯარებს?**

იმისათვის, რომ პასუხი არავის მოეთხოვა, ყოფილმა პრეზიდენტმა პრემიერმინისტრი არა მხოლოდ ფიცის დადებისგან, არამედ განცხადების გაკეთებისგანაც კი გაათავისუფლა (შეგნებულად) და ამით დააბნია ყველა — ვერავინ მიხვდება, ვინ არის ქვეყნის პირველი პირი.

გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, **ყოფილმა პრეზიდენტმა თავის თავზე სრულად მოირგო (მისი აზრით) ძირითადი კანონი, ხანგრძლივი, ერთპიროვნული და განუყოფელი მმართველობისთვის და ეს ისეთი უხეში ფორმებით გააკეთა ყოფილი პარლამენტარების (ზოგიერთის გამოკლებით), ვენეციის კომისიის წევრებისა და გერმანელი ექსპერტების დახმარებით, რომ ამას მხოლოდ უნარშეზღუდული ადამიანები ვერ ხვდებიან ან ისინი, ვისაც ამის დანახვა კატეგორიულად არ სურს.**

2010 წელს კონსტიტუციაში შეტანილმა ცვლილებებმა ისეთი დაუბალანსებელი, ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგო გახადა ძირითადი კანონი, რომ ხშირად ამ დოკუმენტიდან არათუ აზრის გამოტანაა შეუძლებელი, არამედ გაძნელებულია მისი სწორი წაკითხვაც კი.

რამდენიმე მაგალითი უკვე მოყვანილია.

**დარწმუნებული ვარ, რომ მათაც კი, ვინც ემხრობა პრეზიდენტის პირველკაცობას, კარგად იციან, რომ, კონსტიტუციის მიხედვით, ქვეყნის პირველი პირი, მისი უფლებამოსილებების შესაბამისად, არის პრემიერმინისტრი. ამას მოწმობს ძირითადი კანონის 78-ე მუხლის პ.1. მასში ნათქვამია:**

„მთავრობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების **უმაღლესი** ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ხოლო მთავრობის მეთაურია პრემიერმინისტრი (მ.79, პ.1), რომელიც განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს მთავრობის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს (მ.79, პ.2).

ხოლო სიტყვა **უმაღლესი** ლექსიკონში ასეა განმარტებული: **ყველაზე მაღალი, უფრო მაღალი, რანგით ყველაზე მაღალი, ყველაზე უფროსი.**

**განა ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ პრემიერმინისტრი ვაღიაროთ ყველაზე** ▶



**პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ჰგონია, რომ მის უუფლებობაში მთავარი დამნაშავე მთავრობაა და ამიტომ გამუდმებით ცდილობს მის წინააღმდეგ ამხედრებას, მაგრამ იმის გამო, რომ არ შეუძლია თავისი უფლებების, შესაძლებლობების, ავტორიტეტის, ცოდნისა და გამოცდილების სწორი შეფასება (გათვლა), მუდამ მარცხდება. აშკარაა, რომ მას არასამთავრობოები, მრჩეველები და სხვებიც აბრიყვებენ**

ამბავი



## თურქი სამხედროები 14 წლის ქურთს სასტიკად გაუსწორდნენ

**თურქი სამხედროები განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდნენ 14 წლის ქურთ მოზარდს, რომელიც ჯიზრის დასახლებულ პუნქტში დააკავეს.** ჯიზრში სპეცნაზის ხუთასამდე თანამშრომელი მუშაობდა წმენდაზე, ისინი ქალაქში ქურთების ამბოხების დასაცხრობად შეიყვანეს. მორიგი სპეცოპერაციის დროს თურქულმა სპეცნაზმა დააკავა 14 წლის ახალგაზრდა, რომელიც, როგორც თვითმხილველების გადაღებულ ფოტოზე ჩანს, წინააღმდეგობას არ უწევდა მათ. მოგვიანებით მისი სხეული მკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობითა და დასერილი ყურებით ქალაქის გასასვლელში იპოვეს. ქურთი მოზარდის სხეულზე აღმოჩენილია წამების ნიშნები, რის შემდეგაც ახალგაზრდა გულში პირდაპირი გასროლით მოკლეს ახლო მანძილიდან.



**ქვეყანას, სადაც პარლამენტს პატივს არ სცემენ (მ.59,პ.3; მ.89,პ.5. მ.81, პ.1) და მის მიმართ აშკარა უპატივცემულობას იჩენენ (მ.79, პ.5,7; მ.80, პ.8), განა შეიძლება საპარლამენტო რესპუბლიკა უწოდო? მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს ისტორიიდან, რომ ქვეყანაში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე, მომავალში აუცილებლად დამყარდება ავტორიტარული ან დიქტატორულ რეჟიმი.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოფილმა პრეზიდენტმა თავის თავზე სრულად მოირგო (მისი აზრით) ძირითადი კანონი, ხანგრძლივი, ერთპიროვნული და განუყოფელი მმართველობისთვის და ეს ისეთი უხეში ფორმებით გააკეთა ყოფილი პარლამენტარების (ზოგიერთის გამოკლებით), ვენეციის კომისიის წევრებისა და გერმანელი ექსპერტების დახმარებით, რომ ამას მხოლოდ უნარშეზღუდული ადამიანები ვერ ხვდებიან ან ისინი, ვისაც ამის დანახვა კატეგორიულად არ სურს**

◀ **მაღალი თანამდებობის პირად ქვეყანაში?**

პრეზიდენტს არც მაგიდის თავში მოუწევს ჯდომა და არც მთავრობის სხდომის ხელმძღვანელობა იმ შემთხვევაშიც კი, თუ მან მოითხოვა მთავრობის სხდომაზე ცალკეულ საკითხთა განხილვა, ვინაიდან განსახილველი საკითხების დღის წესრიგში დაყენება პრემიერმინისტრის ნებაზეა დამოკიდებული.

**პრეზიდენტის მიერ მთავრობის სხდომის ხელმძღვანელობა და მის მიერ შეთავაზებული საკითხების რიგგარეშე განხილვა კონსტიტუციით აღარ არის გათვალისწინებული (მ.78, პ.6).**

**და ეს არის პრეზიდენტის პირველკაცობა?**

იმისათვის, რომ კარგად გავიაზროთ, დაჩაგრულია თუ არა მოქმედი პრეზიდენტი კონსტიტუციისა და სხვების მიერ, საკმარისია, **შევადაროთ მისი შემორჩენილი უფლებები იმ ქვეყნების პრეზიდენტების უფლებებს, რომლებშიც სახელმწიფოს მეთაურები აირჩევიან პარლამენტების მიერ, ანუ გაცილებით ნაკლები ლეგიტიმაციით, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტი.**

**გერმანია:**

ფედერალური პრეზიდენტი აირჩევა ფედერალური კრების მიერ დებატების გარეშე 5 წლის ვადით.

ფედერალური კანცლერი ფედერალური პრეზიდენტის წინადადებით აირჩევა ბუნდესტაგის მიერ დებატების გარეშე და ინიშნება პრეზიდენტის მიერ.

ბუნდესტაგს შეუძლია, უნდობლობა გამოუცხადოს კანცლერს იმით, რომ წევრთა უმრავლესობით აირჩევს მის უფლებამონაცვლეს. პრეზიდენტი ვალდებულია, დააკმაყოფილოს თხოვნა.

ფედერალური პრეზიდენტი წარმოადგენს ფედერაციას საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში. იგი ფედერაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, ახდენს ელჩების აკრედიტაციასა და მიღებას. პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერალურ მოსამართლეებს, მოხელეებს.

კანცლერის წინადადებით პრეზიდენტი ნიშნავს და ათავისუფლებს ფედერალურ მინისტრებს.

კანცლერი განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქმეებს წარმართავს მთავრობის მიერ მიღებული და პრეზიდენტის მიერ მოწონებული რეგლამენტის მიხედვით.

ფედერალური პრეზიდენტი, კანცლერი და მინისტრები დებენ ფიცს და წარმოთქვამენ სიტყვას „ვფიცავ“.

პრეზიდენტის ფიცი:

„ვფიცავ, ჩემი ძალები მოვახმარო გერმანელი ხალხის კეთილდღეობას, ვიმოქმედო მის სასარგებლოდ, ავარიდო ზიანი და დავიცვა ძირითადი კანონები და ფედერაციის კანონები, კეთილსინდისიერად შევასრულო ჩემი მოვალეობები და დავიცვა ყველას მიმართ სამართლიანობა.

ღმერთი იყოს ჩემი შემწე“.

**იტალია — საპარლამენტო რესპუბლიკა**

პრეზიდენტი ახდენს დიპლომატიური წარმომადგენლების აკრედიტაციას და იღებს მათ. ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებების რატიფიკაციას.

პრეზიდენტი ნიშნავს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო მისი წინადადებით — მინისტრებს, რომლებიც დებენ ფიცს პრეზიდენტის წინაშე. პრეზიდენტი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დებენ ფიცს და წარმოთქვამენ სიტყვას „ვფიცავ“.

პრეზიდენტს შეუძლია, პალატების თავმჯდომარეების მოსმენის შემდეგ დაითხოვოს ორივე ან ერთ-ერთი პალატა.

პრეზიდენტის ფიცი:

„ვფიცავ, რომ ვიქნები რესპუბლიკის ერთგული და ლოიალურად დავიცავ კონსტიტუციას“.

**საბერძნეთი — საპარლამენტო რესპუბლიკა**

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებენ პარლამენტი და პრეზიდენტი, აღმასრულებელს — პრეზიდენტი და მთავრობა.

პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერს, რომლის წინადადებითაც ნიშნავს და ათავისუფლებს კაბინეტის სხვა წევრებს და მინისტრთა მოადგილეებს.

პრეზიდენტი დაითხოვს კაბინეტს, თუ მთავრობა გადადგება.

პრეზიდენტს შეუძლია, მოიწვიოს რიგგარეშე სესია, შეაჩეროს საპარლამენტო სესია ან გადაავადოს.

არჩევნებს ატარებს დათხოვნილი პარლამენტის ნდობით აღჭურვილი მთავრობა.

პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი და მინისტრები დებენ ფიცს და წარმოთქვამენ სიტყვას „ვფიცავ“.

აქ მოყვანილი მაგალითებიდანაც კარგად ჩანს, რომ ამ ქვეყნებში პრეზიდენტებს პატივს სცემენ და უფლებას აძლევენ, მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო-სამართლებრივ ურთიერთობებში და, რაც მთავარია, ამ ქვეყნების პრეზიდენტები, მთავრობის მეთაურები და მინისტრებიც კი ფიცის დადებით იღებენ პასუხისმგებლობას ქვეყნის მართვაზე და წარმოთქვამენ სიტყვას „ვფიცავ“.

**საქართველოში** კი პრემიერი არავის ეკითხება (საჭიროდ არ თვლის) მინისტრების დანიშვნა-გათავისუფლებას (მ.79, პ.5,7; მ.80, პ,8), ამ საკითხებში პრემიერმა შეიძლება, პარლამენტის აზრიც კი არ გაიზიაროს (მ.59, პ.3; მ.80, ა.7).

ხოლო საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტს მთავრობის ნებართვის გარეშე ნაბიჯის გადადგმის უფლებაც კი ჩამოერთვა (მ.69, პ.3; მ.73, პ.1.).

და ეს არის დაბალანსებული ძირითადი კანონი, ხოლო ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკა? დარწმუნებული იყო რა თავის გაპრემიერებაში, **მიხეილ სააკაშვილმა** და მის მიერ დამონებულმა პარლამენტმა (ზოგიერთის გამოკლებით) ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გართულებულიყო პარლამენტის მიერ მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის პროცედურა და ამისთვის უნდობლობის გამომცხადებელთა რაოდენობა 1/3-დან 2/5-მდე გაზარდეს, პარლამენტარებს კი აეკრძალათ ექვსი თვის განმავლობაში იმავე საკითხის დღის წესრიგში დაყენება (მ.80, პ.1).

**იმისათვის, რომ კონსტიტუცია ხელუხლებელი დარჩენილიყო, მათ კონსტიტუციის გადასინჯვის მომხრეთა რაოდენობა 2/3-დან 3/4-მდე გაზარდეს, რითაც მომავალ პარლამენტს წაართვეს უფლება, განსაზღვროს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა (მ.102, პ.3).**

**აი, ასე მოირგეს საკუთარ თავზე ძირითადი კანონი ყოფილმა პრეზიდენტმა და პარლამენტმა.**

და ეს არის დემოკრატია?

**პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს ჰგონია, რომ მის უუფლებობაში მთავარი დამნაშავე მთავრობაა და ამიტომ გამუდმებით ცდილობს მის წინააღმდეგ ამხედრებას, მაგრამ იმის გამო, რომ არ შეუძლია თავისი უფლებების, შესაძლებლობების, ავტორიტეტის, ცოდნისა და გამოცდილების სწორი შეფასება (გათვლა), მუდამ მარცხდება. აშკარაა, რომ მას არასამთავრობოები, მრჩევლები და სხვებიც აბრიყვებენ.**

**იმის მაგივრად, რომ პრეზიდენტი შეეცადოს თავისი უფლებების აღდგენას და ავტორიტეტის განმტკიცებას და ეს დაასაბუთოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე ზრუნვით, ის მთავრობასა და პარლამენტს დაუპირისპირდა.**

**მარგველაშვილს კარგად რომ შეესწავლა კონსტიტუცია და ეგრძნო პასუხისმგებლობა ქვეყნის უსაფრთხოებაზე, შეეცდებოდა 73-ე და მე-100 მუხლებში შესწორებების შეტანას, ხოლო 50-ე მუხლის მე-3' პუნქტის — საერთოდ გაუქმებას, ვინაიდან ამ პუნქტს პრეზიდენტი გამოჰყავს არანორმალურ ადამიანად, პარლამენტი კი — მის აბუჩად ამგდებ ორგანოდ.**

ამ პუნქტის აზრი არის ის, რომ პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული საომარი მდგომარეობა პარლამენტის მიერ შეიძლება გაუქმდეს, ხოლო საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას კი პარლამენტი შეიძლება საერთოდ არ შეიკრიბოს (იხ. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, №35 (173), 19.09.2012).

ამ პუნქტის კითხვისას ყველას გაუჩნდება კითხვა: რის საფუძველზე გამოაცხადა პრეზიდენტმა საომარი და საგანგებო მდგომარეობები?

ნორმალური ადამიანი დასაბუთებული ინფორმაციების გარეშე განა ამას გააკეთებს?

**პრეზიდენტის ასეთმა უუფლებობამ დაამახინჯა სიტყვების: “სახელმწიფოს მეთაურის”, “გარანტისა” და “უმაღლესი მთავარსარდლის” მნიშვნელობები, ძალა და ავტორიტეტი წაართვა მათ; ფიცის ტექსტმა მისი ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დააყენა, არჩევნების წესმა კი დასცინა.**

ის, რომ ძირითადი კანონი თავის დროზე მორგებული იყო კონკრეტულ პიროვნებაზე, აღიარა თვით პრემიერმინისტრმაც 24 აგვისტოს თავის გამოსვლაში კონსტიტუციის მიღების 20 წლისთავზე.

ამით მან დაამტკიცა, რომ სახელისუფლო შტოებს შორის ძალაუფლების ბალანსი დარღვეულია მთავრობის მეთაურის სასარგებლოდ, მაგრამ არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ ეს ბალანსი გათანაბრებულიყო და არც აკეთებს იმიტომ, რომ ხელს აძლევს ასეთი ვითარება, როდესაც ის არც პარლამენტის და არც პრეზიდენტის წინაშე არც პასუხისმგებელია (მ.79, პ.2), არც ანგარიშვალდებული (მ.78,პ.1; მ.79, პ.3) და აღმასრულებელი ხელისუფლების სრული ბატონ-პატრონია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად დიდი ძალაუფლებისა, პრემიერი ამ უფლებებს ბოროტად არ იყენებს. პრაგმატულად აზროვნებს, ტრადიციებს არ ღალატობს, უბრალოდ, კაცურად იქცევა.

**ქვეყანას, სადაც პარლამენტს პატივს არ სცემენ (მ.59,პ.3; მ.89,პ.5. მ.81, პ.1) და მის მიმართ აშკარა უპატივცემულობას იჩენენ (მ.79, პ.5,7; მ.80, პ.8), განა შეიძლება საპარლამენტო რესპუბლიკა უწოდო?**

**მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს ისტორიიდან, რომ ქვეყანაში, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლება არ არის ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე, მომავალში აუცილებლად დამყარდება ავტორიტარული ან დიქტატორულ რეჟიმი.**

ალბათ, ამას გულისხმობდა ყოფილი პრეზიდენტი, როდესაც კონსტიტუციაში ცვლილებები იგეგმებოდა.

დღევანდელმა ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ 2014 წლის სექტემბრის შემდეგ 2015 წელსაც მოვიდოდა სექტემბერი და ქვეყნის პირველი პირის პრობლემა ისევ წამოიჭრებოდა, მაგრამ არაფერი გააკეთა წინასწარ ამ საკითხის მოსაგვარებლად; ადრე თუ გვიან, ჩვენც დაგვჭირდებოდა სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები საჰაერო სივრცისა და ტერიტორიული წყლების დასაცავად, მაგრამ აქაც არაფერს აკეთებს.

**აშკარაა, რომ სახელმწიფო თანამდებობების პირები ძალიან ცუდად ერკვევიან ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში და ლაპარაკი იმაზე, რომ ქვეყნის თავდაცვა ძლიერდება, ნაადრევია. სახელმწიფოებრივი ხედვა ამ საკითხებში მათ ნამდვილად აკლიათ, მთავარს ვერ ამჩნევენ და წვრილმანებით არიან დაკავებულნი.**

ამასთან დაკავშირებით გამახსენდა ივანე კრილოვის იგავი „ცნობისმოყვარე“.

ვინაიდან ამ იგავის ქართული ტექსტი ვერ მოვიძიე, მოვიყვან რუსულად:

**„Любопытный“.**

„Приятель дорогой, здорово!
где ты был?“
В кунсткамере, мой друг!
Часа там три ходил:
. . .
Каких зверей,
каких там птиц я не видал!
Какие бабочки,
букашки, козявки,
мушки, таракашки!
. . .
А видел ли слона?
Каков собой на взгляд?
Я, чай, подумал,
ты что гору встретил?ќ
„Да разве там он?“ — там,
— ну, братец виноват;
Слона-то я и не приметил“.

**მინდა, შევახსენო მთავრობას და, პირველ რიგში, თავდაცვის მინისტრს, ქალბატონ თინა ხიდაშელს, რომ 2016 წელსაც დადგება 26 მაისი და კიდევ რომ არ დადგეს დღის წესრიგში სამხედრო აღლუმის ჩატარების პრობლემა, გთავაზობთ დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ერთ ვარიანტს.**

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს მოსახლეობას, უკვე დიდი ხანია, მოენატრა ქართული ჯარის ქვედანაყოფების მიერ მწყობრი ნაბიჯით გადაადგილებისას ქართული სიმღერების მოსმენა.

აღლუმის ჩატარების ასეთი ვარიანტი შეიძლება ზოგიერთს არ მოეწონოს, მაგრამ, ალბათ, მშფოთვარე მაისის დღეების შემდეგ ჯარის მიერ შესრულებული ქართული სიმღერები მალამოდ მოეცხება გულზე მოსახლეობის დიდ ნაწილს, მომავლის იმედი გაუჩნდება, ზოგს შეიძლება ცრემლიც მოადგეს თვალზე, როდესაც დაინახავსნ ძალ-ღონით სავსე ქართველ სამხედროებს.

ამ ღონისძიების ჩატარებაში, მის დაგეგმვასა და ორგანიზებაში თავდაცვის სამინისტროსთვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საზოგადოებრივ მოძრაობას „საქართველო მშვიდობისთვის“.

პატივისცემით,

**ალექსანდრე ტოლსტოი**

---

მოკლედ



## მოსკოვმა ვაშინგტონს სამხედრო მოლაპარაკება შესთავაზა

**რუსეთმა აშშ-ს სირიაში რუსული ტექნიკის გადაადგილების გამო გაზრდილი დაძაბულობის აღმოსაფხვრელად პირდაპირი სამხედრო მოლაპარაკებები შესთავაზა.** აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ განაცხადა, რომ მოსკოვს სურს მოლაპარაკებები, რათა კონფლიქტის პოტენციური რისკები შემცირდეს. აშშ-ის დაზვერვის სამსახურის ცნობით, ბოლო რამდენიმე კვირაა, სირიის ქალაქ ლატაკიასთან რუსეთის სამხედრო ტექნიკის გადაადგილება შეინიშნება, თუმცა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ რუსი სამხედროებისა და ტექნიკის სირიაში გაგზავნას ჰუმანიტარული მიზნები აქვს. აშშ მზად არის, სირიის საკითხთან დაკავშირებით მოსკოვთან „შეზღუდული სახის“ მოლაპარაკებები გამართოს. ამის თაობაზე თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯოშ ერნესტმა განაცხადა. მისივე განმარტებით, პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაცია მზად არის, ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის საკითხები და სირიაში არსებული ვითარება მოსკოვთან განიხილოს.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუკი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი კორბინი გახდება, სირიის პრობლემებში ჩაურევლობით ლონდონი უარს იტყვის თავის საერთაშორისო როლზე. ამით ის რუსეთსა და ირანს დაეხმარება“, — ასკვნის ექსპერტი.**

# The Telegraph: ბრიტანელი ლეიბორისტების ლიდერი ნატოს მტერი და ვლადიმერ პუტინის მეგობარი გახდა

**ლეიბორისტული პარტიის ახალმა ლიდერმა ჯერემი კორბინმა, შესაძლოა, ახალი ქვეთავი დაიწყოს დიდი ბრიტანეთის პოლიტიკაში. იგი ნატოდან ქვეყნის გასვლის მომხრეა და მხარს არ უჭერს ევროინტეგრაციის იდეოლოგიას. გარდა ამისა, პოლიტიკოსი დაჟინებით ეწინააღმდეგება ბრიტანეთის მონაწილეობას ქვეყნის საზღვრებს გარეთ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში. როგორც The Telegraph-ი წერს, კორბინის პოლიტიკა დაასუსტებს დასავლეთს და ხელს შეუწყობს ვლადიმერ პუტინს.**



**ჯერემი კორბინი, რომელიც სათავეში ჩაუდგა დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულ პარტიას, გახდა მისი პირველი ლიდერი, რომელიც ნატოდან ქვეყნის გამოსვლას მოითხოვს**



თემთა პალატის წევრმა ჯერემი კორბინმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ლეიბორისტული პარტიის ლიდერის არჩევნებზე. ოპოზიციის ლიდერის თანამდებობისთვის კიდევ სამი კანდიდატი იბრძოდა: ჯანდაცვის ჩრდილოვანი მინისტრი ენდი ბერნემი, შინაგან საქმეთა ჩრდილოვანი მინისტრი ივეტ კუპერი და ჯანდაცვის ჩრდილოვანი მინისტრის მოადგილე ლიზ კენდალი. გამარჯვებული 12 სექტემბერს სპეციალურ კონფერენციაზე გამოცხადდა — კორბინმა პირველივე ტურში ხმათა 59,5% მოიპოვა.

როგორც The Telegraph-ში დევიდ ბლერი წერს, **ჯერემი კორბინი, რომელიც სათავეში ჩაუდგა დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტულ პარტიას, გახდა მისი პირველი ლიდერი, რომელიც ნატოდან ქვეყნის გამოსვლას მოითხოვს.**

**გარდა ამისა, კორბინი გამოდის ბირთვული განიარაღების მოთხოვნითაც.** „თუკი ეს ასე მოხდება, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი კატასტროფულად დასუსტდება ან სულაც დაიშლება. ეს კი ევროპაში ძალთა გადანაწილებას შეცვლის მსოფლიოში ბირთვული იარაღის ყველაზე დიდი არსენალის მფლობელი რუსეთის სასარგებლოდ“, — აღნიშნავს ბლერი.

ავტორი დასძენს, რომ საგარეო პოლიტიკაში კორბინი შეეცდება, ევროპა რუსეთის ორბიტაზე გადაიყვანოს, თუმცა საეჭვოა, მან ამ საკითხში კონსენსუსს მიაღწიოს. ნათელია, რომ ეს შეასუსტებს დიდი ბრიტანეთის პოზიციებს მსოფლიოში და გაბედულებას შეჰმატებს ვლადიმერ პუტინს.

ზემოხსენებული მასალის თანაავტორის — დუგლას კარსუელის თქმით, **ჯერემი კორბინის ლიდერობით ლეიბორისტული პარტია ევროინტეგრაციის იდეის წინააღმდეგაც შეიძლება გამოვიდეს.** „ხელისუფლებაში კორბინის მოსვლით, რომელიც ევროს ვარდნას დაემთხვა, მემარცხენე შეხედულებების მრავალმა მომხრემ დაიწყო გაცნობიერება, რომ ბრიუსელი განასახიერებს არა ინტერნაციონალიზმის იდეას, არამედ კორპორაციულ თაღლითობას“, — აღნიშნავს კარსუელი.

როგორც კიდევ ერთი ავტორი — რიჩარდ სპენსერი წერს, კორბინი საკუთარ პარტიაში პროტესტს შეეჯახება იმ იდეის წინააღმდეგ, რომელიც სირიაში დაბომბვების მხარდაჭერაზე უარის თქმას გულისხმობს. როგორც პოლიტიკოსმა ადრე განაცხადა, „იგი ვერ ხედავს ვერანაირ შესაფერის როლს დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ძალებისათვის მის საზღვრებს გარეთ“.

სპენსერის აზრით, სირია უკვე გახდა ბარაკ ობამას იმ გადაწყვეტილების მსხვერპლი, რომლის მიზანიც შუა აღმოსავლეთში აშშ-ის როლის შემცირება იყო. მორალურმა მხარდაჭერამ გამბედაობა შესძინა ოპოზიციას, მაგრამ მან უარი განაცხადა აუცილებელი სამხედრო დახმარების გაწევაზე ასადის რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად. **თუკი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი კორბინი გახდება, სირიის პრობლემებში ჩაურევლობით ლონდონი უარს იტყვის თავის საერთაშორისო როლზე. ამით ის რუსეთსა და ირანს დაეხმარება, — ასკვნის ექსპერტი.**

ანტისაომარი აქტივისტი და კოალიცია Stop The War-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლინდსი ჟერმანი იმედოვნებს, რომ ოპოზიციის ლიდერის სახით კორბინი შეძლებს, გავლენა მოახდინოს დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკაზე.

ლინდსის ჯერემის აზრით, მისი პროგრამა მოეწონებათ ამომრჩევლებს.

„ძალიან მიხარია, რომ ამ არჩევნებზე ჯერემი კორბინმა გაიმარჯვა. ვფიქრობ, დავინახავთ, რომ ჯერემი და მისი ზოგიერთი იდეა უფრო პოპულარულია, ვიდრე მისი ოპონენტები და ხელისუფლება. ვიმედოვნებ, რომ **სირიის დაბომბვის გეგმა, რომლის პარლამენტში განსახილველად გატანასაც ხელისუფლება ახლო მომავალში აპირებს, წინააღმდეგობას გადააწყდება ჯერემი კორბინის მხრიდან, რომელიც ბირთვული პროგრამა TRIDENT-ის წინააღმდეგ გამოდის.** ლეიბორისტული პარტიის ლიდერად არჩეულ იქნა ადამიანი, რომელიც კარგადაა ცნობილი, როგორც ომისა და ბირთვული იარაღის მოწინააღმდეგე. ბრიტანული საგარეო პოლიტიკისთვის (და ეს ეხებათ არა მხოლოდ კონსერვატორებს, არამედ ლეიბორისტებსაც) დამახასიათებელია მსოფლიოში რეალობაზე თვალის დახუჭვა ნაცვლად იმისა, რომ ეძებოს დიალოგი, ეცადოს დაზავებას, ქვეყნებს შორის საომარი მოქმედებების შეწყვეტას. დიდი იმედი მაქვს, რომ ჯერემი კორბინი, როგორც ოპოზიციის ლიდერი, მომავალში კი, შესაძლოა, პრემიერმინისტრიც, აბსოლუტურად სხვა კურსს გაატარებს“, — განაცხადა ჟერმანმა.

**კორბინი ცნობილია თავისი მემარცხენე შეხედულებებით. გარდა ამისა, იგი აღმოსავლეთით ნატოს გაფართოებისა და ევროპასა და აშშ-ს შორის ტრანსატლანტიკური სავაჭრო და საინვესტიციო პარტნიორობის გააფთრებული მოწინააღმდეგეა.** „ვიკილიქსის“ დამაარსებელმა ჯულიან ასანჟმა ისაუბრა ახალი ოპოზიციონერი ლიდერის მიდგომის შესახებ ამერიკულ-ბრიტანული ურთიერთობებისადმი.

ჯულიან ასანჟი მიიჩნევს, რომ შესაძლოა, კორბინი თავისი პოზიციის გამო მომავალში ოკეანის გაღმიდან კრიტიკის მსხვერპლი გახდეს.

„ბევრი ვიფიქრე იმაზე, შეძლებს თუ არა ჯერემი კორბინი ლეიბორისტების ლიდერის პოსტის შენარჩუნებას ამერიკულ-ბრიტანული ურთიერთობების მიმართ მისი ტრადიციული და ძალზე კრიტიკული პოზიციის გათვალისწინებით. მოვიყვან მაგალითს, თუ რამდენად განსხვავდება ეს პოზიცია სხვებისგან. აი ციტატა დეპეშიდან, რომელიც აშშ-ის ელჩმა გაგზავნა ვაშინგტონში, დევიდ კემერონის კაბინეტში საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე მომუშავე უილიამ ჰეიგთან შეხვედრის შემდეგ. ჰეიგმა აღნიშნა, რომ ნებისმიერი, ვინც დაუნინგ-სტრითზე 10 ნომერ სახლში პრემიერმინისტრის რანგში ხვდება, ძალიან მალე აცნობიერებს იმ საკვანძო როლს, რომელსაც ამერიკასთან ურთიერთობები ასრულებს. მან დასძინა: „ჩვენ გვსურს პროამერიკული რეჟიმი. ჩვენ ის გვჭირდება. ის მსოფლიოს სჭირდება“. ჰეიგი, უბრალოდ, ეუბ- ▶



## სირიელი ლტოლვილი საფეხბურთო კლუბმა მიიწვია

**კადრებმა, რომელშიც უნგრელმა ოპერატორმა სირიელ ლტოლვილს ფეხი დაუდო და წააქცია, მთელი მსოფლიო შემოიარა.** მომხდარის გამო ტელევიზიის თანამშრომელი სამსახურიდან დაითხოვეს. ლტოლვილი, რომელსაც ხელში ბავშვი ეჭირა, სირიის საფეხბურთო პრემიერ ლიგის ერთ-ერთი გუნდის al-Fotuwa SC-ის მწვრთნელი ოსამა ალ-აბდ ალ-მოჰსენი აღმოჩნდა. სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ ოსამა ესპანური საფეხბურთო კლუბ „ხეტაფეს“ საფეხბურთო სკოლამ მიიწვია და ის ოჯახთან ერთად საცხოვრებლად ესპანეთში გადაიყვანა.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## კორბინს ალტერნატიული თვალსაზრისი აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზეც. იგი წარმოადგენს ჩვეულებრივი მოქალაქეების ინტერესებს და არა ზემდიდრების წრეებისას. ამგვარი თვალსაზრისი გამოთქვა კენ ლივინგსტონმა, რომელიც რვა წლის განმავლობაში ლონდონის მერი გახლდათ.

ნება ამერიკელებს იმას, რისი გაგონებაც მათ სურთ. და ეს სულაც არ ჰგავს იმას, რაზეც დღეს ჯერემი კორბინი საუბრობს. მაგრამ იგი ძველებური დაჟინებით რომ ითხოვდეს დიდი ბრიტანეთის ნატოდან გასვლას, სერიოზულად შევშფოთდებოდი იმის თაობაზე, რომ რისკავს, გახდეს მიზანმიმართული პოლიტიკური დესტაბილიზაციის სამიზნე ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან", — განაცხადა ასანჟმა.

**კორბინს ალტერნატიული თვალსაზრისი აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზეც. იგი წარმოადგენს ჩვეულებრივი მოქალაქეების ინტერესებს და არა ზემდიდრების წრეებისას. ამგვარი თვალსაზრისი გამოთქვა კენ ლივინგსტონმა, რომელიც რვა წლის განმავლობაში ლონდონის მერი გახლდათ.**

„ბოლო 35 წლის განმავლობაში, ტეტჩერისა და ბლერის დროს, ჩვენ საკუთარ ეკონომიკაში ინვესტირებას უგულებელვყოფდით. უზარმაზარი თანხები წავიდა საბანკო სისტემაში და საზღვარგარეთ სპეკულაციებზე. ჯერემი კორბინი ჩვენი სახსრების გამოყენების ალტერნატიულ საშუალებას გვთავაზობს — ინვესტიციები ეკონომიკაში და მისი მოდერნიზაცია და არა ბანკების მხარდაჭერა", — აღნიშნა ლივინგსტონმა.

„ვფიქრობ, დასავლურ სამყაროში ადამიანები თავს მივიწყებულებად გრძნობენ: ისინი ხედავენ, თუ რა საარაკოდ გამდიდრდა ბანკირების მცირერიცხოვანი ელიტა და როგორ მოაახლოვეს მათ კოლოსალური კრიზისი. ამასთან, რიგითი მოქალაქეები უმუშევარნი რჩებიან: ტეტჩერისა და ბლერის პერიოდში ჩვენ 6 მილიონი სამუშაო ადგილი დავკარგეთ სამრეწველო სფეროში, ხელმისაწვდომი სახლები კი არ აგვიშენებია. ამის გამო ადამიანები უკმაყოფილონი არიან. და აი, ისინი ხედავენ ჯერემი კორბინს, რომელიც მშრომელთა ინტერესებს წარმოადგენს და არა ზემდიდრების ვიწრო წრისას", — ხაზი გაუსვა დედაქალაქის ყოფილმა მერმა.

თავად კორბინი ბოლო პერიოდში ტელეარხ RT-ს ხშირი სტუმარი იყო და სხვადასხვა დროს ინტერვიუებში ამბობდა:

„ძალზე შეშფოთებული ვარ იმით, რომ აშშ სულ უფრო ხშირად ბომბავს სირიას. როგორც ვხვდები, მათ საამისოდ არანაირი კანონიერი საფუძვლები არ აქვთ გარდა იმ საფრთხისა, რომელსაც ერაყში „ისლამური სახელმწიფო" წარმოადგენს. ამ რეგიონში საჭიროა უფრო დეტალური და თანმიმდევრული პოლიტიკური მიდგომა".

„ისრაელი პალესტინელებს მიწებს ართმევს 1946 წლიდან. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, ოკუპაცია და კოლონიზაცია, რომელსაც ისრაელი ახორციელებს, უკანონოა".

„ჩვენ ჩავებით გარდამავალ ხელისუფლებასა და კადაფის რეჟიმს შორის ტრიპოლში მიმდინარე სამოქლაქო ომში, რომელიც, როგორც ვვარაუდობ, ძალიან დიდხანს გაგრძელდება და უკიდურესად სისხლისმღვრელი იქნება".

**„მსოფლიო უფრო უსაფრთხო გახდა? — არა. შემცირდა ტერორიზმის საფრთხე? — არა. სწორი გზაა ეს საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით? — არა. იმას, რაც ამ ქვეყანამ გააკეთა, მე სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონო შეჭრად ვთვლი".**

ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ კორბინის გამარჯვებამ, შესაძლოა, ლეიბორისტებს შორის განხეთქილება გამოიწვიოს. კენჭისყრამდე მას აკრიტიკებდნენ თანაპარტიელებიც და სხვა პოლიტიკოსებიც.

წინასაარჩევნო მარათონის დროსაც მოწინააღმდეგეები საკმაოდ მკაცრი განცხადებებით გამოდიოდნენ კორბინის მიმართ, ბევრი იმასაც ამბობდა, რომ მისი გამარჯვება „კატასტროფა" იქნებოდა. მის ეკონომიკურ პროგრამას გაუაზრებელს და უაზროსაც კი უწოდებდნენ. თემთა პალატის წევრი კონსერვატიული პარტიიდან, ჯორჯ ოსბორნი, კორბინის საგარეო პოლიტიკურ შეხედულებებს „ნაციონაhლური უშიშროებისთვის საფრთხესაც" კი უწოდებდა. კორბინის მიმართ საკუთარი აზრი გამოთქვა ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერმინისტრმა ტონი ბლერმაც.

„ადამიანები ამბობენ: „გული მკარნახობს, რომ საჭიროა ამ კურსის მხარდაჭერა", მაშინ გადაინერგეთ გულები, რადგან ეს უბრალოდ უაზრობაა", — განაცხადა მან.

ჯერემი კორბინის ძმა — პირს კორბინი კი დარწმუნებულია, რომ პოლიტიკოსმა მხარდაჭერა ბრიტანელების უმნიშვნელოვანესი ინტერესების დაცვის გამო მიიღო.

„ისტორიულად ბრიტანეთის იმპერიისათვის უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო საგარეო პოლიტიკა. ჯერემი კი გამოდის დიდი ბრიტანეთის ექსპლუატატორული იმპერიალისტური ბუნების წინააღმდეგ. ამის გამო ზოგიერთებს იგი არ უყვართ. იგი იცავს იმას, რაც ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელია სწორედ ახლა. ჩვენ შეთანხმებითი პოლიტიკის ეპოქა გვქონდა, რომელსაც თავს გვახვევდნენ საზოგადოების მდიდარი და ზემდიდარი ფენები, ასევე, საერთაშორისო კარტელები. ის მიმართული იყო ხალხის ცხოვრების დონის დაწევისკენ. მოხდა საბანკო კრიზისი, არადა, ჩვეულებრივ ადამიანებს ადანაშაულებენ. ახლა ჩვენ შეგვიძლია, დავუპირისპირდეთ ამას. ჯერემი მკაცრი ეკონომიის წინააღმდეგია. იგი პასუხისმგებლური პოლიტიკის მომხრეა. იგი მანიპულატორებისა და პოლიტტექნოლოგების წინააღმდეგია, რომლებიც არ წარმოადგენენ მშრომელებს. ამის გამოა, რომ ესოდენ ფართო მხარდაჭერით სარგებლობს", — განაცხადა პირს კორბინმა.

თვით ჯერემი კორბინმა კი ხელისუფლებას მოუწოდა, „გახსნან გულები და გონება" და დახმარება აღმოუჩინონ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან დევნილებს. ლეიბორისტული პარტიის ლიდერად არჩევიდან ცოტა ხანში იგი ლონდონის ცენტრში დევნილების მხარდასაჭერად გამართულ მრავალათასიან დემონსტრაციაზე მივიდა. ინგლისისა და უელსის მწვანეთა პარტიის ხელმძღვანელის მოადგილემ შარარ ალიმ კარგის მომასწავებლად მიიჩნია ის, რომ ლეიბორისტების ახალი ლიდერი მოსახლეობის დაუცველი ფენების მიმართ მზრუნველობის გამოჩენისაკენ მოუწოდებს ხელისუფლებას.

„ჯერემი კორბინის არჩევა კარგი სიახლეა ყველასთვის, ვინც მემარცხენე პოლიტიკურ შეხედულებებს იზიარებს. მაგალითად, რიგითი ადამიანები იტანჯებიან ამჟამინდელი კონსერვატიული ხელისუფლების მიერ განხორციელებული მკაცრი ეკონომიის პროგრამის შედეგების გამო. ჩვენ მკაფიოდ გამოვხაhტეთ, რომ არ ვეთანხმებოდით ამ პროგრამას, ლეიბორისტულმა პარტიამ კი წინამორბედი ხელმძღვანელის დროს მხარი დაუჭირა მის შემსუბუქებულ ვერსიას, ამიტომ ძალიან კარგია, რომ პოლიტიკური სივრცე იხსნება უფრო ფართო დისკუსიისთვის. ჯერემი კორბინი მტკიცედ იცავს თავის თვალსაზრისს და მზადაა დიალოგისთვის, მიუხედავად იმისა, რომ მისი თვალსაზრისი, შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს იმას, რასაც მასმედია ასახავს. პოლიტიკური სფეროსთვის ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. საჭიროა, რომ პოლიტიკოსები იცავდნენ საკუთარ არგუმენტებს, იდეალებსა და ღირებულებებს და წარადგენდნენ მათ ელექტორატის სამსჯავროზე. ამით ჩვენ შევძლებთ პოლიტიკური დისკუსიის ნიშნულის ამაღლებას. ვფიქრობ, რომ დღევანდელი დღე კარგი დღეა პოლიტიკოსთვის. მან დიდი ყურადღება მიაპყრო მოსახლეობის სუსტ ფენებზე მზრუნველობის აუცილებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ კორბინი ასევე საუბრობდა დევნილებზე და მათ მიმართ ჩვენს ვალდებულებებზე. ჩემი აზრით, ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია. შემიძლია, სიამაყით აღვნიშნო, რომ ჩვენ მუდამ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით მას", — განაცხადა შარარ ალიმ.

russian.rt.com




# ბავშვებს შორის ტრანსგენდერული იდეების პროპაგანდის გავრცელებაში ბრიტანეთი ლიდერობს

**დოკუმენტი სახელწოდებით „ტრანსგენდერული იდენტობის საკითხთა სახელმძღვანელო სკოლებისთვის" კორნუოლის საგრაფოს ყველა სკოლაში გავრცელდა. ბრიტანეთის ხელისუფლებამ და განათლების სამინისტრომ ის, როგორც „მოწინავე პრაქტიკა", გაამართლეს. ირწმუნებიან, რომ ტრანსგენდერობის ნიშნები ორი წლის ბავშვებში შეიძლება იქნეს აღმოჩენილი. სხვა ყველაფერთან ერთად, სახელმძღვანელო შეიცავს სქესობრივ სიმწიფემდე მიუღწეველ ბავშვებზე მძლავრი, შეუქცევადი და ურთიერთსაწინააღმდეგო ზემოქმედების მეთოდების აღწერილობას.**

ავტორების აზრით, „აღნიშნული სახელმძღვანელოს მიზანია მოწინავე პრაქტიკის უფრო ღრმად დანერგვა დაწყებით და საშუალო სკოლებში, ასევე, კოლეჯებში". ისინი დარწმუნებულნი არიან, ბავშვებში ყველაზე ახალგაზრდა ასაკშიც კი (2 წლიდან) შეიძლება დადგენილ იქნეს გენდერული დისფორიის (გენდერული იდენტურობის აშლილობა) სიმპტომები.

გარდა ამისა, დოკუმენტების შემდგენები ვარაუდობენ, რომ „ტრანსგენდერული პრობლემების გაცნობიერება შეიძლება მიღწეულ იქნეს დაწყებით ეტაპზეც სასწავლო პროგრამაში შესაბამისი მასალების (პერსონალური, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის) დანერგვის ხარჯზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვები, რომლებიც 12 წლის ასაკს მიაღწევენ, უნდა სწავლობდნენ გენდერულ თეორიას და ითვისებდნენ ტრანსგენდერობის იდეებს. ავტორთა რეკომენდაციების თანახმად, შესაბამისი წყაროები ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადრეული ასაკიდანვე. **„ტრანსგენდერობის იდეები უფრო და უფრო უნდა გავრცელდეს, ისინი უნდა შედიოდეს სასკოლო დავალებების მნიშვნელოვანი ნაწილის, მათ შორის ისტორიული პროექტების, შემადგენლობაშიც".**

სახელმძღვანელო განმარტებებს აკეთებს სკოლების მასწავლებლებისათვის, რომ „ტრანსგენდერული პიროვნება ხვდება და გრძნობს, რომ მისი გარეგანი სასქესო ნიშნები არ შეესაბამება მის სქესობრივ იდენტობასთან დაკავშირებულ განცდებს" და მოჰყავს გენდერული იდენტურობის მთელი რიგი სხვადასხვა ვარიანტი, რომელიც დამახასიათებელია ბავშვებისათვის, მათ შორის — „გენდერქვირიც" (გენდერული იდენტურობა, რომელიც განსხვავდება მამაკაცურისა და ქალურისაგან, ანდაც უსურვილობა, მიეკუთვნებოდეს რომელიმე გენდერულ იდენტობურობას) და „ნებინარობაც" (ადამიანი, ნებისმიერი ბინარული გენდერული სისტემის მიღმა).

განსაკუთრებული რეკომენდაციები ვრცელდება ბავშვების აცრებზეც კი. **სახელმძღვანელოს ავტორები ირწმუნებიან, რომ „საჭიროა იმ აუცილებლობის გათვალისწინება, რომლის თანახმადაც ტრანსგენდერ ბავშვებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ვაქცინაცია გაიარონ თავიანთ ოჯახის ექიმთან, თუკი რომელიმე აცრას გენდერული სპეციფიკა ახასიათებს. მაგალითად, F2M** (ქალი, რომელიც თავს მამაკაცად აღიქვამს) გენდერული იდენტურობის მოსწავლეები ან სტუდენტები, შესაძლოა, უკიდურეს დისკომფორტს განიცდიდნენ გოგონებთან ერთად რიგში დგომის დროს სპეციფიური ქალური ვაქცინაციის მოლოდინში".

მსგავსი დოკუმენტი ბრიტანეთში ჯერ კიდევ 2013 წელს გაჩნდა. პრაქტიკულად იმავე დროს ქალაქ ბრაიტონ-ენდ-ჰოვის მუნიციპალურმა საბჭომ გამოაქვეყნა თავისი გზავნილი ანალოგიურ თემაზე სახელწოდებით Trans Inclusion Schools Toolkit.

მაშ ასე, **ბრიტანეთი გზას კვალავს, ხოლო 2014 წელს კანადის ხელისუფლებამაც გამოაქვეყნა მსგავსი სახელმძღვანელო. მას მიჰყვა აშშ-ის განათლების სამინისტრო. წელს კამპანიას შეუერთდა ნიუ იორკის შტატი, რამდენიმე დღის წინათ კი ცხარე კამათი გაჩაღდა ალიასკის შტატში ანალოგიური გამოცემის ირგვლივ.**

2015 წლის ბრიტანული სახელმძღვანელო ოფიციალურად ამოქმედდა „გენდერული იდენტურობის საკითხთა კონფერენციის" დროს, რომელიც 17 ივლისს გაიმართა კლინიკა Tavistock & Portman-ში. აუცილებლად იქნა მიჩნეული ამ დოკუმენტის პოპულარიზება და რამდენიმე სემინარის ჩატარება სასკოლო პერსონალის წარმომადგენლებთან კორნუელის საგრაფოს სხვადასხვა ქალაქში.

breitbart.com

## უნგრეთის ორ რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს

**უნგრეთის მთავრობამ ქვეყნის ორ რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამის მიზეზი ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან მიგრანტების ნაკადის ზრდა გახდა.** პარალელურად უნგრეთის პოლიციამ უკვე დაიწყო იმ მიგრანტების დაკავება, რომლებიც კანონის დარღვევით ცდილობდნენ საზღვრის გადაკვეთას. ლტოლვილების ნაკადის მნიშვნელოვნად ზრდის გამო უნგრეთის მთავრობამ საიმიგრაციო კანონმდებლობაში ცვლილებებიც შეიტანა. კერძოდ, გაამკაცრა ლტოლვილებისთვის თავშესაფრის მინიჭების პროცედურები. ამას გარდა, საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის გამო მიგრანტს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. უნგრეთი ახლო აღმოსავლეთიდან ევროპაში ჩასული მიგრანტების მთავარი სატრანზიტო ქვეყანა გახდა. უნგრეთში ჩასული მიგრანტები, ძირითადად, ავსტრიასა და გერმანიაში გადადიან.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როგორც კი საქმე უშუალოდ პრაიმერიზამდე მივა, დიდი ალბათობით, ვიხილავთ ბუშის რეიტინგის დრამატულ აწევას, ტრამპის რეიტინგის საჭირო დონემდე დაცემას და კამერების წინაშე ტრამპის მიერ ბუშის აღიარებას პარტიულ ლიდერად.**

# აშშ-ის საპრეზიდენტო რბოლის ნიუანსები




**აშშ-ში საპრეზიდენტო რბოლა დაიწყო. სხვადასხვა მედიასაშუალებასა და აშშ-ის სოციალურ ქსელებში სამი მთავარი პრეტენდენტის — კლინტონის, ბუშისა და ტრამპის ფინანსების ანალიზისას საინტერესო დასკვნები ქვეყნდება: ამერიკა დაიღალა ფინანსური კლანებისგან, რომლებსაც განასახიერებენ კლინტონი (როკფელერები) და ბუში (როტშილდები) და ამჯერად ფსონს დამოუკიდებელ კანდიდატ დონალდ ტრამპზე დებს. მან მინიმალური ფინანსური დანახარჯებით მოახერხა, თავისი კონკურენტებისთვის გაესწრო პოპულარობით და მედიაში მოხსენიების სიხშირით.**




ამ საკითხზე ისაუბრა რუსმა ეკონომისტმა მიხეილ ხაზინმაც ერთ-ერთ ვიდეოინტერვიუში. იგი ზუსტად ანალოგიურ დასკვნებს აკეთებს, ოღონდ სულ სხვა წინაპირობებზე დაფუძნებით. მისი ლოგიკის თანახმად, ახლა ტრამპიც აღარ არის მარტო, მას დემოკრატებიდან დაუწყვილდა კანდიდატების სიაში ახლახან გამოჩენილი ბაიდენი.

ექსპერტი ვარაუდობს, რომ ფინანსისტებმა აშშ და მთელი მსოფლიოც კი ისეთ ჩიხში შეიყვანეს, საიდანაც გამოსვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთანავე, **ფინანსისტები არ არიან მიჩვეულნი ვალების გადახდასა და საკუთარ ქმედებებზე პასუხისგებას, ამის გამო აუცილებლად შეეცდებიან გლობალური ფორს-მაჟორის მოწყობას. ეს კი აშშ-სა და საერთოდ პლანეტას, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეს.** აშშ-ის ზოგიერთი დამოუკიდებელი პატრიოტი, გამოჰყავთ რა პრეზიდენტობის კანდიდატებად არაკლანური პერსონაჟები (ტრამპი და ბაიდენი), ცდილობენ, ამით ხელში ჩაიგდონ მართვის სადავეები და თავიდან აიცილონ უზომოდ დრამატული შედეგები.

ეს ყველაფერი ნამდვილად იმსახურებს დაფიქრებას, მაგრამ რეალობისგან მოწყვეტილია.

პირველი, რაც უამრავ კითხვას ბადებს, არის ის, თუ საიდან გაჩნდნენ ეს ფინანსისტებისგან დამოუკიდებელი პატრიოტები, რომელთაც საკმაო ძალა და სახსრები აქვთ საიმისოდ, რომ ხელისუფლებისთვის იბრძოლონ აშშ-ში, სინამდვილეში კი — არა მხოლოდ აშშ-ში.

იგივე ფინანსური კონგლომერატი, რომელსაც „რვაფეხა" უწოდეს — ჰოლდინგი Vanguard, არც როტშილდების საკუთრებაა და როგორც გაირკვა, არც როკფელერების. ეს არის რაღაც ნეიტრალური ზონა, რომლის კაპიტალიც კონსოლიდირებულია აშშ-ის ძალოვანებისა და სპეცსამსახურების მიერ. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა ხელისუფლებამ, ოღონდ ამავე ძალოვანების ფინანსური ინტერესების შენარჩუნებით.

რაღაც დოზით ეს ჰოლდინგი, ფინანსური თვალსაზრისით, წარმოადგენს „მესამე ძალას", მაგრამ მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით, რადგან არ აქვს აშშ-ის მომავლის საკუთარი კონცეპციური ხედვა. ძალის რაღაც მსგავსებად შეიძლება განხილულ იქნეს აშშ-ის ბიუროკრატიული კლასიც, რომელიც თვითგადარჩენის ელემენტარულ ინსტინქტზე დაფუძნებულ გარკვეულწილად ერთიან თვითშეგნებას ფლობს, მაგრამ ესეც მხოლოდ ძალის მსგავსი რამაა. და კიდევ, არის საკმაოდ მძლავრი და გავლენიანი ებრაული ლობიც, რომელსაც არ მოსწონს არც ობამას მოქმედი პოლიტიკა, არც ის პერსპექტივები, რომლებიც არც ისე დიდი ხნის წინათ განაცხადა როკფელერების სახელთან დაკავშირებულმა „ბებერმა ჰენრიმ", არც თვითიზოლაციის იდეის ბუშისეული ვერსია, რომლის უკანაც როტშილდების ყურები მოჩანს.

**მთავარი მოწინააღმდეგეების სახით, როგორც ადრე, ახლაც გამოდის მსოფლიო ფინანსური ოლიგარქიის ორი განშტოება — როტშილდები და როკფელერები.** პირველები რეალობის გათვალისწინებითა და უუნარობით, დატოვონ მსოფლიო ფინანსური სისტემა ხელშეუხებლად აშშ-ის ტერიტორიაზე, გამოდიან აშშ-ის ნებაყოფლობითი თვითიზოლაციის მომხრედ. მეორენი აქამდე ემხრობიან მსოფლიოში აშშ-ის გლობალურ როლს და მზად არიან, მთელი ძალითა და ყველა საშუალებით, მათ შორის ტერორიზმით, რევოლუციებით, ლოკალური კონფლიქტებითა და გლობალური ომით დაიცვან ის.

საეჭვოა, ამ ძალების დაპირისპირებას საპრეზიდენტო რბოლაში რომელიმე კანდიდატმა ხელი შეუშალოს, რამდენი ფულიც უნდა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში სხვა გონივრული ახსნა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტებს, რომლებიც თავში მოყვანილ დასკვნებს დაედო საფუძვლად. იმასაც, რომ საპრეზიდენტო რბოლაში დიდი დაგვიანებით, მაგრამ იძულებით, ჩაერთო მოქმედი ვიცეპრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი. ასეთი გონივრული ახსნა არსებობს, თუმცა, შესაძლოა, ისიც სუბიექტური აღქმაა რეალობისა, რომელიც სინამდვილეში სულ სხვაგვარია.

ნებისმიერი კანდიდატისთვის საპრეზიდენტო მარათონში მონაწილეობა ბაგირზე სიარულია. დებატების პროცესში და საკუთარი პოზიციების გამოხატვისას ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად, პირველ რიგში კი ყველა დონის უამრავი პოლიტიკური და სახელმწიფო ფუნქციონერის გადაბირებისთვის, კანდიდატი იძულებულია, მუდმივად გასცეს პასუხი უამრავ კითხვას, გამოამჟღავნოს არა მხოლოდ ძალა, არამედ სისუსტეც; განსაკუთრებით იმ სიტუაციაში, როდესაც უკიდურესად რთულია, ყველაფერს საკუთარი სახელი უწოდო და წარმოაჩინო, თუ რას აპირებ არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში. ბრძოლის პროცესში კანდიდატი აუცილებლად ავლენს სისუსტეს, რომელსაც მისი ოპონენტები დიდი სიხარულით იყენებენ მისსავე საწინააღმდეგოდ. და რაც უფრო აქტიურად იბრძვის კანდიდატი თანამდებობისთვის, მით მეტ სისუსტეს ამჟღავნებს. გარკვეულ მომენტამდე სამართლიანია მტკიცება, რომ, რაც უფრო ადრე დაიწყო კანდიდატმა აქტივობა, მით უფრო რთულია მისთვის სიტუაციის კონტროლი რბოლის გადამწყვეტ ეტაპზე.

**ფინანსისტები არ არიან მიჩვეულნი ვალების გადახდასა და საკუთარ ქმედებებზე პასუხისგებას, ამის გამო აუცილებლად შეეცდებიან გლობალური ფორს-მაჟორის მოწყობას. ეს კი აშშ-სა და საერთოდ პლანეტას, შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეს**

კლინტონს დიდი არჩევანი არ ჰქონია. რვა წლის წინათ თავისი პარტიისთვის გამარჯვების მოსაპოვებლად მას კომპრომისზე წასვლა და ობამას მხარდაჭერა მოუწია, რის გამოც საკუთარი კანდიდატურა მოხსნა. ფაქტობრივად, როკფელერებს მოუწიათ კომპრომისზე წასვლა კენედებთან, რომელთა დაყენებულიც იყო ობამა. ამ წლების შედეგების მიხედვით, კომპრომისი არაეფექტიანი აღმოჩნდა. ობამა თავის პოლიტიკაში ყოველმხრივ ცდილობდა როკფელერების დებულებებისგან დისტანცირებას, ამით ძალიან გაუცრუა ამ უკანასკნელთ იმედი და მნიშვნელოვნად შეასუსტა მათი პოზიციები. ამ პირობებში კლინტონი იძულებული იყო, უმალვე გამოეცხადებინა საკუთარი თავი დემოკრატიული პარტიიდან ერთადერთ ფაქტიურ ლიდერად, რომელსაც წარმატების შანსი ჰქონდა. ამ პოლიტიკამ მოიტანა არა მხოლოდ მაღალი რეიტინგები, არამედ ზემოხსენებული დიდი სისუსტეებიც, რომლითაც აქტიურად დაიწყო სარგებლობა დონალდ ტრამპმა და შეუდგა თავისი მთავარი პოტენციური ოპონენტის აქტიურ კრიტიკას. ასე მოაგროვა ქულები, რომლებმაც დღეს იგი ყველაზე პოპულარულ კანდიდატად აქცია.



სავარაუდოდ, **ტრამპი დამოუკიდებელი ფიგურა არ არის, ის ბუშთან შეთანხმებით მოქმედებს და პრაიმერიზის ფინალურ ეტაპზე მას დაუთმობს პირველობას.** იმავეს ადასტურებს ფაქტებიც: მინიმალური დაფინანსება, რადგან მეტი საჭიროც არაა, რაციონალური მოსაზრებებით. ხოლო ბუშის ყველაზე სერიოზული დაფინანსება და მედიაში მის მიმართ მინიმალური ყურადღება იმაზე მიანიშნებს, რომ იგი დროსა და ფინანსებს გამოიყენებს არა ჯერჯერობით უსარგებლო პოპულარობაზე, არამედ ეფექტიანი საარჩევნო საორგანიზაციო მექანიზმების შექმნაზე. **როგორც კი საქმე უშუალოდ პრაიმერიზამდე მივა, დიდი ალბათობით, ვიხილავთ ბუშის რეიტინგის დრამატულ აწევას, ტრამპის რეიტინგის საჭირო დონემდე დაცემას და კამერების წინაშე ტრამპის მიერ ბუშის აღიარებას პარტიულ ლიდერად**, მასვე გადასცემს მემკვიდრეობით კლინტონის მხრიდან გამოვლენილი ყველა სისუსტის სიას. ამგვარ ტაქტიკას გამარჯვების შანსი აქვს. **თუკი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ კლინტონის გამარჯვებაში პოლიტოლოგებიდან და ექსპერტებიდან ეჭვი ცოტას თუ ეპარებოდა, ახლა სიტუაცია ერთმნიშვნელოვანი აღარ არის — კლინტონის პოპულარობა ეცემა.**

შესაძლოა, სწორედ ამან განაპირობა ბაიდენის მოულოდნელი გამოჩენა პრეტენდენტებს შორის, თუმცა ამაზე დანამდვილებით საუბარი ჯერჯერობით რთულია. შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ორ პრინციპულ ვარიანტს: პირველი — **ბაიდენი თამაშში ჩაერთო, რათა შეასრულოს იგივე როლი, რომელსაც ტრამპი ასრულებს ბუშისთვის; საკუთარ თავზე მიიღოს რესპუბლიკელების მთავარი კრიტიკა და ამით კლინტონს ბრძოლის გადამწყვეტ რაუნდამდე ამოსუნთქვის საშუალება მისცეს;** მაგრამ არსებობს მეორე ვარიანტიც: კლინტონის კანდიდატურის წამოყენებამდე როკფელერებმა მოახერხეს კენედების დარწმუნება, რომ ამჯერად მათი კანდიდატისთვის დაეჭირათ მხარი. ნებაყოფლობით თუ იძულებით, მათ ეს მოახერხეს. იმის მიხედვით, თუ რაოდენ საეჭვო ხდება კლინტონის პრეზიდენტად არჩევის პერსპექტივები, შესაძლოა, კენედებმა შეიცვალეს აზრი და გადაწყვიტეს, დამოუკიდებლად ეცადათ ბედი. ანდა კლინტონის არჩევის შემდგომ როკფელერების რეალური გეგმები კენედებს აღარ ეჩვენებათ ადეკვატურად და ეს მეორე ვარიანტი უფრო მეტად სავარაუდოა.

საერთო ჯამში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აშშ-ის პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი პარტიული კუთვნილებისგან დამოუკიდებლად ცდილობს, ხელისუფლებაში არ დაუშვას კლინტონის მოსვლა. ასეა თუ ისე, ყველაფერი მომდევნო წელს გაირკვევა, თუკი გაისად არსებული სიტუაცია ამერიკელებს ჩვეული არჩევნების ჩატარების საშუალებას მისცემს.

**ტრამპი დამოუკიდებელი ფიგურა არ არის, ის ბუშთან შეთანხმებით მოქმედებს და პრაიმერიზის ფინალურ ეტაპზე მას დაუთმობს პირველობას**

cont.ws

სარედაქციო წერილში, რომლითაც ჟურნალის ეს ნომერი იხსნება, ნათქვამია: „ჩვენი თხოვნით, ლიტერატორებმა, რომლებიც საქართველოსთან არიან დაკავშირებულები, გაგვიზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები და მოგონებები. განყოფილება „სიზმრები საქართველოზე“ მკითხველს წარუდგენს „ოცნებათა საქართველოს, ნადიმივით გულუხვს, და საქართველოს სევდიანს... უცვლელი რჩება „სიცოცხლის ნიჭი და ნიჭი უკანონო სიხარულისა“.

პრეზენტაცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ДРУЖБА НАРОДОВ» — ქართული ლიტერატურის თავგამოდებული პროპაგანდისტი



**გასული კვირის ხუთშაბათს თბილისში, მოსწავლეთა სასახლის სარკეებიან დარბაზში, დღევანდელი საქართველოსთვის ერთობ მოულოდნელი ღონისძიება გაიმართა: საბჭოთა პერიოდში (1939 წელს) მოსკოვში დაარსებული ჟურნალ „Дружба народов“-ის 2015 წლის მე-8 ნომრის პრეზენტაცია.**

რატომ მოულოდნელი?

იმიტომ, რომ ყოფილი ხელისუფლების მიერ დათესილი და ნალოლიავები რუსოფობიის ყვავილნარი ჯერ არ დამჭკნარა, თუმცა ფურცლები შემოეძარცვა შესამჩნევად.

ეს ერთი.

მეორე — იმიტომ, რომ იმავე საბჭოთა ქვეყანაში აღიარებული ხალხთა მეგობრობა კომუნისტურ პროპაგანდად მოინათლა და მის გახსენებასაც კი (აღიარებაზე არაფერი რომ არ ვთქვათ) რეტროგრადობის, ანტიეროვნულობის ბეჭედი დაუსვეს ნეოლიბერალებმა და ნაციონალისტებმა.

მანამდეც ასე იყო, ოცდახუთი წლის წინათ, „ხალხის მტრად“ და „მოსკოვის აგენტად“ გამოცხადების პრაქტიკას თუ გავიხსენებთ.

ახლა ხომ გულში გვყავს ჩაკრული აქეთ სომხეთი და იქით — აზერბაიჯანი!

რუსეთზე ხმას როგორ ამოვიღებ...

ახალმა დროებამ ჰქმნა, და ბრჭყალებში ჩასვა „ხალხთა მეგობრობა“ — არა როგორც ჟურნალის სახელწოდება, არამედ თვით ცნება მეგობრობისა ხალხთა შორის.

ბრჭყალებში ჩასმა — თავდაჯერებულის ირონია და დაკნინება რისამე (ან ვინმესი).

თუმცა ეს თქვენც იცით.

შესანიშნავად.

შეცვლილმა დროებამ და ღირებულებათა ჩანაცვლებამ ჟურნალსაც თავისი დაღი დაამჩნია.

ნეგატიური.

**უწინ ჟურნალ „ДРУЖБА НАРОДОВ“-ის ყოველი ნომრის ტირაჟი 2 მილიონი ეგზემპლარი იყო.**

ეს მაშინ, როცა ხალხები ერთ საერთო სოციალისტურ ქვეყანაში ვცხოვრობდით. ფაქტის აღსანიშნავად ვიხსენებ მხოლოდ და არა ნოსტალგიური — ეს რა დაგვემართა! — განწყობილების მოძალების გამო.

შესადარებლად.

დაინგრა იმპერია და ნანგრევებში, უწინარეს ყოვლისა, იდეები მოჰყვა — რაგინდ მაღალი ღირებულებისა.

დაკნინდა მასებისთვის გამიზნული ლიტერატურისადმი მოთხოვნილებაც და შეფასების კრიტერიუმიც, დაეცა კართან დაფენილი ფეხსაწმენდის დონემდე. მკითხველთა რაოდენობამ კატასტროფულად იკლო და ამჟამად „დრუჟბა ნაროდოვ“ ორი ათასი ეგზემპლარი იბეჭდება.

ამდენილა.

სხვა მიზეზებიც იქნებოდა უთუოდ, მაგრამ არც რედკოლეგიას, არც სარედაქციო საბჭოს მთავარი რედაქტორის — **ალექსანდრე ებანოიძის** წინამძღოლობით არ უღალატია არც საკუთარი პრინციპებისთვის, არც ისტორიული გამოცდილებისთვის და მასკულტურის სიტყვამრუშობის ბაზრობაზე ხელნაკეთი პროდუქციის არც ერთი ნიმუში არ გაუტანია.

ამიტომაც არ შეხებია არც ლიტერატურის დევალვაციის, არც ჟურნალისტიკის სიყვითლისკენ ფერისცვალების პროცესი.

**ჟურნალი „ДРУЖБА НАРОДОВ“ რჩება დამოუკიდებელ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცემად, ქართული ლიტერატურის თავგამოდებულ პროპაგანდისტად. წლევანდელ მერვე ნომერშიც ეს კეთილშობილური მისია ბრწყინვალედ არის შესრულებული.**

ამ ნომრის პრეზენტაცია გაიმართა იმ საღამოს, რომლის შესახებ ინფორმაცია წერილის დასაწყისში მოგაწოდეთ.

ჟურნალის პირველი ასეთი ნომერი (სპეციალური) ინიცირებული იყო სარედაქციო კოლეგიის მიერ. იმხანად რედაქციას მხარი დაუჭირა რუსეთში ქართველთა საზოგადოებამ. ამჯერად ინიციატორად სახელმწიფო სტრუქტურა მოგვევლინა, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან არსებული ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი კომუნიკაციების სააგენტო. საინტერესოა, რომ ამავე სააგენტომ წლეულს მხარი დაუჭირა თანამედროვე ქართული მოთხრობების კრებულის გამოცემას „კავკასიონის ქედს მიღმა“.

მისაბაძი მაგალითია.

— დღევანდელი ღონისძიება, — **თქვა ჟურნალის მთავარმა რედაქტორმა ალექსანდრე ებანოიძემ „საქართველო და მსოფლიოს“ კორესპონდენტთან საუბარში,** — სასიამოვნო მოვლენების შედეგია, იმ მოვლენებისა, რომლებშიც აისახა ინტერესი ქართული ლიტერატურის მიმართ რუსეთში და უფრო ფართო მასშტაბითაც. ამავე დღეებში თბილისში ტარდება საერთაშორისო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები არიან თბილისისა და გერმანიის უნივერსიტეტები თემაზე პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული ლიტერატურა. ამ კონფერენციაზე მეც ვარ მიწვეული.



**— ინტერესი არის?**

— რა თქმა უნდა! პირდაპირ გეტყვით, რომ ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მინიმალური დოზები, მაგრამ ამის მიუხედავად, **რამდენიმე ფონდსა და კულტურული ურთიერთობებით დაკავებულ ორგანიზაციას აქვს სურვილი, აღადგინონ, გააუმჯობესონ, დაათბონ ქართულ-რუსული ურთიერთობა.** 2 წლის წინათ ჩამოსულები ვიყავით საქართველოში ვლადიმერ მაიაკოვსკის საიუბილეო ღონისძიებებზე მონაწილეობის მისაღებად, და როცა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ფონდ „რუსული სამყაროს“ წინაშე წარვდექით ჩვენი ანგარიშით ამ მივლინების შესახებ, დაგვარწმუნეს, რომ საქართველოსთან დაკავშირებული ნებისმიერი იდეა მხარდაჭერილი იქნებოდა. ზუსტად ასე გვითხრეს.

**— არ გთრგუნავთ ის ნეგატივიზმი, რომელიც დღეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არის ფესვგადგმული?**

— რას ნიშნავს „არ მთრგუნავს“ და არ მაშფოთებს?! ჩვენ შორის კონფლიქტების დროს მოსკოვის პრესაში ხშირად ვაქვეყნებდი წერილებს, ვცდილობდი, ამეხსნა და დამეცვა საქართველოს პოზიციები. მინდა, გითხრათ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების მთელი ამ 25 წლის განმავლობაში რუსეთის მიერ გადადგმული იყო ისეთი ნაბიჯები, რომლებიც პრორუსულად განწყობილ ნებისმიერ ადამიანს (ჩემ თავს კი ასეთად მივიჩნევ) ხელიდან აცლის არგუმენტებს. პირდაპირ გეტყვით: მე არ მაქვს სერიოზული და პატიოსანი არგუმენტები რუსეთის ზოგიერთი ქმედების ასახსნელად.

**ჟურნალი «ДРУЖБА НАРОДОВ» რჩება დამოუკიდებელ ლიტერატურულ-მხატვრულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცემად, ქართული ლიტერატურის თავგამოდებულ პროპაგანდისტად. წლევანდელ მერვე ნომერშიც ეს კეთილშობილური მისია ბრწყინვალედ არის შესრულებული**



**— აღიარებულია, რომ ლიტერატურა პოლიტიკის გარეშე დგას, მაგრამ ზემოქმედებს პოლიტიკაზე. მიგაჩნიათ, რომ დღევანდელის მსგავსი ღონისძიებები, დღეს და ხვალ თუ არა, პერსპექტივაში მაინც ხელს შეუწყობს რუსეთ-საქართველოს შორის კონფრონტაციის დაძლევას?**

— პოლიტიკური კლიმატის ცოტათი მაინც დათბობას ხელს თუ შეუწყობს, არ იქნება ცუდი. დიდი ზეგავლენა და სერიოზული შედეგები რომ მოჰყვეს, ამაში დარწმუნებული არ ვარ. საჭიროა რაღაც რადიკალური ღონისძიებების განხორციელება, რომლებისთვისაც ჯერჯერობით არც რუსეთი არის მზად, არც — საქართველო. ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაწყვეტა. ძალიან მტკივნეული საკითხია.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ბატონმა ალექსანდრემ დანანებით აღნიშნა, რომ გაუცხოების პოლიტიკამ, უარყოფითად იმოქმედა ჟურნალის საქმიანობაზე, თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ შესამჩნევად შესუსტდა მთარგმნელობითი საქმიანობა, რის გამოც მერვე ნომერში სრულად ვერ წარმოჩნდნენ ახალი თაობის პოეტები, და ამის მიზეზი მხოლოდ პოლიტიკური ურთიერთობის გაცივება არ არის.**

**სარედაქციო წერილში, რომლითაც ჟურნალის ეს ნომერი იხსნება, ნათქვამია: „ჩვენი თხოვნით, ლიტერატორებმა, რომლებიც საქართველოსთან არიან დაკავშირებულები, გაგვიზიარეს თავიანთი შთაბეჭდილებები და მოგონებები. განყოფილება „სიზმრები საქართველოზე“ მკითხველს წარუდგენს „ოცნებათა საქართველოს, ნადიმივით გულუხვს, და საქართველოს სევდიანს...**

**უცვლელი რჩება „სიცოცხლის ნიჭი და ნიჭი უკანონო სიხარულისა“, რომელიც ახასიათებს ამ ქვეყანას და მოწოდებულია, დაეხმაროს საქართველოს ყველა გაჭირვების დაძლევაში“.**

**P.P.S. ამ ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრია ჩვენი სახელოვანი შემოქმედი რეზო გაბრიაძე. საშა ებანოიძე და რეზო გაბრიაძე გასულ პარასკევს შეხვდნენ ერთმანეთს მარიონეტების თეატრთან არსებულ კაფეში, მაგრამ ეს უკვე ცალკე თემაა.**

---

მსოფლიო

## ვიქტორ ორბანი: მიგრანტები ევროპის საზღვრების არსებობას საფრთხეს უქმნიან

**უნგრეთის პრემიერმინისტრ ვიქტორ ორბანის შეფასებით, მიგრანტები ევროპის საზღვრების არსებობას საფრთხეს უქმნიან, ამიტომ ევროკავშირის ქვეყნებმა ამ საკითხზე ერთობლივი პოზიცია უნდა დაიკავონ. ამის შესახებ ურბანმა უნგრეთის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

პარალელურად, უნგრეთის პარლამენტმა კანონი მიიღო, რომელიც მთავრობას უფლებას აძლევს, მიგრაციის კრიზისის მოსაგვარებლად რეგულარული ჯარი გამოიყენოს. კერძოდ, სამხედროებს უფლება მიეცემათ, მიგრანტების წინააღმდეგ რეზინის ტყვიები, ცრემლმდენი გაზი და სხვა არალეტალური იარაღი გამოიყენონ.

წლის დასაწყისიდან ევროკავშირის ტერიტორიაზე 500 000-ზე მეტი მიგრანტი ჩავიდა. ევროკომისიის განცხადებით, მიგრაციული კრიზისი ყველაზე მასშტაბურია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.



პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკელი ექსპერტები თვლიან, რომ რუსეთის ახალი თვითმფრინავები T-50 და CY-35 თავიანთი მონაცემებით გაცილებით აღემატება ამერიკელების საუკეთესო თვითმფრინავებს — F-22-ს, F-35-სა და ჩინურ J-20-ს.**

# მასობრივი განადგურების იარაღი



## წყალბადის «მეფე-ბომბი»

**კაცობრიობის ისტორიაში წყალბადის უმძლავრესი ბომბი სსრკ-ში ახალი მიწის (არქიპელაგი ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში, ბარენცისა და კარსის ზღვებს შორის. არხანგელსკის ოლქის ტერიტორია) პოლიგონზე 1961 წლის 30 ოქტომბერს ააფეთქეს — დაახლოებით 1,5 წლით ადრე, ვიდრე ნიკიტა ხრუშჩოვი ოფიციალურად განაცხადებდა, რომ სსრკ-ს აქვს 100-მეგატონიანი წყალბადის ბომბი.**

ბომბის გამოცდის მიზანი იყო სსრკ-ის სამხედრო სიძლიერის წარმოჩენა. იმხანად აშშ-ის არსენალში არსებული თერმობირთვული ბომბი 4-ჯერ ნაკლები სიმძლავრის იყო.

ბომბი დაამზადა მეცნიერთა ჯგუფმა, რომელშიც იყვნენ **ანდრეი სახაროვი, ვიქტორ ადამსკი, იური ბაბუკი, იური სმირნოვი, იური ტრუტნევი** და სხვები.

**AH602, იგივე „მეფე-ბომბი“** ბომბდამშენ Ty-956-დან ჩამოაგდეს და ის 188 წმ-ის შემდეგ აფეთქდა ზღვის დონიდან 4200 მ-ზე. ატომური სოკო 67 კმ-ის სიმაღლეზე ავიდა, აფეთქების ცეცხლოვანი სფეროს რადიუსი კი 4,6 კმ იყო. აფეთქების დარტყმითმა ძალამ 3-ჯერ შემოუარა დედამიწას, ატმოსფეროს იონიზაციამ კი 100 კმ-ის რადიუსში 40 წთ-ის განმავლობაში შეაფერხა რადიოკავშირი.

აფეთქების ეპიცენტრში ტემპერატურა ისეთი მაღალი იყო, რომ ქვები დაფერფლა.



## ატომური ბომბი

**1945 წლის 16 ივლისს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ალამოგორდოს (ნიუ-მექსიკის შტატი) პოლიგონზე პირველად გამოსცადეს პლუტონიუმის ერთსაფეხურიანი ატომური ბომბი Gadget-ი.**

1945 წლის 6 აგვისტოს აშშ-მა კაცობრიობის ისტორიაში პირველად გამოიყენა ატომური იარაღი ჰიროსიმის (იაპონია) მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, როდესაც 18 კილოტონის ტროტილის ეკვივალენტის ატომური ბომბი Enola Gay ჩამოაგდო. სამი დღის შემდეგ კი, 1945 წლის 9 აგვისტოს, 21 კილოტონის ეკვივალენტის ატომური ბომბი Fat Man-ით ქალაქი ნაგასაკი ააფეთქეს.

2013 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ატომური ბომბების აფეთქებისა და მისგან გამოწვეული დაავადების შედეგად სულ დაღუპულია 450 ათასი ადამიანი: 286,8 ათასი — ჰიროსიმაში, 162,0 ათასი — ნაგასაკიში.

# ყველაზე მძლავრი არმიები

## ამერიკელი ექსპერტების მიერ გამოქვეყნებულ სარეიტინგო სიაში საქართველოს შეიარაღებული ძალები 75-ე ადგილზეა. მას უსწრებენ მეზობელი ქვეყნების — სომხეთისა და აზერბაიჯანის არმიები



**ამერიკულმა ინტერნეტპორტალმა Global Firepower-მა ამა წლის 15 სექტემბერს გამოაქვეყნა მსოფლიოს ყველაზე მძლავრი არმიების სარეიტინგო სია — მსოფლიოს 126 ქვეყნის არმიების სიმძლავრე 50 პარამეტრის მიხედვით არის შეფასებული. აღსანიშნავია, რომ ექსპერტებმა შეფასებისას არ გაითვალისწინეს სახელმწიფოების ატომური პოტენციალი, სამაგიეროდ, გაითვალისწინეს ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა.**

„ძალის ინდექსის“ (Pwrindx) მიხედვით, ყველაზე მძლავრი არმიების ათეული ასეთია: **აშშ („ძალის ინდექსი“ — 0,1661); რუსეთი (0,1865); ჩინეთი (0,2315); ინდოეთი (0,2695); დიდი ბრიტანეთი (0,2743); საფრანგეთი (0,3065); სამხრეთი კორეა (0,3098); გერმანია (0,3505); იაპონია (0,3838); თურქეთი (0,4335).**

126 ქვეყანას შორის საქართველოს შეიარაღებული ძალები 75-ე ადგილზეა („ძალის ინდექსი“ — **1,8423**); მას უსწრებს მეზობელი ქვეყნების — აზერბაიჯანისა (63-ე ადგილი. „ძალის ინდექსი“ — **1,5211**) და სომხეთის (74-ე ადგილი. „ძალის ინდექსი“ **— 18223**) არმიები.

*** სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობის** მიხედვით პირველ ადგილზეა **ჩინეთის** არმია **(2,3 მლნ კაცი),** მეორეზე — **აშშ-ის (1,4 მლნ),** მესამეზე — **რუსეთის (766 ათასი).** საკადრო რეზერვის რაოდენობით კი პირველია რუსეთი (2,48 მლნ); მეორე — ჩინეთი (2,3 მლნ), მესამე — აშშ (1,1 მლნ). სპეციალისტების აზრით, საბრძოლო სულისკვეთებითა და გამოცდილებით რუსი ჯარისკაცები ჯობნიან ამერიკელ და ჩინელ „კოლეგებს“.

*** ბრძოლის წარმოების სახმელეთო სისტემების,** კერძოდ, ტანკების რაოდენობის მიხედვით, პირველ ადგილზეა **რუსეთის** არმია — **15 398 ტანკი** (ძირითადი საბრძოლო ტანკები, მსუბუქი ტანკები და ტანკების გამანადგურებლები ბორბლებზე ან მუხლუხებზე), მეორე ადგილზეა **ჩინეთის** არმია **(9150 ტანკი),** მესამეზე — ამერიკის (8848).

გარდა ამისა, რუსეთს დიდი უპირატესობა აქვს საბრძოლო დაჯავშნილი მანქანების, თვითმავალი ქვემეხებისა და ზალპური ცეცხლის სისტემების რაოდენობის მხრივ. ამ უპირატესობას კიდევ უფრო გაამყარებს რუსეთი არმიისთვის უახლესი ტანკის — **T-14 „არმატას“** — მიწოდებით, რომელიც მალე დაიწყება. ამ მხრივ ამერიკის არმიაში სიახლე არაფერია, თუმცა პენტაგონი იმედოვნებს, რომ შეძლებს ცივი ომისდროინდელი ტანკების — M-1 Abrams-ისა და Bradley-ის მოდერნიზებას.

*** სამხედრო-საჰაერო ძალები.** აქ გათვალისწინებულია სამხედრო თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების რაოდენობა და ლიდერია **აშშ-ის** არმია, რომელსაც **13 892 თვითმფრინავი და ვერტმფრენი** ჰყავს; მეორე ადგილზეა რუსეთი 3 429 საფრენი აპარატით; მესამეზე — ჩინეთი 2860 თვითმფრინავითა და ვერტმფრენით.

თუმცა **ამერიკელი ექსპერტები თვლიან, რომ რუსეთის ახალი თვითმფრინავები T-50 და CY-35 მონაცემებით გაცილებით აღემატება ამერიკელების საუკეთესო თვითმფრინავებს — F-22-ს, F-35-სა და ჩინურ J-20-ს.**

*** სამხედრო-საზღვაო ძალები.** სამხედრო ხომალდების რაოდენობის მიხედვით პირველ ადგილზეა **ჩინეთის არმია (673 ერთეული),** მეორეზეა — **აშშ** (473), მესამეზე — **რუსეთი** (352).

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ფლოტში 20 ავია და ვერტმფრენმზიდია, თითოეული ხომალდის ეკიპაჟი კი 5 ათასი კაცისგან შედგება. რუსეთისა და ჩინეთის შეიარაღებაში ჯერჯერობით თითო-თითო ავიამზიდია. მაგრამ რუსეთი აქტიურად ეწევა საზღვაო ფლოტის გადაიარაღებას და 2-3 წელიწადში მისი საზღვაო ძალები 8 სარაკეტო წყალქვეშა კრეისერით, 16 მრავალმიზნობრივი სუბმარინითა და 54 სხვადასხვა კლასის საზღვაო ხომალდით შეივსება.

*** სამხედრო ბიუჯეტი და ფინანსური მდგომარეობა. აშშ**-ის ყოველწლიური სამხედრო ბიუჯეტი **577,1 მლრდ დოლარია**, **რუსეთის** — **60,4 მლრდ**, **ჩინეთის** — **145 მლრდ.** ამასთანავე, აშშ ფულს, ძირითადად, ხარჯავს ბაზების შენახვაში, ნაკლებ თანხას — გადაიარაღებასა და მოდერნიზებაზე, ჩინეთი და რუსეთი კი — პირიქით.

ქვეყნების საგარეო ვალი გაანალიზებულია ოქროს მარაგის შესაბამისად. **აშშ-ის ვალი 13,91 ტრილიონი დოლარია, ოქროს მარაგი კი — 150,2 მლრდ-ის შესაბამისი.;რუსეთის საგარეო ვალი 714,2 მლრდ-ია, რეზერვი — 515,6 მლრდ; ჩინეთის საგარეო ვალი 863,2 მლრდ-ს შეადგენს, ოქროს რეზერვი კი 3,821 ტრილიონი დოლარია.**

მონაცემებიდან ჩანს, რომ ჩინეთს შესანიშნავი ფინანსური მდგომარეობა აქვს და ეს ქვეყანა კიდევ უფრო გააძლიერებს თავის არმიას. აღსანიშნავია ისიც, რომ ბრძოლაში ცეცხლის სიმძლავრეს დიდწილად განაპირობებს რაკეტები, ამ პარამეტრით კი რუსეთის არმიას უდავო უპირატესობა აქვს.

T-14 „არმატა“



# ლეგენდარული იარაღი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Uzi



**Uzi — ისრაელის ყველაზე პოპულარული საექსპორტო პროდუქტი — 1951 წელს დაამზადა კონცერნმა Israel Military Industries-მა. სახელწოდება Uzi კი ამ იარაღის კონსტრუქტორის — უზიელ გალის პატივსაცემად დაარქვეს.**



Uzi-ის ყველაზე პოპულარული ვარიანტები — მინი და მიკრო — შესაბამისად, 1982 და 1983 წელს შეიქმნა. ამ იარაღით აღჭურვილია 90-ზე მეტი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, აგრეთვე, სპეცდანიშნულების რაზმები.

**დღემდე გამოშვებულია 10 მილიონზე მეტი ეგზემპლარი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

მსოფლიოს გარშემო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95









# კამერუნი — «მინიატურული აფრიკა»

## გეოგრაფიული და დემოგრაფიული მონაცემები

კამერუნი (ოფიციალურად — რესპუბლიკა კამერუნი) ცენტრალური აფრიკის დასავლეთით მდებარე სახელმწიფოა. ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება ნიგერიას, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით — ჩადს, აღმოსავლეთით — ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას, სამხრეთით — გაბონს, რესპუბლიკა კონგოსა და ეკვატორულ გვინეას, აქვს სანაპირო ზოლი ატლანტის ოკეანეზე (ბონის ყურე).

კამერუნი წარმოდგება პორტუგალიური სიტყვებისგან — რიო-დოშ-კამაროიშ, რაც კრევეტების მდინარეს ნიშნავს.

კამერუნის უძველესი მოსახლეობა იყო პიგმეის ტომები. შემდეგ ტერიტორიის სამხრეთი დაიპყრეს ბენუე-კონგოელმა ტომებმა და ბანტუს ხალხებმა. 1884-1916 წლებში კამერუნი გერმანიის კოლონია იყო. 1916 წელს კი იქ საფრანგეთისა და ბრიტანეთის ჯარები შევიდნენ. კამერუნმა დამოუკიდებლობა მოიპოვა 1960 წლის 1 იანვარს.

**კლიმატი.** ქვეყნის სამხრეთში კლიმატი ეკვატორულია — ნესტიანი, ცენტრსა და ჩრდილოეთში — სუბეკვატორული, წვიმიანი ზაფხულითა და მშრალი ზამთრით. ვულკან კამერუნის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კალთები კი მსოფლიოში ერთ-ერთი ტენიანი ადგილია.

სამხრეთში საშუალო ტემპერატურა ზაფხულში პლუს 24-28 გრადუსია, ზამთარში — პლუს 22-24. ჩრდილოეთ რაიონებში: ზაფხულში — პლუს 32-33, ზამთარში — პლუს 26-27.

კამერუნს „მინიატურულ აფრიკას“ უწოდებენ, რადგან მხოლოდ ამ ქვეყანაში შეხვდებით რამდენიმე ბუნებრივ ზონას: ტენიანი ეკვატორული ტყეებით (ატლანტის ოკეანის სანაპიროზე), სავანებითა და







ნახევრად უდაბნოებით.

**ფლორა.** ქვეყნის ტერიტორიის თითქმის ნახევარი ხშირი და მეჩხერი ტყეებითაა დაფარული. ხარობს ფიკუსი, პურის ხე, ევკალიპტი, პალმა, ძვირფასმერქნიანი ხეები: აკაჟუ, ებონიტის ხე, წითელი ხე და სხვ.

**ფაუნა.** ტყეებში ბინადრობენ: შიმპანზე, გორილა, სპილო, ბეჰემოთი, ანტილოპა, ჟირაფი, შავი მარტორქა, სირაქლემა, ლომი, ლეოპარდი, სანაპირო წყლებში 130 სახეობის თევზია, აგრეთვე, კრევეტები და ლანგუსტები.

კამერუნის **ყველაზე მაღალი წერტილია** მოქმედი ვულკანი **კამერუნი** (4100 მ);

**უდიდესი მდინარე — სანაგა (918 კმ), უდიდესი ტბა — ჩადი.**

კამერუნის **ტერიტორია 475442 კვ.კმ-ს შეადგენს** (52-ე მსოფლიოში).

**მოსახლეობა.** 2013 წელს ჩატარებული აღწერის მონაცემების მიხედვით, კამერუნში **20,5 მლნ კაცი** ცხოვრობს (58-ე). მოსახლეობა 200-ზე მეტი ეთნიკური ჯგუფისგან შედგება. მათ შორის ყველაზე







დიდია ფანგი (21%), ბამილიკე (19%), დუალა (11%). ფულბე (10%), ტიკარი (7%).

**დედაქალაქი — იაუნდე (1,8 მლნ).**

**უდიდესი ქალაქები: იაუნდე, დუალა (1,4 მლნ).**

**ოფიციალური ენები: ფრანგული და ინგლისური.**

## მმართველობის ფორმა და რელიგია

კამერუნი რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც საყოველთაო არჩევნების შედეგების მიხედვით 7 წლით ირჩევა, ამჟამად კამერუნის პრეზიდენტია **პოლ ბიია.** აღმასრულებელ ხელისუფლებას ხელმძღვანელობენ პრეზიდენტი და პრემიერმინისტრი.

საკანონმდებლო ორგანო — ეროვნული საკრებულო — 180 დეპუტატისგან შედგება.

კამერუნი დაყოფილია 10 რეგიონად, რომლებშიც 58 დეპარტამენტია გაერთიანებული. დეპარტამენტები, თავის მხრივ, დაყოფილია 327 კომუნად.

**რელიგია.** კამერუნის მოსახლეობის 40% კათოლიკეა, 40% — ადგილობრივი რელიგიური კულტების წარმომადგენლები, 20% — მუსლიმანი.

## ეკონომიკა

ნავთობის საბადოებისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სასიკეთო პირობების წყალობით, კამერუნის ეკონომიკა ერთ-ერთი წარმატებულია აფრიკის კონტინენტზე. მიუხედავად ამისა ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი სიღარიბის ზღვარს ქვევით იმყოფება. უმუშევრობის დონე 30%-ია.

კამერუნს საექსპორტოდ გააქვს ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ხის მერქანი, ალუმინი, ყავა, კაკაო, ბამბა, მარცვლეული, ზეთისხილი.

ქვეყნის **მთლიანი შიგა პროდუქტი 42,2 მლრდ დოლარია, მოსახლეობის ერთ სულზე — 2770 დოლარი.**

ვალუტა — **ფრანკი (ცენტრალური აფრიკის 6 ქვეყნის ფინანსური თანამშრომლობის ვალუტა). 1 ფრანკი უდრის 0,0017 აშშ დოლარს.**

**ინტერნეტდომენი: cm**

**სატელეფონო კოდი: +237**

**საათობრივი სარტყელი: UTC +1**

## კულტურა

კამერუნში მცხოვრებმა თითოეულმა ეთნიკურმა ჯგუფმა თავისი წვლილი შეიტანა კამერუნული კულტურის ჩამოყალიბებაში ამ ქვეყნის პოეზია სწორედ კამერუნის ხალხების ცხოვრებიდან იღებს სათავეს. ცნობილი კამერუნელი მწერლები არიან: **მონგო ბეტი, ოიონო და მატიპი.**

კამერუნელებმა მსოფლიოში გაითქვეს სახელი ნიღბების, სტატუეტებისა და სხვა არტეფაქტების დამზადებით. პოპულარულია, აგრეთვე, კამერუნული მუსიკა — მაკოსა.

**ღირსშესანიშნაობები.** ფაუნისტური ნაკრძალი ჯა, სადაც 1500 სახეობის მცენარე ხარობს და 107 სახეობის ძუძუმწოვარი ბინადრობს. ტროპიკული ნაციონალური პარკი სანგა, ნაციონალური პარკი ვაზა, ვულკანი კამერუნი; იაუნდეში — კამერუნის ხელოვნების მუზეუმი; დუალაში — მთავრობის მოედანი; კრიბი — საზღვაო კურორტი ებუნჯასა და ლონჯის რაიონებში.




## ნდოლე

**ნოყიერი ნდოლე კამერუნში პოპულარული კერძია, რომელსაც სადღესასწაულოდ ამზადებენ.**

| | | |
|---|---|---|
| **ინგრედიენტები (4 ულუფისათვის):** | * არაქისი — 200 გრ<br>* კრევეტები — 200 გრ<br>* ხბოს ხორცი (ბეჭი) — 200 გრ<br>* ნიორი — 4 კბილი | * ხახვი — 2 თავი<br>* ზეითუნის ზეთი — 100 გრ<br>* ისპანახი — 450 გრ<br>* ქათმის ბულიონი — 200 გრ |

**მომზადება:**

**1. ქვაბში მოხარშეთ პატარა ნაჭრებად დაჭრილი ხბოს ხორცი 1 ხახვთან ერთად;**

**2. არაქისი ცალკე ქვაბში მოხარშეთ 10 წუთის განმავლობაში, გააცივეთ და ბლენდერში დააქუცმაცეთ. მიღებული მასა გადაიტანეთ ხორციან ქვაბში;**

**3. ხახვის ნახევარი და ნიორი ჩაყარეთ ჯამში, შემდეგ დაუმატეთ ისპანახი და მოხარშეთ;**

**4. ტაფაზე დაასხით ზეითუნის ზეთი და შებრაწეთ კრევეტები დარჩენილ ხახვთან ერთად. შემდეგ კი ხორციან ქვაბში გადაიტანეთ და დაუმატეთ ბულიონი;**

**5. მიღებული მასა აურიეთ და ცეცხლზე კიდევ 5 წუთის განმავლობაში დატოვეთ. კერძი ცხელი მიიტანეთ სუფრაზე.**



## სამზარეულო

მიუხედავად იმისა, რომ კამერუნში კერძების უმრავლესობა ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების ტრადიციების მიხედვით მზადდება, მათი საკმაო რაოდენობა მსოფლიოს სხვა ქვეყნების სამზარეულოს გავლენას განიცდის, განსაკუთრებით — ბრიტანეთის, პორტუგალიის, ინდოეთისა და მუსლიმანური ქვეყნების.

კამერუნული კერძები სიცხარით გამოირჩევა და, ძირითადად, ცხვრის, საქონლისა და ქათმის ხორცისგან მზადდება. პოპულარულია ბოსტნეულის სალათებიც.

**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სკამი ადრენალინის მოსაზღვავებლად

**გერმანელმა დიზაინერმა ტორსტენ ფრანკმა დამაბალანსებელი სკამები შექმნა. სკამებს მკვეთრი ფერის დასაჯდომი აქვს, ამიტომ, თუ სახლს ფერადი აქცენტები აკლია, რამდენიმე ამგვარი სკამის დამატება განსაკუთრებულ ატმოსფეროს შექმნიდა.**

თუმცა სკამის ფერი მთავარი არ არის, მასზე წონასწორობის შენარჩუნება ძნელი – კვერცხის ნაჭუჭის პრინციპით შექმნილი სკამის სიმძიმის ცენტრი ქვედა ნაწილზეა ფოკუსირებული, ამიტომ მასზე ჯდომა და წონასწორობის შენარჩუნება ნამდვილი ადრენალინის წყაროა.







# ქალი, რომელმაც 400 კილო დაიკლო

**მაირა ლიზბეთ როსალესი ისეთ სიტუაციაში იმყოფებოდა, რომლიდანაც თითქოს არ არსებობდა გამოსავალი. ქალი დაახლოებით 500 კილოგრამს იწონიდა და საწოლს იყო მიჯაჭვული. საწოლშიც კი არ შეეძლო ნორმალურად მოძრაობა. ექიმები სიმსუქნის ასეთ ფორმას პათოლოგიას უწოდებენ.**

ნებისყოფის, 11 ოპერაციის, სპეციალური დიეტისა და ვარჯიშების დახმარებით მაირამ 400 კილოგრამი დაიკლო და ცხოვრების მეორე შანსი მიიღო. **„მე ვკვდებოდი. არ ვიცი, გინახავთ თუ არა ჩემი ფოტოები წონის კლებამდე, მაგრამ ეს საშინელება იყო. ახლა 30 კილოგრამი მაქვს დასაკლები“,** — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში როსალესმა. დღეისათვის მაირა გამაჯანსაღებელ პროგრამას უდგას სათავეში და მაგალითს აძლევს ათასობით ადამიანს. მას საკუთარი საიტი აქვს, ხოლო „ფეისბუქ“ გვერდზე 30 000-მდე მომწონებელი ჰყავს. **„არასოდეს დაკარგოთ იმედი და განაგრძეთ ბრძოლა. ჩვენ მხოლოდ ერთხელ ვცოცხლობთ, ეს ღირს ბრძოლად“,** — ამბობს მაირა.



# მეცნიერებმა ახალი გალაქტიკა აღმოაჩინეს

**ასტროფიზიკოსებმა აღმოაჩინეს გალაქტიკა, რომელიც, სავარაუდოდ, სხვა გალაქტიკასთან შეტაკების შედეგად წარმოიქმნა.** გალაქტიკას „კეტრინის ბორბალი“ ეწოდა და ის დედამიწისგან დაახლოებით 30 მილიონი სინათლის წელიწადითაა დაშორებული, ეს შვიდჯერ უფრო ახლო მანძილია, ვიდრე სხვა მსგავსი აღმოჩენები, რომლებიც აქამდე გაკეთებულა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ „კეტრინის ბორბალი“ წარმოიქმნა სხვა გალაქტიკასთან პირდაპირი შეჯახების შედეგად. გალაქტიკა ირმის ნახტომის სამხრეთ ნაწილის შესწავლისას ავსტრალიაში არსებული Schmidt Telescope-ს მეშვეობით აღმოაჩინეს.



# შავი ხვრელიდან გამოსავალი არსებობს

**პროფესორ სტივენ ჰოკინგის განცხადებით, შავ ხვრელში მოხვედრის შემდეგ შესაძლებელია, ადამიანი გადარჩეს. ფიზიკოსი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ მატერიას შავი ხვრელის გიგანტური გრავიტაციული ძალა გაანადგურებს, მაგრამ შესაძლებელია, მატერია გაექცეს მას და სხვა განზომილებაშიც კი გადაინაცვლოს.**



ეს თეორია ხსნის „ინფორმაციულ პარადოქსს“, რომელზეც მეცნიერები ათწლეულების განმავლობაში თავს იმტვრევენ. ასეა თუ ისე, ჰოკინგის ახალი თეორიის მიხედვით, ყველაფერი, რაც შავ ხვრელში მოხვდება, გაიჭედება სფეროში, რომელიც ხვრელს გარს არტყია და რომელსაც ვერ გაექცეოდი.

ჰოკინგი ირწმუნება, რომ ყველაფერი, რაც იქ მოხვდება, შესაძლებელია ჩვენს სამყაროში დაბრუნდეს ან პარალელურ სამყაროში მოხვდეს.

**„თუ გრძნობთ, რომ შავ ხვრელში ხართ, არ დანებდეთ, არსებობს გამოსავალი“,** — აცხადებს **სტივენ ჰოკინგი.** ამასთან, ჰოკინგს სწამს, რომ რადიაცია, რომელსაც შავი ხვრელი ასხივებს, მისგან თავის დაღწევის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, იქიდან ინფორმაცია გამოიტანო.

# ბუნების ამოუხსნელი საიდუმლოებანი

**მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მეცნიერება ბუნების კანონების შეცნობაში საგრძნობლად წინ წავიდა, მაინც უამრავი რამ რჩება ამოუხსნელი.**



ძროხები ჭამის დროს თავით ყოველთვის დედამიწის მაგნიტური პოლუსისკენ იხრებიან, არ აქვს მნიშვნელობა ამინდს ან სხვა ფაქტორებს. არავინ იცის, რატომ ხდება ასე. თუმცა, უკვე დიდი ხანია, ცნობილია, რომ ზოგიერთ ცხოველს გააჩნია „შინაგანი კომპასი“.

მეცნიერება ამტკიცებს, რომ ზღვის ცხოველების ნაწილი ევოლუციის პროცესში მიწაზე ადვილად გადაადგილდებოდა, თუმცა უცნობია, რატომ დაუბრუნდნენ წყალს ზვიგენების წინაპრები. ხმელეთზე მცხოვრები არსებისთვის გაცილებით რთულია წყალში დაბრუნება, ვიდრე პირიქით. სწორედ ეს იწვევს მეცნიერების გაოცებას.

მცენარეები ხშირად გამოყოფენ ნივთიერებებს, რომლებიც ცხოველზე, რომელიც ამ მცენარეებს სინჯავს, უცნაურ გავლენას ახდენს. ასეთ ნივთიერებებს ალკალოიდები ეწოდება. ალკალოიდების ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული სახეობაა მორფი. რატომ გამოყოფს მცენარე ამ ნივთიერებებს, მეცნიერებისთვის გამოცანად რჩება.

ყვავილები ყველგან გვხვდება, კლიმატის მიუხედავად. ასე იყო ყოველთვის. დაახლოებით 400 მილიონი წლის წინათ ყვავილებმა ფლორის სხვა წარმომადგენლები შეავიწროვეს. ამ პრობლემის გადაჭრაზე მუშაობდა მთელი ცხოვრება ჩარლზ დარვინი და მას „საშინელ საიდუმლოს“ უწოდებდა.

ფიტოპლანქტონი ორგანიზმების კლასია. ის ზღვის მცენარეებში გვხვდება და მთელ მსოფლიოში არის მოფენილი. ამ ორგანიზმების მრავალფეროვნება ეჭვქვეშ აყენებს ევოლუციის თეორიას და ბუნებრივი შერჩევის პროცესს. რესურსების უკმარისობა ასეთი დიდი სხვაობის მქონე ორგანიზმების ეკოსისტემაში გადარჩენის შანსს შეუძლებელს ხდის, თუმცა ისინი მაინც ცოცხლობენ.

# ნახევრად მცენარე და ნახევრად ცხოველი

**არსებობს ლოკოკინების რამდენიმე სახეობა, რომლებსაც ორგანიზმში გააჩნიათ ქლოროფილი და შეუძლიათ, საკვები მზის სხივისგან მიიღონ.**

ზღვის ლოკოკინა Elysia chlorotica ახერხებს, რამდენიმე თვე მზის სხივების ხარჯზე იცხოვროს, როგორც მცენარემ. ეს ცხოველი გენებს პარავს წყალმცენარეებს, რომლებითაც იკვებება. გენები კი მას ფოტოსინთეზის განხორციელებაში ეხმარება.



ლოკოკინა Elysia chlorotica იკვებება წყალმცენარე Vaucheria litoera-თი. 1970 წელს მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ლოკოკინა ქლოროპლასტებს არ ინელებს, მომნელებელ სისტემაში ქლოროპლასტი აგრძელებს ფოტოსინთეზს ცხრა თვის მანძილზე (გაცილებით დიდხანს, ვიდრე წყალმცენარეების ორგანიზმში). ამ გზით გამოიმუშავებს ნახშირწყლებსა და ცხიმებს, რომელიც ლოკოკინას საკვებ ღირებულებას სძენს. კვების ცხოველურ რეჟიმში გადასვლა ლოკოკინას მაშინ უწევს, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში ხვდება სიბნელეში, რადგან სიბნელეში ქლოროპლასტები კვდებიან.






## დიეტური სასმელები ასუქებს

**სასმელები, რომლებსაც კალორიების ნული ან მინიმალური შემცველობა აქვთ და რომელსაც ასაღებენ, როგორც დიეტურს, სინამდვილეში საპირისპირო ეფექტს იძლევა.** ასეთ დასკვნამდე ილინოისის შტატის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფი მივიდა. დადგინდა, რომ ვინც დაბალკალორიულ სასმელს იღებდა, შემდეგ გაცილებით ბევრს ჭამდა. მეცნიერები თვლიან, ვისაც სასმელით კალორიები არ მიუღია, თავს უფლებას აძლევს, ტორტის დამატებითი ნაჭერი მიირთვას. მეორე ვერსიით კი, ასეთი სასმელი, უბრალოდ, უსარგებლოა ორგანიზმისთვის და მისი კომპენსირება სხვა საჭმლით ხდება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე ძვირად ღირებული ჯიპი

**მომავალი წლიდან მსოფლიოს ახალი ყველაზე ძვირადღირებული ყველგანმავალი ეყოლება — Bentley Bentayga.**



ულტრა-ლუქს კლასის პირველი **SUV**-ის ფასი ამერიკაში 229 100 დოლარიდან დაიწყება, ბრიტანეთში — 160 200 ფუნტიდან, გერმანიაში კი — 208 500 ევროდან. სავარაუდოდ, **Bentayga** მხოლოდ რამდენიმე წლით შეინარჩუნებს ყველაზე ძვირად ღირებული ქროსოვერის წოდებას, ვინაიდან 2018 წლიდან ამ ტიტულს მოიპოვებს **Rolls-Royce**-ის ახალი პროექტი, სამუშაო სახელწოდებით **Project Cullinan.** სავარაუდოდ, მისი ღირებულება 400 ათას დოლარს გადააჭარბებს.

ამ დროისთვის კი ბაზარზე ყველაზე ძვირად ღირებული ჯიპები 218 000 დოლარად ღირებული **Mercedes-Benz G65 AMG** და **Land Rover Range Rover SV Autobiography**-ია, რომელიც 200 000 დოლარი ღირს. ამდენივე ღირს ისეთი ქროსოვერებიც, როგორიცაა **Lamborghini Urus, Aston Martin DBX** და **Maserati Levante,** რომელთა გაყიდვებიც, ასევე, მომდევნო წლებში იგეგმება.



„ბენტაიაგა“ აღიჭურვება 12-ცილინდრიანი ორმაგი-ტურბო ძრავით, რომელსაც **Volkswagen Group**-ისგან მიიღებს და რომლის სიმძლავრეც 608 ცხენის ძალა იქნება. ამ მონაცემების თანახმად, **Bentayga** არა მხოლოდ ყველაზე ძვირადღირებული, არამედ ყველაზე მძლავრი სერიული წარმოების ქროსოვერიც იქნება. მისი მაქსიმალური სიჩქარე 301 კმ/სთ-ს მიაღწევს.

კომპანიაში იმედოვნებენ, რომ 2017 წელს (სრული საწარმოო წლის განმავლობაში) „ბენტაიაგას“ 3 500 ერთეულს გაყიდიან.



# «სისხლიანი მთვარეები» სამყაროს აღსასრულს არ მოასწავებს

**ამერიკის აეროკოსმოსური სააგენტო ოფიციალური განცხადებით გამოვიდა, რომ „სისხლიანი მთვარეები“, რომლებსაც მასშტაბურად განიხილავენ ინტერნეტში, არ გამოიწვევს სამყაროს აღსასრულს.**

სისხლიანი მთვარე არის პირობითი სახელწოდება მთვარის დაბნელებათა სერიისთვის, რომლებიც ებრაულ დღესასწაულებს ემთხვევა.

ბოლო თვეებია, ინტერნეტში ფართოდ საუბრობენ 28 სექტემბრისთვის მოსალოდნელ სამყაროს დასასრულზე. მომხმარებლების აზრით, აპოკალიფსი მას შემდეგ უნდა მოხდეს, რაც ცაზე ოთხი სისხლიანი მთვარე გამოჩნდება. ამის შემდეგ დედამიწას ასტეროიდი დაეჯახება.

ნასას თქმით, დედამიწის ასტეროიდთან შეჯახების ყველაზე მაღალი რისკიც კი 0,01 პროცენტს არ აჭარბებს და ამ წლის სექტემბერში, სააგენტოს მონაცემებით, ჩვენი პლანეტა არანაირ ციურ ობიექტთან არ იქნება სიახლოვეს. ამას გარდა, ნასაში ისიც აღნიშნეს, რომ უახლოესი ასი წლის მანძილზე დედამიწას ასტეროიდების დაცემის საფრთხე არ ემუქრება.



# მეცნიერებმა ადამიანის ახალ სახეობას მიაკვლიეს

**სპალეოლოგებმა სამხრეთ აფრიკაში მდებარე ამომავალი ვარსკვლავის გამოქვაბულთა სისტემაში ადამიანის ახალი სახეობის ნეშტს მიაგნეს. გამოქვაბულში, რომელსაც „დინალედის კამერა“ ეწოდა, ჰუმანოიდების იმ სახეობის ჩონჩხის ფრაგმენტები აღმოაჩინეს, რომელიც სრულიად ახალია მეცნიერებისთვის და ადამიანის წინაპრად გვევლინება.**

სამხრეთ აფრიკის უნივერსიტეტის ანთროპოლოგმა ლი ბერგერმა, რომელიც კვლევას ხელმძღვანელობდა, აღმოჩენილი ნარჩენები უკვე შეისწავლა და კვლევის შედეგებიც გამოაქვეყნა. ჰუმანოიდების ახალმა სახეობამ „ჰომო ნალედის“ (ნალედი სამხრეთ აფრიკულ ენაზე „ვარსკვლავს“ ნიშნავს) სახელწოდება მიიღო. ის უცნაური კომბინაციაა — ერთდროულად ჰომოს სახეობის მახასიათებლებით და ავსტრალოპითეკების სახეობის მახასიათებლებით (იმ სახეობის, რომლიდანაც ჰომო წარმოიშვა).

აღმოჩენილი ნარჩენების კვლევის შედეგად მეცნიერები ვარაუდობენ, რომ „ჰომო ნალედის“ სიმაღლე მეტრ-ნახევარს აღწევდა, ხოლო წონა, საშუალოდ, 46 კილოგრამი იყო. პირველადი შეფასებით, აღმოჩენილი ფრაგმენტები 2,5-დან 2,8 მილიონი წლის წინანდელია. მეცნიერთა თქმით, გამორიცხული არ არის, რომ „ჰომო ნალიდი“ ცეცხლსაც იყენებდა. ამ დასკვნის საფუძველს მეცნიერებს აძლევს ფრაგმენტების ისეთ ბნელ გამოქვაბულში აღმოჩენა, სადაც ცხოვრებისთვის სინათლის წყარო აუცილებელი იყო.



# მიწისქვეშა სკოლა იტალიაში

**არქიტექტურულმა ბიურომ Cleaa Claudio Lucchin & architetti associati იტალიის ქალაქ ბოლცანოში სკოლის მიწისქვეშა ფართი დააპროექტა. პროექტის განხორციელებას 6 420 000 ევრო დასჭირდა.**

სკოლა Hanna Arendt ქალაქის ისტორიულ ცენტრშია განლაგებული, მაგრამ თანამედროვე კონსტრუქცია შუშის ზედაპირით მის ჰარმონიას არ არღვევს.

პროექტის განხორციელების შემდეგ სკოლის სტანდარტულ შენობას დაემატა ოთხი სართული ცხრა ახალი საკლასო ოთხით, ასევე, ექვსი კაბინეტი სემინარებისთვის და პატარა ბაღი, რომელიც მიწის ქვეშ 17 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს. შუშის სახურავიდან სკოლაში მზის შუქი ჩადის, ხოლო ვენტილაციის ხარისხიანი სისტემა ხელს უწყობს ჰაერიდან ზედმეტი ნესტის შთანთქმას.



# სიკვდილის სუნი

**ბრიტანელმა მეცნიერებმა უახლესი ექსპერიმენტების შედეგად გაარკვიეს, თუ როგორი სუნი ასდის სიკვდილს. დადგინდა, რომ სიკვდილი ახალმოთიბული ბალახის სურნელს აფრქვევს. კვლევის შედეგებით, ზუსტად ასეთი სუნი ასდის ახალგარდაცვლილ ადამიანს და ყველა სხვა ძუძუმწოვარს, სანამ სხეულის გახრწნა დაიწყება.**



დიდი ხანია, ეს თემა მეცნიერებს აინტერესებდათ. მეოცე საუკუნის დასაწყისში გაარკვიეს, რომ სუნის ორი მთავარი კომპონენტი იყო ორი ნივთიერება — კადავერინი და პუტრესცინი — მოლეკულები, რომლებიც გვამის გახრწნის დროს ჩნდება.

თავის მხრივ, დიდ ბრიტანეთში ჰადერსფილდის უნივერსიტეტის პროფესორმა ანა უილიამსმა და მისმა კოლეგებმა გამოიჩინეს ინტერესი იმ საკითხისადმი, თუ როგორი სუნი ასდიოდა ადამიანს ზუსტად იმ წუთში, როდესაც მისი სიცოცხლე მთავრდებოდა.

ამ მიზნებისთვის მკვლევარებმა შეიძინეს სიკვდილის პირას მყოფი ღორები, მოათავსეს ისინი ჰერმეტულ ყუთებში, რომლებიც მიკრობებისგან იყო დაცული, და ყოველ საათში იღებდნენ ჰაერის სინჯს. რამდენიმე დღის შემდეგ მათ შეისწავლეს აღებული სინჯების ქიმიური შემადგენლობა.

სპეციალისტების აზრით, მათი კვლევები დაეხმარებათ კრიმინალისტებს ძაღლების გაწვრთნაში ახალგარდაცვლილი ადამიანების აღმოსაჩენად. აგრეთვე, ეს კვლევები შეიძლება სათავეში ჩაუდგეს ადამიანის სიკვდილის დროის განსაზღვრის მეთოდიკას.

## სასარგებლო რჩევები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბევრი ამბობს ხოლმე: „მე ვიცი ჩემი ნორმა!“, მაგრამ სინამდვილეში ადამიანისთვის ალკოჰოლის მიღების ზუსტი ნორმა არ არსებობს — შეუძლებელია, განისაზღვროს, რა რაოდენობით შეიძლება ლუდის, არყის ან სხვა ალკოჰოლური სასმელის დალევა ისე, რომ ადამიანმა ნორმალური მდგომარეობა შეინარჩუნოს.**

# ალკოჰოლი, მძღოლი და ავტომობილი



**წვეულებები, მეგობრებთან შეხვედრები, როდესაც ალკოჰოლური სასმელის დალევას ვერ ასცდებით, ხშირია და ზოგჯერ — სპონტანურიც. ბევრი მძღოლისთვის ნაცნობი სიტუაციაა, როცა წინა დღეს წვეულებაზე (რა თქმა უნდა, ალკოჰოლური სასმელით) უნდა იყოს, მეორე დღეს კი ფხიზელი და მხნე ავტომობილის საჭეს უნდა მიუჯდეს.**

ბუნებრივია, ნორმალური ადამიანი ფიქრობს იმაზე, რამდენი უნდა დალიოს, მეორე დღეს ნაბახუსევმა რომ არ შეაწუხოს.

რა დროა საჭირო ორგანიზმიდან ალკოჰოლის გამოსვლისთვის და როგორ დავაჩქაროთ ეს პროცესი?

ორგანიზმზე ალკოჰოლის ზემოქმედების პერიოდი დამოკიდებულია არა მხოლოდ მის კონცენტრაციაზე სისხლში, არამედ ლორწოვანი გარსის მიერ ალკოჰოლის შეწოვის სიჩქარეზე. ამ შემთხვევაში ყველაფერი დამოკიდებულია, როგორ განწყობაზე იყო ადამიანი, როდესაც ალკოჰოლურ სასმელს სვამდა — დათრგუნვილ მდგომარეობაში ალკოჰოლის გამოსვლას ორგანიზმიდან უფრო მეტი დრო სჭირდება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, დანაყრებული იყო თუ არა ადამიანი. მშიერმა, სასურველია, საერთოდ არ მიიღოს სპირტიანი სასმელი, რადგან ეს იწვევს არა მხოლოდ სწრაფად დათრობას, არამედ ახანგრძლივებს ალკოჰოლის ტოქსიკურ მოქმედებასაც.

**ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ორგანიზმიდან ალკოჰოლის გამოდევნის სიჩქარეზე:**

* წლოვანება;
* სქესი;
* დაავადებები;
* ალკოჰოლური სასმელის სახეობა (ლუდი, არაყი, ღვინო და ა.შ.);
* სასმელის სიმაგრე;
* მიღებული ალკოჰოლის რაოდენობა;
* საჭმელი;
* ალკოჰოლური სასმელის მიღების რეგულარულობა.

თრობის ხარისხსა და ხანგრძლივობაზე მოქმედებს ფსიქოტროპული, ტკივილგამაყუჩებელი და სხვა საშუალებები, რომლებიც ალკოჰოლთან ერთად შეიძლება იქნას მიღებული.

ბევრი ამბობს ხოლმე: „მე ვიცი ჩემი ნორმა!“, მაგრამ სინამდვილეში ადამიანისთვის ალკოჰოლის მიღების ზუსტი ნორმა არ არსებობს — შეუძლებელია, განისაზღვროს, რა რაოდენობით შეიძლება ლუდის, არყის ან სხვა ალკოჰოლური სასმელის დალევა ისე, რომ ადამიანმა ნორმალური მდგომარეობა შეინარჩუნოს.

მაგალითად, კარგად დასვენებულ ადამიანს გაცილებით მეტი ალკოჰოლური სასმელის დალევა შეუძლია, ვიდრე დაღლილს.

ალკოჰოლის ორგანიზმიდან გამოსვლის დრო სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვანაირია.

### ალკოჰოლის დაშლა ორგანიზმში

ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ ალკოჰოლი 1 სთ-ის განმავლობაში ნაწილდება ქსოვილებსა და ორგანოებში. შემდეგ იწყება მისი დაშლა-გამოდევნა. სამედიცინო ენაზე ამ პროცესს ღვიძლში ალკოჰოლის დაჟანგვა ეწოდება. **დაჟანგვის საშუალო მაჩვენებელი 1 კგ-ზე საათში 90-135 მგ-ია, ანუ 150 გრ არყის (1 პრომილე) დალევის შემთხვევაში საჭეს 8-10 სთ-ის განმავლობაში არ უნდა მიუჯდეთ.**

## რა დრო სჭირდება ალკოჰოლის გამოსვლას ორგანიზმიდან და როგორ დავაჩქაროთ ეს პროცესი

### ორგანიზმიდან ალკოჰოლის სრულად გამოდევნის დრო

| სასმელში ალკოჰოლის შემცველობის პროცენტი | სასმელი | წონა: 60 კგ | 80 კგ | 100 კგ |
|---|---|---|---|---|
| 5% | 0,5 ლ ლუდი | 3 სთ 38 წთ | 2 სთ 43 წთ | 2 სთ 11 წთ |
| 8% | 0,5 ლ მაგარი ლუდი | 5 სთ 4 წთ | 4 სთ 21 წთ | 3 ს 29 წთ |
| 9% | 0,5 ჯინ-ტონიკი | 6 სთ 32 წთ | 4 სთ 54 წთ | 3 სთ 55 წთ |
| 11% | 0,5 ლ ღვინო | 8 სთ | 6 სთ | 4 სთ 47 წთ |
| 24% | 0,5 ლ ნაყენი | 17 სთ 24 წთ | 13 სთ | 10 სთ 26 წთ |
| 40% | 0,5 ლ არაყი | 29 სთ | 21 სთ 45 წთ | 17 სთ 30 წთ |
| 42% | 0,5 ლ კონიაკი | 30 სთ 30 წთ | 23 სთ | 18 სთ 20 წთ |
| 43% | 0,5 ლ ვისკი | 31 სთ 11 წთ | 23 სთ 25 წთ | 18 სთ 42 წთ |



ალკოტესტი

### როგორ დავაჩქაროთ ალკოჰოლის დაჟანგვის პროცესი?

* თუ ბანკეტზე, დაბადების დღეზე, ქორწილში ან სხვა ღონისძიებაზე იმყოფებით, ალკოჰოლური სასმელის დალევამდე კარგად დანაყრდით. ასე უფრო არ მოგეკიდებათ სასმელი და ორგანიზმიდანაც იოლად გამოიდევნება.

* ჭამეთ ბევრი ხილი, განსაკუთრებით C ვიტამინით მდიდარი — ფორთოხალი, გრეიპფრუტი და ა.შ. ფრუქტოზა სწრაფად შლის ალკოჰოლს, რაც ხელს უწყობს ორგანიზმს, უფრო იოლად გადაამუშაოს ალკოჰოლური სასმელი.

* თავი აარიდეთ სუფრასთან დიდხანს ჯდომას. გადით სუფთა ჰაერზე, იმოძრავეთ, იცეკვეთ.

* მიიღეთ ბევრი სითხე — სასურველია ხილის წვენი ან, უბრალოდ, წყალი.

*წვეულებიდან შინ დაბრუნებულმა დალიეთ ბევრი რძე ან მიირთვით რძის პროდუქტები — ხაჭო, ნადუღი, არაჟანი და დაიძინეთ.

თუ ამ რჩევებს გაითვალისწინებთ, მეორე დილით ნაბახუსევი აღარ შეგაწუხებთ.

### რამდენია მძღოლისთვის ალკოჰოლის დასაშვები რაოდენობა სისხლში

საჭესთან მჯდომი მთვრალი მძღოლი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ სხვასაც.

საქართველოს კანონით, მძღოლი მთვრალად ითვლება, თუ ტესტირებისას მას სისხლში ეთანოლის რაოდენობა 0,3 პრომილეზე (პრომილე — ლათ. per mille — ათასზე — მთელის მეათასედი ნაწილი, ესე იგი, პროცენტის მეათედი ნაწილი; აღინიშნება სიმბოლოთი. ამ შემთხვევაში ნიშნავს, რომ ადამიანის ყოველი ერთი ლიტრი სისხლი შეიცავს 1 მლ სუფთა ალკოჰოლს) მეტი აღმოაჩნდა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, **„სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისთვის თავის არიდება გამოიწვევს:**

* სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 6 თვით შეჩერებას;

* 18 წელს მიუღწეველი პირებისთვის — სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 1 წლით შეჩერებას;

თუ მძღოლი ადმინისტრაციული სახდელის მოქმედების ვადაში კვლავ ჩაიდენს იმავე ქმედებას, იგი დაჯარიმდება 1000 ლარით და მართვის უფლება შეუჩერდება 2 წლით.

# როგორ მოვუაროთ ფეხსაცმელს შემოდგომის პერიოდში

**თქვენი საყვარელი ფეხსაცმელი წარმატებით მოგემსახურებათ შემოდგომის პერიოდში, თუ ქვემოთ მოყვანილ რეკომენდაციებს გაითვალისწინებთ. სპეციალური საშუალების გამოყენებით ფეხსაცმელს დროულად მოაშორეთ ჭუჭყი და ტალახი და ის მუდამ შესანიშნავ ფორმაში იქნება. ჯერ კიდევ შეუშრობელი ჭუჭყისა და ტალახის მოცილება გაცილებით ადვილია, ვიდრე მოგვიანებით, როცა უკვე გახმება და ზედაპირს მიეკრობა.**



**ნატურალური ტყავი**

1. გაწმინდეთ ფეხსაცმელი მშრალი ჩვრით;
2. წაუსვით ორგანულ გამხსნელზე დამზადებული კრემი;
3. გააშრეთ;
4. გააპრიალეთ ზამშის ან ხავერდის ნაჭრით.

**ზამში, ნუბუკი**

1. ფეხსაცმელი გაწმინდეთ რეზინის ჯაგრისით;
2. წაუსვით ფეხსაცმლის კრემი;
3. იმისათვის, რომ გაპრიალდეს, ფეხსაცმლის ზედაპირი გაწმინდეთ ნიშადურში დასველებული ბამბით და გააშრეთ;
4. ზედაპირს გადაუსვით თხელი ზუმფარის ქაღალდი ან ხავერდის, ან ზამშის ნაჭერი.

**ლაკი**

დაბალ ტემპერატურაზე ლაკის ფეხსაცმლით სიარული რეკომენდებული არ არის.

ლაკის ფეხსაცმელს პერიოდულად გადაუსვით რძეში ან გლიცერინში დასველებული ღრუბელი.

ნაკერებზე, ტენი რომ არ გაატაროს, წაუსვით მცენარეული ზეთი.

ფეხი რომ არ აგიცურდეთ, ფეხსაცმელს ძირზე წაუსვით უმი კარტოფილი.

**უსიამოვნო სუნი**

ფეხსაცმელი შიგნიდან დაამუშავეთ წყალბადის ზეჟანგით ან სხვა საშუალებით.

**ნაოჭები ფეხსაცმელზე**

ნაოჭებს გადაუსვით ძმარში დასველებული ღრუბელი.

**ლაქების ამოყვანა**

1. ლაქები გაწმინდეთ ბენზინში ან სკიპიდარში დასველებული ნაჭრით;
2. პრობლემურ ზონას გადაუსვით კრემი;
3. ლაქის ადგილი გააპრიალეთ.

**ეს მნიშვნელოვანია!**

1. ფეხსაცმელი გაწმინდეთ შინ დაბრუნებისთანავე;
2. ფეხსაცმელი თაროზე დადეთ — მას გასაშრობად ჰაერი სჭირდება;
3. ფეხსაცმელები რიგრიგობით ჩაიცვით;
4. გამოიყენეთ ფეხსაცმლის ზედაპირის შესაბამისი კრემები;
5. ვიდრე გააშრობდეთ, ფეხსაცმლიდან ამოიღეთ საფენები;
6. არასოდეს გააშროთ ფეხსაცმელი რადიატორთან ახლოს ან გამათბობელთან;
7. კრემით დამატებით დაამუშავეთ ფეხსაცმლის ნაკერები, ცხვირი და მოხრილი ადგილები.

მოამზადა
ნიკა კორინთელმა

**28 სექტემბერს მთვარის სრული დაბნელებაა. მაღალია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა. სასიკეთო პერიოდია ტყუპისა და მშვილდოსნის ნიშნებით დაბადებულთათვის.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**23 - 29 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

დასახული მიზნებისკენ გაბედულად იარეთ, მაგრამ თითოეული ნაბიჯი გულდასმით გააანალიზეთ. შესაძლოა, მიიღოთ საინტერესო შემოთავაზება უძრავი ქონების ბიზნესში მონაწილეობის შესახებ. უარს თუ იტყვით, დიდ შემოსავალს დაკარგავთ.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანების, განსაკუთრებით — ბავშვების მიმართ.

ყურადღება მიაქციეთ საკვები პროდუქტების ხარისხს, ვარგისიანობას და მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 სექტემბერი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

ნაჩქარევი გადაწყვეტილებები ზარალის მეტს არაფერს მოგიტანთ, ყველა დეტალი პროექტისა, რომლის განხორციელებასაც აპირებთ, ზედმიწევნით უნდა გააანალიზოთ, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად კი რჩევა გამოცდილ ადამიანებს ჰკითხეთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ჰარმონიული იქნება. საზოგადოდ კი, ყველა ახლობელი შეეცდება, მხარში ამოგიდგეთ.

მაღალია გულ-სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა, ამიტომ მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 24 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

სასიკეთო პერიოდია. შეგიძლიათ, დაიწყოთ მითითებებისა და ბრძანებების გაცემა და ყველა მზად იქნება მათ შესასრულებლად. შედეგად, ბევრ სფეროში შეძლებთ წარატების მოპოვებასა და საკმაოდ შემცირებული ბიუჯეტის შევსებას.

დაოჯახებულ და შეყვარებულ ტყუპებს სიურპრიზი ელით საყვარელი ადამიანისგან — ეს შეიძლება იყოს რომანტიკული ვახშამი ან მოგზაურობა.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, თუმცა კარგი იქნება, თუ მეტ დროს გაატარებთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღე: 26 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

მოგეცემათ ახალ პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობა, რაც დამატებით შემოსავალს მოგიტანთ და გუნება-განწყობასაც გაგიუმჯობესებთ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ.

ნუ გამოიჩენთ სიმკაცრეს საყვარელი ადამიანების მიმართ. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებს, განსაკუთრებით — ხანდაზმულებს.

ყურადღება მიაქციეთ საკვების მომნელებელ სისტემას. უარი თქვით ბევრ ყავასა და სიგარეტზე და მიიღეთ კალიუმით მდიდარი საკვები — ქიშმიში, ბანანი და ა.შ.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

კეთილგანწყობით მოეკიდეთ ადამიანებს, თუნდაც მათ თქვენზე ნაკლები სტატუსი ჰქონდეთ. უკეთ შეისწავლეთ საკუთარი თავი — ეს ადამიანების ამოცნობაშიც დაგეხმარებათ და მათთან ურთიერთობასაც გაგიიოლებთ.

თუ საყვარელ ადამიანს ბევრ მოთხოვნას წაუყენებთ, კონფლიქტი გარდაუვალი იქნება, ამიტომ მხოლოდ თქვენი სურვილების დაკმაყოფილებაზე ნუ იფიქრებთ.

ჯანმრთელობის მდგომარეობის უფრო გასაუმჯობესებლად დაიცავით კვების რეჟიმი, შეასრულეთ სუნთქვითი სავარჯიშოები და ჩაიტარეთ ორგანიზმის გასაკაჟებელი პროცედურები.

**დადებითი დღე: 24 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

არც ისე სასიკეთო პერიოდია. თქვენი ენერგიის დიდი ნაწილი, შესაძლოა, ისეთ საქმეზე დახარჯოთ, რომელიც სარგებლობას ვერ მოგიტანთ და ფინანსურ მდგომარეობას ვერ გაგიუმჯობესებთ. მოაგვარეთ ურთიერთობა ადამიანებთან და უარი თქვით უსარგებლო კავშირებზე.

შესაძლოა, დაგჭირდეთ იურიდიული პრობლემის მოგვარება.

მარტოხელა ქალწულებმა, შესაძლოა, სამსახურებრივი რომანი გააჩაღონ. დაქორწინებულები კი მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდონ საყვარელი ადამიანის მოთხოვნებს.

ამ პერიოდში მაღალია რესპირატორული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 29 სექტემბერი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები დიდ გავლენას იქონიებს თქვენს მომავალზე. სამსახურში მოსალოდნელია კონფლიქტური სიტუაციები, უთანხმოება კოლეგებთან ან ხელმძღვანელობასთან. შეეცადეთ, დისციპლინა არ დაარღვიოთ და დავალებები გულმოდგინედ შეასრულოთ.

მარტოხელა სასწორებმა, თუ სურთ, რომ თავიანთი ბედი სასურველ ადამიანს დაუკავშირონ, ქცევები უნდა შეცვალონ და ყველაფერი ნოლიდან დაიწყონ.

უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღე: 24 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

განმარტოვდით, წარსული გააანალიზეთ და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისგან თავი შეიკავეთ. შეეცადეთ, სხვა რაკურსით შეხედოთ პრობლემებს და მათი მოგვარების გზები იპოვოთ.

მორიელების მომხიბვლელობა მოიმატებს და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობენ. ამით, შესაძლოა, საყვარელი ადამიანი აეჭვიანონ.

დაიცავით დიეტა და დაკავდით სპორტის რომელიმე სახეობით ან შეასრულეთ სავარჯიშოები ფიზიკური კონდიციების გასაუმჯობესებლად.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

მოსალოდნელია ცვლილებები — შესაძლოა, დაგაწინაურონ სამსახურში ან, საერთოდ, შეიცვალოთ სამუშაო ადგილი. თუ კერძო ბიზნესი გაქვთ, საინტერესო შემოთავაზება შეიძლება მიიღოთ უცხოელი პარტნიორებისგან. ახლა თქვენი ამოცანაა, არ შეეწინააღმდეგოთ პროცესებს.

დაოჯახებული მშვილდოსნები უნდა შეეცადონ, ოჯახური პრობლემები მეუღლესთან ერთად მოაგვარონ. ეს ოჯახის წევრებთან ურთიერთობის ნორმალიზებაში დაგეხმარებათ.

თუ შეატყობთ, რომ გუნება-განწყობილება გიფუჭდებათ და სისუსტეს გრძნობთ, გაიწმინდეთ ორგანიზმი მავნე ნივთიერებებისგან.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

თქვენი ცხოვრება უფრო მშვიდი და გაწონასწორებული რომ იყოს, უწინარესად, სამსახურებრივი საქმეები უნდა მოაგვაროთ და ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. ამისთვის კი საჭიროა, შეძლოთ გასავლებისა და შემოსავლების დაბალანსება.

მარტოხელა თხის რქებს ელით რომანტიკული თავგადასავალი, დაქორწინებულებმა კი მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ.

ამ პერიოდში მაღალია გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 23 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 28 სექტემბერი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

საქმეებზე ბევრს ნუ ილაპარაკებთ და გადაწყვეტილებებს ნაჩქარევად ნუ მიიღებთ. პროექტების განხორციელებაში ძველი მეგობრები დაგეხმარებიან. წარმატების მიღწევის შანსი ხელიდან რომ არ გაუშვათ, გაბედულად იმოქმედეთ.

მეტი დრო გაატარეთ ოჯახის წევრებთან — დაპატიჟეთ ახლობლები და მოაწყვეთ საოჯახო ზეიმი. ეს ურთიერთობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

უარი თქვით სიგარეტსა და ალკოჰოლზე და მიიღეთ ვიტამინებით მდიდარი საკვები.

**დადებითი დღე: 24 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 26 სექტემბერი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

დაძაბული მუშაობის გამო თქვენი ნერვული სისტემა გადაღლილია და შეიძლება უმნიშვნელო მიზეზის გამო გაღიზიანდეთ. ამიტომ კოლეგებთან ან ახლობლებთან ურთიერთობისას მოთოკეთ ემოციები და თავი შეიკავეთ კრიტიკისგან.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი, რომელიც მძიმე ფინანსური მდგომარეობიდან გამოგიყვანთ, მაგრამ ფული ეკონომიურად უნდა ხარჯოთ.

მარტოხელა თევზებმა შეიძლება გაიცნონ საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელი, რომელსაც მომავალს დაუკავშირებენ.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადებების გამწვავების ალბათობა.

**დადებითი დღე: 24 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღე: 27 სექტემბერი.**

რეპლიკა

# ვაჟა-პშაველა კი არა — ვაჟა-ფშაველა!

**ვაჟა-ფშაველას მშობლიურ კუთხეში ჩვენი გენიალური პოეტის მოთხრობების ქართულ-ინგლისური კრებული მაჩუქეს, მაგრამ, როგორც კი დავხედე ყდას, რომელიც, პირდაპირ უნდა ითქვას, ტექნიკურად უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზეა შესრულებული, გულზე შემომეყარა – ისევ არ დაუმახინჯებიათ ვაჟა-ფშაველას გვარი ინგლისურად?!**







რა უბედურებაა, მე და ჩემმა ღმერთმა! გადის წლები, თქვენ წარმოიდგინეთ, საუკუნეებიც (დიახ, დიახ, საუკუნეები, რადგან ზოგჯერ წინა საუკუნეშიც ასე ამახინჯებდნენ ვაჟა-ფშაველას გვარს!) და ვერ იქნა და ვერ შევიგნეთ, რომ ინგლისურად უნდა ვწეროთ არა Vazha-Pshavela (ვაჟა-პშაველა), არამედ — **VAZHA-PHSHAVELA** (ვაჟა-ფშაველა), ისევე, როგორც არა Pshavi (პშავი), არამედ — **PHSHAVI** (ფშავი). იგივე ითქმის აქვე მოხმობილ კიდევ ერთ გვარზე — **მამფორია,** ინგლისურად იქნება არა Mamporia (მამპორია), არამედ — **MAMPHORIA** (მამფორია).

არანაირ ლინგვისტურ შეგონებებს არ მოვყვები იმის თაობაზე, რომ ქართული ენის ოცდამეერთე ასო-ბგერა „ფ" („ფარ") ინგლისურში ერთ მარცვლად შერწყმული ორი თანხმოვნით **(PH)** გადმოიცემა (გავიხსენოთ: ფრაზა — **Phrase,** ფოტო — **PHOTO,** ფოტოგრაფი — **PHOTOGRAPH,** თანაც, დააკვირდით, ამ სიტყვაში „ფ" ორჯერაა და ა.შ.), მხოლოდ იმაზე მივუთითებ, რომ აქვე, ჩვენი შესანიშნავი მხატვრის, ქალბატონი **რუსუდან ფეტვიაშვილის** გვარი, როგორც მოსალოდნელი იყო, Ph-ით გადაუტანიათ (Phetviashvili) და რა მოხდა — **ქართული „ფ" აქ თუ, მაპატიეთ და, „ფუობს", ზემოთ რატომ „გააპუეთ", გამომცემლობა „წიგნი+ერის" მესვეურებო?!**

ახლა **იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ტირე დეფისისაგან ვერ გაგირჩევიათ, მაინტერესებს, რომელმა ნათლიამ დაგარქვათ „წიგნი+ერი"?** თავფურცელზე ქართულად ტირეთი რომ დაგიწერიათ „ვაჟა—ფშაველა" და შემდეგ, ანოტაციისა თუ შესავლის სათაურადაც ასე დაგიტოვებიათ (გვ. 8), მაგრამ იქვე, თავფურცელზე ინგლისურად დეფისი გაქვთ, როგორც უნდა ყოფილიყო („Vazha-Pshavela") და ანოტაციისა თუ შესავლის პირველივე ქართული სიტყვაც დეფისითაა („ვაჟა-ფშაველა"), ამას რატომ არ მიაქციეთ ყურადღება? ვაჟას დაბადება-გარდაცვალების თარიღებშიც რატომღაც დეფისი გაქვთ გამოყენებული (1861-1915) და არა ტირე, როგორც უნდა ყოფილიყო...

იმანაც გამაოცა, თვით სათაური წიგნისა („მოთხრობები") რატომ გითარგმნიათ, როგორც **SHORT STORIES** (თანაც აქ მთავრული იყო საჭირო)? ეს ხომ არის „მოკლე მოთხრობები" და არა — „მოთხრობები". ამასთანავე, ოცგვერდიანი „შოტ სტორი" ნამდვილად არ გამიგონია, ღმერთმანი! გამომცემლობის სარეკვიზიტო რეკლამაზე კი ისეა, როგორც უნდა ყოფილიყო — stories, თუმცა მთავრული, სამწუხაროდ, აქაც დაგვიწყებიათ... ამასთანავე, ავტორის გვარ-სახელი და წიგნის სათაური, რომ იტყვიან, მიგიტყუპებიათ. ისინი ისევე მკვეთრად უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, როგორც ქართულ სათაურშია: ავტორი ერთ ხაზზეა და თან მსხვილი ასოებით, ხოლო წიგნის სათაური — მეორეზე და შედარებით წვრილი შრიფტით, თქვენ კი ერთ წინადადებასავით (Vazha-Pshavela short stories) ჩაგიწიკწიკებიათ...

**ყოველივე ამას არაპროფესიონალიზმი ჰქვია, ძვირფასო „წიგნი+ერო", არაპროფესიონალიზმი!**

**გოგი დოლიძე**

## გია ვოლსკი: «ოცნებიდან» გარკვეული ჯგუფი «ნაციონალებთან» დადგება



**მმართველი პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი სკანდალურ განცხადებას აკეთებს. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ უმრავლესობა დაეთანხმება ოპოზიციის მოთხოვნას და გააუქმებს მაჟორიტარულ არჩევნებს, ამან, შესაძლოა, უმრავლესობის დაშლა გამოიწვიოს და ქვეყანაში ცუდი პროცესები დაიწყოს.**

„უმრავლესობა გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენმა პარტიამ, 46-მა კაცმა, ერთი პოზიცია დაიკავა, „ნაციონალურ მოძრაობასა" და „თავისუფალ დემოკრატებთან" ერთად. ეს მორალურად გაუმართლებელია და პრაგმატულადაც არასწორია. ამ პოზიციას, შესაძლოა, უმრავლესობის დეპუტატების დიდი ნაწილი დაუპირისპირდეს და საპარლამენტო კოალიცია დაიშალოს. ეს საპარლამენტო უმცირესობასაც გააქრობს და არჩევნების წინ პარლამენტში ქაოსური ვითარება შეიქმნება. ეს ქვეყანასაც არ სჭირდება, რადგან პარლამენტს, არჩევნების გარდა, სხვა უამრავი საკითხი აქვს განსახილველი. ამგვარი ვითარება კი ყველაზე მეტად „ნაციონალურ მოძრაობას" აძლევს ხელს.

ეს საკითხი დღის წესრიგში რომ დადგეს, „ოცნებიდან" გარკვეული ჯგუფი „ნაციონალებთან" დადგება. საბოლოოდ 113 ხმას მაინც ვერ შეაგროვებენ და საკითხს ვერ გაიტანენ, მაგრამ ქაოსსა და არეულობას შექმნიან", — განაცხადა გია ვოლსკიმ გაზეთ „ვერსიასთან" ინეტრვიუში.

---

**ირაკლი თოდუა და ვანო ხვიბლიანი იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა**

**შალვა დვალი**

**და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

**პანაშვიდი: ოთხშაბათს, 24 სექტემბერს, 17 საათიდან.**

**მის.: ნუცუბიძის პლატო, III მ/რ, II კვარტალი, მე-8 კორპ., მე-3 სართ.**

**გამოსვენება: 25 სექტემბერს, 14 საათზე, წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან.**

---

**ნუგზარ ფოფხაძე და არმაზ სანებლიძე ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, დიდი სამამულო ომის მონაწილე, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, ლეგენდარული პიროვნება**

**კარლო გარდაფხაძე.**

**ჩვენ, ვისაც მის კვალზე ამ კომიტეტის ხელმძღვანელებად მუშაობა გვხვდა წილად, მოწმენი ვართ იმ დიდი ღვაწლისა, რომელიც მან დასდო საქართველოში ელექტრონული პრესის განვითარების საქმეს და რომლის წარმატებებსაც მან იმთავითვე ჩაუყარა საფუძველი.**

**გულითადად თანავუგრძნობთ მისი ოჯახის წევრებს.**

---

## საბერძნეთის პოლიციამ ლტოლვილებისთვის განკუთვნილ იარაღს მიაკვლია



**ბერძენმა სამართალდამცავებმა დააკავეს გემი, რომელსაც, დოკუმენტების მიხედვით, პლასტიკის ავეჯით დატვირთული 14 კონტეინერი გადაჰქონდა, თუმცა შემოწმების შედეგად 2 კონტეინერში არა ავეჯი, არამედ 491 ათასი საბრძოლო ვაზნა და 5000-ზე მეტი იარაღი აღმოჩნდა. ტვირთი, როგორც ჰუმანიტარული დახმარება, ლტოლვილებისთვის იყო განკუთვნილი.**

როგორც ჩანს, პასუხის გაცემა კითხვაზე — რატომ მიაწყდა ევროპას უცებ ამდენი ლტოლვილი, უფრო იოლი იქნება, თუ გაეცემა პასუხი კითხვას — ვისთვის და რისთვის იგზავნებოდა ამდენი იარაღი?

## საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ მიხეილ ჯანელიძე დაინიშნა



**საქართველოს პრემიერ-მინისტრის — ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებით, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ მიხეილ ჯანელიძე დაინიშნა.**

აქამდე მიხეილ ჯანელიძეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა. მას, აგრეთვე, აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობის გამოცდილება, კერძოდ, 2003—2004 წლებში, მიხეილ ჯანელიძე სამინისტროს საგარეო პოლიტიკის ანალიზისა და კვლევის ცენტრში საქმიანობდა.

## დიმიტრი ქუმსიშვილი: 2016 წლის ბიუჯეტი 3%-იან ეკონომიკურ ზრდასა და 4%-იან ინფლაციაზე იქნება გათვლილი



**„2016 წლის ბიუჯეტის პარამეტრები ჩემთვის ცნობილია. ახლა შემიძლია გითხრათ მხოლოდ 2 ციფრი – 3%-იანი ზრდა და 4%-იანი ინფლაცია, თუმცა, ვფიქრობ, ყველა დანარჩენი პარამეტრის გახმოვანება არის ფინანსთა მინისტრის პრეროგატივა", — განაცხადა ქუმსიშვილმა.** მისივე თქმით, თვის ბოლომდე მთავრობის სხდომაზე უნდა იქნას მიღებული მომავალი წლის ბიუჯეტის პირველი ვერსია.

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894